

ISSN 1987-5789

ეკონომიკა და ბიზნესი



ECONOMICS and BUSINESS
ЭКОНОМИКА и БИЗНЕС

01/2013-02/2013 გვ. 1
JANUARY-FEBRUARY
ЯНВАРЬ-ФЕВРАЛЬ

2013

03062 ქავებიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო რეზერვირებადი
და რევიზორებადი სამეცნიერო-პრაქტიკული გარნალი

International refereed and reviewed scientific and practical journal
of the Faculty of Economics and Business,
Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Международный реферируемый и рецензируемый научно-
практический журнал факультета Экономики и Бизнеса
Тбилисского государственного университета имени Ив.
Джавахишвили



გამოდის 2008 წლის იანვრიდან, ორ თვეში ერთხელ

Published since January, 2008 once in two month

Выходит с Января 2008 года раз в два месяца

რედაქციის მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქ., №1,
თხუ მაღლივი კორპუსი, მე-13 სართ., ტელ. 230-36-68, 599-10-38-16
e-mail: ebf.journal@tsu.ge

სარედაქციო კოლეგია

რევაზ გოგოხია – მთავარი რედაქტორი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული ოკადემიის წევრ-
კორესპონდენტები, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები: **გლადიმერ
პაპავა, ავთანდილ სილაგაძე, ლეო ჩიკავა.**

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: **იური
ანანიაშვილი, რამაზ აბესაძე, სიმონ გელაშვილი, რევაზ გველესიანი,
ნუზ ზარ თოდუა, ირაკლი ქოვზანაძე, ეკა ლევაშვილი, მურთა მაღრაძე, მაია
მარგველაშვილი, ქეთევან მარშავა, ელგუჯა მეგებაძეშვილი, იაკობ მესხია,
ნუზ ზარ პაიჭაძე, სერგო სანაძე, მირიან ტუხაშვილი, ეთერ ხარაიშვილი,
ელენე ხარაბაძე, რომან ხარედია, ნოდარ ხადური, აკაკი ხელაძე, თემურ
შენგაძეია, ემზარ ჯგურენაია.**

EDITORIAL BOARD

Revaz Gogokhia – Editor-in-chief Doctor of Economic sciences, professor.

Corresponding members of Georgian National Academy of Sciences, doc-
tors of Economic Sciences: **Vladimer Papava, Avtandil Silagadze, Leo Chikava.**

Doctors of Economic Sciences, professors: **Iuri Ananiashvili, Ramaz Abes-
sadze, Simon Gelashvili, Revaz Gvelesiani, Nugzar Todua, Irakli Kovsanadze,
Eka Lekashvili, Murtaz Magradze, Maya Margvelashvili, Ketevan Marshava, El-
guja Mekvabiishvili, Iakob Meskhia, Nugzar Paichadze, Sergo Sanadze, Mirian
Tukhashvili, Eter Kharaishvili, Elene Kharabadze, Roman Kharbedia, Nodar Kha-
duri, Akaki Kheladze, Temur Shengelia, Emzar Jgerenaia.**

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

Реваз Гогохия – главный редактор, доктор экономических наук,
профессор.

Члены-корреспонденты Национальной Академии наук Грузии –
Владимер Папава, Автандил Силагадзе, Лео Чикава.

Доктора экономических наук, профессора: **Юрий Ананиашвили,**
Рамаз Абесадзе, Симон Гелашвили, Реваз Гвелесиани, Нугзар Тодуа,
Ираклий Ковсанадзе, Ека Лекашвили, Муртаз Маградзе, Майя
Маргвелашвили, Кетеван Маршава, Злгуджа Меквабишвили, Якоб
Месхия, Нугзар Пайчадзе, Серго Санадзе, Мириан Тухашвили, Етер
Хараишвили, Элене Харабадзе, Роман Харбедия, Нодар Хадури, Акаки
Хеладзе, Темур Шенгелия, Эмзар Джгеренаия.

სარედაქციო პოლეგიის უცხოელი წევრები.

კოლუგანგ ვენგი – ბერლინის (გერმანია) უნივერსიტეტის პროფესორი, ჰარალდ კუნცი – ბრანდენბურგის (გერმანია) უნივერსიტეტის ეკონომიკური თეორიის კათედრის გამგე, კიმ ტაქსირი – რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ჯოზეფ ხასიძე – პირეასის (საბერძნეთი) უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი, ტომას ჰალდმა – ტარტუ უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.

FOREIGN MEMBERS OF THE EDITORIAL BOARD OF ECONOMICS:

Wolfgang Weng – Professor at Berlin University (Germany), Harald Kunz – Head of department of Economic theory at Brandenburg University (Germany), Kim Taksir – Academician of Russian Academy of Sciences, Joseph Hassid - Dean of the Faculty of Economics Piraeus University (Greece), Professor, Toomas Haldma – Tartu University's Dean Faculty of Economics and Business Administration, professor (Estonia).

ИНОСТРАННЫЕ ЧЛЕНЫ РЕДАКЦИОННОЙ КОЛЛЕГИИ:

Волфганг Венг - Профессор Берлинского Университета (Германия), Кунц Гаралд – зав. кафедрой экономической теории Брандербургского Университета (Германия), Ким Таксир – Академик Российской Академии Наук, Джозеф Хассид – декан экономического факультета Пирейского Университета (Греция), Тоомас Халдма - декан факультета экономики и администрирования бизнеса Университета Тарту (Эстония), профессор.

შინაარსი

საშობაო ეპისტოლე 11

ეპონომიკური თეორია და ეპონომიკური პოლიტიკა

რეგის გველასიანი. ეკონომიკური პოლიტიკის საშუალება- თა რაციონალური გამოყენების ღონისძიება	17
სლავა ზახლავა, შალვა ბოგიაშვილი. საქართველოს კონკურენციის პოლიტიკის სრულყოფის მიმართულე- ბები	33
მცენ ლაგვილავა. ელექტრონული სახელმძღვანელოს შე- ქმნის თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხები	45

მიკრო-მაკროეპონომიკა

01 ნაცვლიშვილი. ინოვაციური მიდგომები გლობალურ ვაჭრობაში – მსოფლიო კეთილდღეობის გაუმჯობესების ფაქტორი (ინგლისურ ენაზე)	61
გულაგ რეჟიმიშვილი. ველნეს (Wellness) ინდუსტრია და მისი განვითარების სტრატეგია საქართველოში	79
ნათია ლადელიშვილი. ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრო- ბის შესახებ შეთანხმება (DCFTA) - რეალობა თუ “პარტ- ნიორობა ქადალდზე?”	91
თენავა თავათაშვილი. მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოში და მისი სახელმწიფოებრივი მხარდაჭერ- ის ფორმები	99

შინასერი ეპონომიკა

აკაკი გაგალაძე. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ეკონომიკური მნიშვნელობის შეფასება და პროგნოზირება	111
ვახტანგ ჭარაბაძე. საბანკო ზედამხედველობის მარეგულირებელი სტანდარტების დანერგვის თავისებურებები საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში	121

ბუღალტრული აღრიცხვა. აუდიტი

მარინა მაისერაძე. საწარმოთა აქტივების გაუფასურების რეგულირება	143
ზოგიერთი აღმიშვილი. აუდიტური კონტროლი: ისტორია, თანამედროვეობა და განვითარების პერსპექტივები საქართველოში	153

პრიტიპა

01 ანანიაშვილი, ვლადიმერ (ლალო)კაკავა. ქართველი ეკონომისტის ლიტვაში გამოქვეყნებული პლაგიატური სტატიის შესახებ	171
--	-----

ჩვენი 0180ლარები

პროფესორი ქეთევან მარშავა	193
---------------------------------	-----

CONTENTS

Christmas Epistle	11
-------------------------	----

ECONOMIC THEORY AND ECONOMIC POLICY

REVAZ GVELESIANI. Logics of Applying Possibilities of Economic Policy Rationally	17
SLAVA FETELAVA, SHALVA GOGIASHVILI. Regarding Improving Competition Policy of Georgia	33
ENVER LAGVILAVA. Theoretical-Methodological Issues for Creating an e-Textbook	45

MICRO-MACROECONOMICS

IA NATSVLISHVILI. Innovative Approaches in Global Trade – Factor of Promoting Wellbeing Worldwide	61
GULNAZ ERKOMAISHVILI. Wellness Industry and its Development Strategies in Georgia	79
NATIA DAGELISHVILI. Deep and Comprehensive Free Trade Agreement (DCFTA) – Reality or “Cooperation on the Paper?” ...	91
TENGIZ TAKTAKISHVILI. Small and Medium-sized Business in Georgia and the Government Support	99

FINANCIAL ECONOMICS

AKAKI GABELAIA. Evaluation and Forecasting of Economic Significance of the State Budget Deficit of Georgia	111
VAKHTANG CHARAIA. Peculiarities of Introducing Regulatory Standards for Banking Supervision in Georgia and in Foreign Countries	121

ACCOUNTING AND AUDIT

MARINA MAISURADZE. Regulation of Depreciation of a Company's Assets	143
CHICHIKO ADEISHVILI. Audit Control: History, Current Situation and Development Perspectives in Georgia	153

CRITICS

IURI ANANIASHVILI, VLADIMER (LADO) PAPAVA. Regarding Plagiaristic Article by Georgian Economist Published in Lithuania ...	171
---	-----

BIRTHDAY ANNIVERSARIES

Professor Ketevan Marshava	193
---	-----

СОДЕРЖАНИЕ

Рождественское Эпистоле	11
-------------------------------	----

ЭКОНОМИЧЕСКАЯ ТЕОРИЯ И ЭКОНОМИЧЕСКАЯ ПОЛИТИКА

РЕВАЗ ГВЕЛЕСИАНИ. Логика рационального использования средств экономической политики	17
СЛАВА ФЕТЕЛАВА, ШАЛВА ГОГИАШВИЛИ. Направление совершенствования политики конкуренции Грузии	33
ЭНВЕР ЛАГВИЛАВА. Теоретико-методологические вопросы создания электронического учебника	45

МИКРО-МАКРОЭКОНОМИКА

ИА НАЦВЛИШВИЛИ. Инновации в глобальной торговле - фактор повышения мирового благосостояния	61
ГУЛЬНАЗ ЭРКОМАИШВИЛИ. Велнес (wellness) индустрия и стратегия ее развития в Грузии	79
НАТИЯ ДАГЕЛИШВИЛИ. Соглашение о глубоком и всеобъемлющей торговле (DCFTA): реальность или “Партнерство на бумаге”	91
ТЕНГИЗ ТАКТАКИШВИЛИ. Малый и средний бизнес в Грузии и формы его государственной поддержки	103

ФИНАНСОВАЯ ЭКОНОМИКА

АКАКИЙ ГАБЕЛАЯ. Оценка и прогнозирование экономического значения дефицита государственного бюджета Грузии	111
ВАХТАНГ ЧАРАЯ. Особенности внедрения стандартов регулирования банковского наблюдения в Грузии и зарубежных странах	121

БУХГАЛЬТЕРСКИЙ УЧЕТ. АУДИТ

МАРИНА МАЙСУРАДЗЕ. Регулирование обесценения активов предприятий	143
ЧИЧИКО АДЕИШВИЛИ. История, современность и перспективы развития аудитивского контроля в Грузии	153

КРИТИКА

ЮРИЙ АНАНИАШВИЛИ, ВЛАДИМИР (ЛАДО) ПАПАВА. О плагиаторской статье грузинского экономиста опубликованной в Литве	171
---	-----

НАШИ ЮБИЛАРЫ

ПРОФЕССОР КЕТЕВАН МАРШАВА	193
--	-----

საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის საშობაო ეპისტოლე

ყოვლად სამღვდელონო, მღვდელმთა გარნო, მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონაზონნო, ყოველნო სულიერნო შეიღნო საქართველოს სამოციქულო ეკლესიისა, დეოივ პურთხეულო ივერიის მევიდრნო და ჩეგნი სამშობლოს საზღვრებს გარეთ მცხოვრებო თანამემამულენო!

„ათასწლოვანი მოლოდინი კაცთა მოდგმის ხსნის დასრულდა. აღსრულდა მრავალ თაობათა ნატვრა, - იშვა იესო“.

ოცი საუკუნის წინათ აღმობრწყინებული ბელეგის ვარსკვლავი დღეს კელავ ამცნობს სამყაროს ენით მიუწვდომელ საიდუმლოს და თის განხორციელებისა; სასწაულს, რომელსაც გერასონეგა ჩასწვდება ადამიანური გონება. საოცრებას, რომელსაც გერ წარმოიდგენდა თვით აგელოზთა დასიც.

თითქმის არ არის არც ერთი ქვეყანა „არც ერთი ქრისტიანული ოჯახი, რომ არ ხარობდეს ამ დღის დაღომით, მაგრამ ფაქტია, რომ ბევრისოფელს უცნობია ამგვარი განწყობის ნამდვილი მიზეზი და ისიც, თუ რას აგალდებულებს ეს დღე ყოველ ადამიანს.

უმრავლესობა ვერ გვიპასუხებას, მაინც რა მიზნით მიიღო კაცობრივი ბუნება უფალმა? რა საჭირო იყო ეს? რა შეიცვალა მისი მოსვლით დედამიწაზე?

ამის გაგება ზოგიერთს არც კი აინტერესებს, მათთვის ისიც კი საკმარისია, რომ კარგი განწყობისა და მხიარულებისთვის რაღაც მიზეზი აქვთ. დაე, იყოს ეს ქრისტე შობა, - არსობრივ მნიშვნელობას ამას არც ანიჭებენ. მათ კი, რომელიც ნაკლებად გათვითცნობიერებული არიან სარწმუნოებაში. მაგრამ ცოდნის შემენის სურვილი აქვთ, კიდევ ერთხელ შევახსენებ წმინდა წერილს :

ადამი შემოქმედმა ხატად და მსგავსად თავისა შექმნა და სამოთხეში ნეტარი ცხოვრება უბოძა, მაგრამ სამყაროს გვირგვინად და გამგებლად დადგენილი კაცი თავისი ნებით, ამასარტავნებითა და უპასუხისმგებლო ქცევით ღმერთს განუდგა და მაცდურის მონობაში აღმოჩნდა. მასთან ერთად დაეცა მიწიერი სამყაროც, რომელიც მას უქემდებარებოდა. და თის მადლით აღვისილი პარმონია, წმ. მაქსიმე აღმსარებლის სიტყვებით რომ გთქვათ, ეშმაკის ტირანიით განმსჭვალულმა სიძულვილმა და ურთიერთდაპირისპირებამ

შეცვალა; ეს მდგომარეობა აისახა როგორც ადამიანთა შორის ურთიერთობაში, ისე ცხოველთა, მცენარეთა და საერთოდ, მთელი ბუნების არსებობის წესში: უცელაფერი დაგჭრებულებარა პრინციპს, - ბრძოლა არსებობისათვის.

ასე რომ, დმერთსა და ადამიანს შორის გადაუდახავი უფსერული გაჩნდა; ადამმა და ევამ და მათმა შთამომავლებმა დაკარგეს სულიწმინდის მაღლი, რითაც შემოქმედთან ეავშირი ხორციელდებოდა და რაც დმერთობა მათი მსგავსების განვაძორობებელი უმთავრესი ფაქტორი იყო; ამ მაღლს მოკლებული, მოაკლდნენ სწორ აზროვნებასა და ქმედებასაც. ცოდვას ცოდვა შესძინეს და საკუთარ თავს მარადიული სიკედილი განუშავდეს.

ამ რეალობის შეცვლის შესაძლებლობა კი აღარ არსებობდა, რაღაც კაცთა ხენა მხოლოდ ისეთ ადამიანს შეეძლო, რომელიც უცოდველი იყო და ხელეწიფებოდა სხვათა სიმძიმე ეტვირთვა. ასეთი კი, ამ ქვეყნად არ იპოვებოდა, რაღაც პირველქმნილი ცოდვა ყველას მემკვიდრეობით გადაეცემოდა და ამას კიდევ ცალკეული ადამიანის პირადი ცოდვებიც ემატებოდა.

ყოველივე ხილულისა და უხილავის შემოქმედმა და განმგებელმა ცანი მოდრიკნა, ადამიანური ბუნება მიიღო და ჩვენი ხენისათვის დავითის ქალაქში, ბეთლემში იშვა.

აქ, ბაგაში, სიცივესა და სიმწირეში დაიბადა ახალი ადამი, — იქსო, რათა ამპარტაგნებით დაცემული ძეელი ადამის ცოდვა გამოესყიდა, მართალთა სულები ჯოჯონეთიდან ეხსნა და დმერთობან კავშირი აღედგინა. აიგეს არის ჩვენი დიდი სიხარულის მიზეზი, სათავე ენით გამოუთქმელი ძედინიერებისა.

სხვა რა უნდა შევადაროთ ამ დღის სიდიადეს?! როგორ ხორციელდება პირველქმნილ პარმონიასთან ჩვენი დაბრუნება?

პირველ რიგში, ქრისტიანული ნათლისლებით. “ბეჭედი მონიჭებულ არს სულისა მიერ წმიდისა, ამინ!“ — ამბობს საიდუმლოს აღსრულებისას მოძღვარი და შვიდჯერ სცხებს მირონს მას, კინც ინათლება, რითაც ადამიანს ენიჭება სულიწმიდის მაღლი და ეძლევა განდმრთობისა და ნეტარი მარადიულობის დამკვიდრების შესაძლებლობა.

ამ მიუწვდომელი წყალობის გამო წმინდა მამები, დავით წინასწარმეტყველის მსგავსად, საუკუნეთა მანძილზე გულწრფელად გაოცებული კითხულობდნენ: “რაი არს კაცი, რამეთუ მოიხსენე მისი, ანუ ძე კაცისაი, რამეთუ მოხედავ მას?“ (ფს. 8:4).

ჩვენი ხენისათვის მაცხოვრის თავგანწირვა უდიდეს პასუხისმგებლობას გვაკისრებს და ამ ეპისტოლებში სწორედ აღნიშნულ გრძნობაზე მინდა განსაკუთრებით გაგამახვილო

ყურადღება.

ეს თვისება ადამიანში ასაკთნ ერთად ეითარდება; ამასთან, რამდენადაც მაღალ სულიერ საფეხურზე იმყოფება ესა თუ ის პიროვნება, მით მეტად არის მასში ეს განცდა.

პავლე მოციქული ამბობს: "როდესაც ვიყავი ყრმა, ვიტყოდი, როგორც ყრმა, ვფიქრობდი, როგორც ყრმა, ვმსჯელობდი, როგორც ყრმა; ხოლო, როდესაც დაგვაცდი, ზურგი ვაქციე ყოველივე ყრმობის დროინდელს (I კორ. 13:11).

ჩვენც გვმართებს ყრმობიდან გამოსვლა, ანუ სულიერი გაზრდა და გაცნობიერება ჩვენი პასუხისმგებლობისა, უპირველეს ყოვლისა, შემოქმედის – უფლის, სამშობლოს და მოუკასის წინაშე; პასუხისმგებლობისა როგორც ცოცხლების, ისე გარდაცვლილების მიმართ, რაც გულისხმობს ჩვენს ვალდებულებებს მშობლებთან, ოჯახთან, მეგობრებთან, ნათესავებთან, მეზობლებთან მიმართებაში, ასევე სამსახურებრივ პასუხისმგელობას.

ჩვენი წინაპრები თავიანთ შეილებს ბავშვობიდან უდივივებდნენ ამ გრძნობას. ამიტომაც იყო ჩვენი ერი ძლიერი. მიუხედავად განუწყვეტელი ომებისა, იყო იბრძოდა კიდეც და ამასთან, დაუდალავად შრომობდა და ქმნიდა.

რწმენისა და მამულის დასაცავად საჭიროების შემთხვევაში ქუდზე ეაცხე გამოდიოდა. საერთოდ კი ოჯახში, სოფელსა თუ თემში უველას თავისი პასუხისმგებლობა ქონდა: მეუე ზრუნავდა მოეკლს ერზე, თავადაზნაურობა პატრონობდა და ხმლით იცავდა თავის ტერიტორიაზე მცხოვრებთ; ეძლესია ანათლებდა და სულიერად ამტკიცებდა ერს სამწესოს; გლეხები ქმნიდნენ დოვლათს; კველანი ერთად კი შეადგენდნენ ჩვენი ქვეყნის ერთიან, მთლიან ცოცხალ ორგანიზმს, სადაც თითოეული თავისი შესაძლებლობების ფარგლებში ემსახურებოდა ღმერთს და ქვეყნას. რომელიმე მათგანის დაძაბუნება იწვევდა ყველას დასუსტებას, რადგან არცერთი მათგანის ფუნქცია არ იყო უმნიშვნელო: თუმცა, რაც უფრო მაღალი იყო წოდება და თანამდგობა, მით მეტი იყო პასუხისმგებლობაც. ეს კი ხშირად სიცოცხლის განწირვას მოითხოვდა. ზოგჯერ მეფის ან სასულიერო პირის თავდადება იყო საკმარისი, მაგ. წმ. ღემეტრე თავდადებული, წმ. ევლემოზ კათალიკოსი, ზოგჯერ კი მოელი ერის, მაგ. 100000 მოწამის.

თავისუფლება და პასუხისმგებლობა ურთიერთდაკავშირებული ცნებებია. ვინც თავისუფლებას კარგავს, მონურ მდგომარეობაში ვარდება და პასუხისმგებლობის განცდაც უქმეითდება.

გავიხსენოთ, რა მოხდა დამოუკიდებლობის დაპარგების შემდეგ საქართველოში: მოელი ეს პარმონიული სისტემა მოიშალა, მეფის ხელისუფლება და ეკლესიის დამოუკიდებლობა გაუქმნდა,

ძალაუფლება უცხო ძალის ხელში გადავიდა, რის შედეგადაც თავადაზნაურობა უგულო ბატონად იქცა, ყოველივე ეს კი მთელი სიმწეგავით გლეხხაცობაზე აისახა.

ქართველმა ქაცმა მისთვის დამახასიათებელი ცხოვრების წესი ძირფესვიანად შეცვალა. საქეუქნო საზრუნავის ადგილი პირადულმა დაიკავა. სამშობლოზე ფიქრის ნაცვლად მისი გონიერი მხოლოდ საპუტარ კარ-მიდამოსა და ოჯახზე ზრუნვამ მოიცვა.

დიდმა იღიამ ეს პრობლემა ცნობილი ლექსით, – “ბედნიერი ერი” – ნაოლად დაგვანახა.

ერის უასუხისმგებლო მდგომარეობამ მიგვიყვნა იქამდე, რომ 1918 წელს წმინდა ილია მართლის ეროვნული გზის ნაცვლად ხალხმა უცხო ქვეყნის ათეოსტური პარტია აირჩია. შემდეგ კი კიდევ უფრო სამწუხარო შედეგმაც არ დააყოვნა და მოქლე ხანში ქვეყნა ქომუნისტურ იმპერიის ნაწილი გახდა.

უფალი, მართალია, სამართლიანია, მაგრამ, ამავე დროს მოწყალეც, რომელიც არა ცოდვათა ჩეკინთაებრ მოგვაგებს, არამედ ჩვენი გამოსწორებისთვის გვრწეონის იმის გათვალისწინებით, თუ რამდენის დატევნა შეგვიძლია. ამიტომაც, რა მდგომარეობაშიც არ უნდა ვიყოთ, გაცილებით უპეტესად ვართ, ვიდრე ვიმსახურებთ და მრავალჭირგამოვლილი წმ.იოანეოქროპირის მსგავსად მუდამ მაღლობას უნდა ვწირავდეთ დმერთს ველაფრისათვის, და თუ გასურს, მდგომარეობის გამოსწორება, უნდა ვიტვიროთ ჩვენი წილი ასასუხისმგებლობა და უფლის წყალობა ამით მოვიპოვოთ. ეს არის ყველაზე მთავარი. ჩვენით კი ვერაფერს გაეხდებით. მხოლოდ საპუტარ შესაძლებლობებზე დაყრდნობა დამღუპველი იყო და იქნება ყოველთვის.

სამწუხაროდ, თოთოულ ჩვენგანს დღესაც გვაკლია პასუხისმგებლობის გრძნობა. ჩვენ გულგრილი ქისტიანები ვართ ნელ-თბილნი, და ამიტომაც დიდ შეცდომებს ეუშებთ. ჩვენში მძღავრობს ეგონისტური ზრახები და „მეს“ პრინციპი, რაც ჰეშმარიტ ლირებულებათა დამანგრეველია.

ჩვენი სულიერი სისუსტის გამოვლინებაა თუნდაც ის, რომ დღესასწაულებს ფაქტობრივად მიწიერი გრძნებებით ვეგებებით და რეალური განცდა ცოცხალ დმერთთან ერთიერთობისა, არა გვაქს. რომ ჩვენს გარშემო ვამწენვთ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებიც გვიყვარს ან გვძულს, სხვა უბრალო ადამიანები კი ყურადღების მიღმა გვრჩება. ლვთის წინაშე კი დიდი და მცირე არ არსებობს. რომ ცოდვა აღარ გვაწუხებს და მისი სიმძიმის განცდაც აღარ გვაქს. რომ თითქმის გაწყვეტილი გვაქს კავშირი ბუნებასთან, მისდამი მხოლოდ მომხმარებლურ დამოკიდებულებას ვიჩენთ და ჩვენი უასუხისმგებლო ქცევით ვანადგურებთ მის სიკეთეს.

ჩვენი დანაშაულია ისიც, რომ კარგად არ ვიცნობთ ჩვენს

წარსულს, ჩვენს ისტორიას; არადა, მისი ცოდნა გვეხმარება, რომ არ მოვწყდეთ ჩვენს ფესვებს, საკუთარი თავი შევიცნოთ და სიცოცხლის აზრიც ნათლად გაგაცნობიეროთ.

არაეთხელ მითქვამს ისიც, რომ დღეს ინფორმაციული ომის უამი დგას, ეალმით ანუ სიტყვით ბრძოლის დრო. მასთან შეჭიდება კი გონიერმა, მცოდნე და ამასთან დეფისმოყვარე ადამიანებმა უნდა იტვირთონ. უნდა შევძლოთ, ყალბი იდეალების ბატონობის ჩვენს ხანაში გავხდეთ სულიერად უფრო მტკიცენი და ძლიერნი, რათა გავიმარჯვოთ.

განსაკუთრებით მინდა მივმართო ახალგაზრდებს და ვთხოვო: გაუძლიოთ ინფორმაციულ შემოტევას, რომელიც ნიაღვარივით მოედინება მასმედიდან და ცდილობს, ცრუ დირებულებების გაელენის ქვეშ მოგაქციოთ, არ გახდეთ თანაზიარნი ფსევდო კულტურისა, რომელიც ამახინჯებს ფსიქიკას, აუხეშებს გრძნობებს და აცარიელებს შინაგან სამყაროს. შეიყვარეთ წიგნი, ისწავლეთ დრმა აზროვნება, ისწავლეთ ღმერთის შიში და სიყვარული, რომ დეფისმშობლის წილხედრი ქვეყნის ერთგული მეციხოვნენი გახდეთ.

დრო მცირე გვაქვს და არ უნდა აღმოვჩნდეთ იმ ხუთი ქალწულის მდომარეობაში, რომელთა კანდელსაც უფლის მოსვლისას საქმარისი ზეთი არ აღმოაჩნდა და მიუხედავად იმისა, რომ იყვნენ მორწუნენი და უფლის მომლოდინენი, ვერ შევიდნენ დეფის საუფლოში.

ბოროტის გაელენისგან თავის დადწევა დიდ ძალისხმევას მოითხოვს და ეს მხოლოდ ძლიერ პიროვნებებს შეუძლიათ, ანუ იმათ, რომელიც საკუთარ ნებას გააზრებულად უმორჩილებები დეფის ნებას და ამჟეუნიურ საცდურთა წინააღმდეგ ბრძოლას არ უშინდებიათ.

ყოველი აღმიანი უპირველეს ყოვლისა სწორედ ასეთი პიროვნება უნდა იყოს, – ჯეშმარიტად თავისუფალი და სულიერად ძლიერი, რათა ერს ხერხემლად ექცეს. ასათი ადამინების აღზრდის საქმეში ეკლესიას დიდ როლი აკისრია

საერთოდ, ეკლესია ხელს უწყობს საზოგადოების განვითარებას; იგი ის მაცხოვნებელი წიაღია, რომელიც ინარჩუნებს საუკეთესო ტრადიციებს და აქვს რა უცვალებელი რჯული და მოძღვრება, ყველა ეპოქაში მოწმობს ჯეშმარიტების შესახებ.

გავიხენოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ საერთაშორისო საზოგადოება მხოლოდ მე-20 საუკუნის ბოლოს მიუახლოვდა ადამიანთა თანასწორობის შესახებ ლირებულებათა იმ სტანდარტებს და ფასეულობებს, რასაც ეკლესია ოცი საუკუნის წინად ქადაგებდა. მონათმფლობელობის და ფეოდალიზმის პერიოდში, ძალმომრეობისა და დაუნდობლობის ხანაში, ქრისტეს სახარება

მოუწოდებდა ხალხს თანასწორობისაკენ.

ყოველი ქრისტიანის ცხოვრება აბსოლუტურად თავისუფალია და ეპლესის წევრობაც მხოლოდ მის თავისუფალ ნებაზეა დაფუძნებული. თითოეული მრევლის წევრი მხოლოდ საკუთარი სინდისით არის დაკავშირებული მოძღვართან და ერთერთი უმთავრესი საიდუმლოც სინანულისა მხოლოდ მის პირად პასუხისმგებლობაზეა დამოკიდებული, – ადამიანი დამოკიდებულად წყვეტს, რას იტყვის აღსარებაში და იმასაც, რამდენად იქნება ეს ნათევამი სინანულით გაჯერებული.

სრული თავისუფლებით მოქმედი და ამავე დროს, ჟეშმარიტი სინანულით განმსჭვალული პიროვნება იღებს სულიწმინდის მაღლს, რომელიც ცვლის მის სულიერ და ყოფით სამყაროს და მას დევთის სათონ შეილად აქცევს; შემდეგ კი უკეთ იგი თვითონ ხდება გზის მაჩვენებელი სხვათათვის; ამაზე წერდა წმინდა სერაფიმე საროველი: მოიხვეჭე სულიწმინდის მადლი და შენს გარშემო ათასები ცხონდებიანო.

თითოეული ჩვენგანი ვალდებულია, მოიპოვოს სულის სიღრმეში დამაღლული უფლისგან ბოძებული ეს საჩუქარი, ვალდებულია, ააღორძინოს იგი, რათა ღირსეულად ადასრულოს თავისი ვალი ამ წუთისოფელში და შემდეგ ჩემ ღიღებულ წინაპართა მზგავსად ზეცის მოქალაქეობა მოპოვოს.

შორეული ქვეყნებიდან ახლადშობილი იგსო ქრისტეს თაყვანისსაცემად მიღიან აღმოსავლელნი მოგზნი, მიღიან მწყემსნიც თავისი გულწრფელობით, ანგელოზთა გაღობის მსმენი. მაშ, წავიდეთ ჩემნც, რათა ვიხილოთ ბაგასა მწოდი იგსოს დიდებულება და აღარასოდეს განეშორდეთ, რადგან საუკუნო სიცოცხლის სიტყვები მას აქვს მხოლოდ (ინ. 6:6).

“ნათელი ქრისტეს განგვანათლებს ყოველთა!”

ჩემო სულიერო შეილებო, ჩემო ნათლულებო, ყოველნო ქართველნო, აფხაზნო, სომეხნო, ოსნო, ბერძენნო, რუსნო, ასირიელნო, იეზიდნო და ქურთნო, აზერბაიჯანელნო, უკრაინელნო და უდინნო... უველას გილოცავთ ქრისტეს შობის ბრწყინვალე დღესასწაულს. უფალმა მოგანიჭოთ მადლი სულისა წმინდისა, რათა ისაროთ ორსაგ სოფელსა შინა, ამინ!

ილია II
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი.

შობა ქრისტესი, თბილისი, 2013 წელი.

ეკონომიკური პოლიტიკის საშუალებათა
რაციონალური გამოყენების ლოგიკა

რევაზ გვალიშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თხუ-ის ეკონომიკური
პოლიტიკის ქათედრის ხელმძღვანელი,
ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული
ინსტიტუტის დირექტორი, სრული პროფესორი

ეკონომიკური პოლიტიკის საშუალებათა გამოყენების პროცესის რაციონალურად წარმართვის მიზნით უნდა გავითვალისწინოთ ინტერვენციის სამი წესი: მიზნის მიმართ კონფორმულობა, კონცეფციის მიმართ კონფორმულობა და სისტემის მიმართ კონფორმულობა. ამასთან, საჭიროა დავიცვათ გარკვეული თანამიმდევრობის პრინციპი. პირველ რიგში უნდა განვიხილოთ რამდენად უწყობს ხელს მოცემული საშუალებები მიზნის განხორციელებისაკენ სწრაფვას. ასეთი საშუალებები შესაძლებელია შეფასდეს მიზნის მიმართ კონფორმულობის თვალსაზრისით, ხოლო შემდეგ ისინი უნდა შეფასოთ კონცეფციისა და სისტემის მიმართ კონფორმულობის საფუძველზე. ამით დგინდება რამდენად კონფორმულია დონისძიება კონცეფციასთან დამოკიდებულებით, რაც წინასწარი არჩევანის გაკეთების საშუალებას იძლევა. ეკონომიკური პოლიტიკის დონისძიებათა საბოლოო შეფასება დანახახარჯებისა და სარგებლის ანალიზს მოითხოვს. აუცილებელია საშუალებების გამოყენების, როგორც ძირითადი და თანმხლები, ასევე გრძელვადიანი და მოკლევადიანი შედეგების გათვალისწინება და გაანალიზებული დონისძიებების ურთიერთშედარება. გარდა ამისა, ყოველთვის არის მოსალოდნელი ცალკეული პრობლემის წარმოშობა.

ეკონომიკური პოლიტიკის ისეთ დონისძიებათა ძიების პროცესში, რამაც თავიდან უნდა აგვაშოროს დასახული მიზნისაგან გადახვევა, თავდაპირველად აუცილებელია შემოწმდეს თუ რამდენად მნიშვნელოვანია მოსალოდნელი

რევაზ გველისიანი

შედეგი უშუალოდ ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებთან დამოკიდებულებით. მიზნის მიმართ კონფორმულად უნდა მივიჩნიოთ ყველა ის ღონისძიება, რომელიც მიესადაგება ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემების გადაჭრას. მიზნის მიმართ კონფორმულობით ხასიათდება მიზანშეწონილი ღონისძიებებიც.

ასეთი შემოწმების შედეგად ტელეოლოგიური მიდგომა ყალიბდება, მაგრამ იგი არ ითვალისწინებს აქვს თუ არა საკუთარი ღირებულება შერჩეულ საშუალებებს. ამასთან ერთად, გასარკვევია რა თანმხლები ზემოქმედება შეიძლება იქონიოს მათმა გამოყენებამ ეკონომიკური პოლიტიკის სხვა მიზნებზე. აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ კიდევ განსახილველი და გასაანალიზებელია ის შედეგები, რაც შეიძლება მათ გამოყენებას მოჰყვეს უფრო ფართო საზოგადოებრივ მიზნებთან დამოკიდებულებით. მაგალითად, ინფლაციის შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ და ღონისძიებად განვიხილოთ როგორც ფულის ქქსანების შენელება, ასევე ფასებისა და ხელფასების კონტროლის მაქსიმალურად ფართო ქსელი. ორივე ღონისძიება, როგორც წესი, მიზნის მიმართ კონფორმული იქნებოდა. ამავე დროს ისინი სხვადასხვანაირად უნდა შევაფასოთ, ერთი მხრივ, ეკონომიკური ზრდის ასპექტით, მეორე მხრივ, კი განაწილების ასპექტით, ვინაიდან ორივე ღონისძიება ეკონომიკური პოლიტიკის განსხვავებულ მიზნებს წარმოადენს. ასევე, სრულიად სხადასხვაგარ შეფასებას მოითხოვს ის, თუ რა დამოკიდებულებაშია საერთოდ მიზნები უფრო მასშტაბურ, ინდივიდუალური თვაისუფლების საზოგადოებრივ მიზანთან. ასეთი საკითხების განსახილველად აუცილებელია სხვა მნიშვნელოვანი კრიტერიუმების გათვალისწინება.

რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია შემოწმდეს და გააზრებულ იქნეს მიზნის მიმართ კონფორმულ საშუალებათა მნიშვნელობა. ეს უნდა განხორციელდეს მიზანთა მთელ სისტემასთან დამოკიდებულებით, იმ მიზნების ჩათვლით, რომლებიც ძირითად დირებულებებად არის მიჩნეული. გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული დანახარჯების შესამცირებლად საჭიროა ისეთი კრიტერიუმი, რომელიც

ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა

შეფასებას გააძლვილებს. უნდა გამოვიყელით, აგრეთვე, ეკონომიკური პოლიტიკის პროგრამიდან გამომდინარე, კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტისათვის როგორ საშუალების გამოყენებაა დასაშვები. ასეთი პროგრამა არის ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფცია. იგი გვაწვდის საკმარის და ერთმნიშვნელოვანი ინფორმაციას არსებითი და პოლიტიკურად მნიშვნელოვანი კონსენსუსის შესახებ, როგორიც გულისხმობს, რომ ეკონომიკას, როგორც საზოგადოებრივ მიზანთა უფრო მომცველი სისტემის შემადგენელ სფეროს, დაქვემდებარებული ადგილი უჭირავს. ამით განისაზღვრება მისი ღირებულება, რისი გათვალისწინებაც გვიაღვილებს დავადგინოთ მიზანი ხასიათდება ოუ არა სისტემის მიმართ კონფორმულობით.

სისტემის მიმართ კონფორმულობა სწორედ ის კრიტერიუმია, რომლითაც იზომება ის, რაც მთავარია მოცემული ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფციაში. მირითადი დერძია კოორდინაციის ის მეთოდები, რომლებიც ეკონომიკას ახასიათებს, როგორც დაქვემდებარებულ სფეროს (ქვესისტემას). მნიშვნელოვანია სწორედ ამ საყრდენი დერძის არჩევა, ვინაიდან ეკონომიკის როგორც ქვესისტემის არსებობა კოორდინაციის მეთოდების ფუნქციონირებაზეა დამოკიდებული. ეკონომიკურ მდგომარეობასა და განვითარებას, ერთი მხრივ, აქვს დამოუკიდებელი ღირებულება, მეორე მხრივი იგი წარმოადგენს უფრო მასშტაბური (გლობალური) საზოგადოებრივი მიზნების მიღწევის საშუალებას.

კოორდინაციის მეთოდების თვალსაზრისით რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკა თავისებური დუალიზმით ხასიათდება. მირითადი ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტის საქმეში, პასუხისმგებლობის გადანაწილების მხრივ, ის კერძო სექტორზეა ორიენტირებული. მეორე მხრივი იგი ეკონომიკის კონკრეტულ ტიპია, რომელსაც შეუალებური ადგილი უჭირავს წმინდა საბაზრო ეკონომიკასა და ცენტრალიზებულად მართვად ეკონომიკას შორის. აქედან გამომდინარე, მასში სახელმწიფო სექტორი მნიშვნელოვნად გამოირჩევა. ასე, რომ გლობალური საზოგადოებრივი საქონლით უზრუნველყოფის კოორდინაცია ცენტრალიზებულად რეგულირდება. საბაზრო ბერკეტებითა და ცენტრალიზებულად რეგულირდებული სექტორები ერთმანეთთან კავშირშია მართვის სხვადასხვა

რევაზ გველესიანი

დონისძიების საფუძველზე, რაც ეკონომიკური პოლიტიკის მიზანდასახულობით ხორციელდება. ღუალისტური ხასიათის მქონე სისტემის ფუნქციონირების შესაძლებლობა, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია იმაზე თუ:

- რამდენად კოორდინირებულად მუშაობს ორივე სექტორი;

• რა ზეგავლენას ახდენს საბაზრო კოორდინაციის სექტორის ფუნქციონირებაზე, მისი მართვის მიზნით, სახელმწიფოს მიერ გატარებული დონისძიებები.

სისტემის მიმართ კონფორმულობის კრიტერიუმი ცენტრალიზებულად მართვადი საბაზრო ეკონომიკისათვის ძალზე მნიშვნელოვანია. მისი საშუალებით მართვასთან დაკავშირებულ დონისძიებათა სიზუსტე შესაძლებელია საბაზრო კოორდინაციის ასპექტით შეფასდეს. კოორდინაციის მეთოდების ფუნქციონირების გაუმჯობესება ან გაუარესება იმას ნიშავს, რომ ზოგიერთმა მიზანმა, რომელსაც კონკრეტული დუალისტური სისტემის საფუძველზე ვესწრავით, დადგებითი ზემოქმედება განიცადა, ზოგმაც - უარყოფითი. შეფასების პრობლემის წარმოშობა სწორედ ამას უკავშირდება. რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკის კონკრეტულ ტიპთან დამოკიდებულებით, გასარკვევია თუ რა შედეგი მოაქვს გააზრებულ დონისძიებას. განაწილების მიზნებიდან გამომდინარე, საქმე იმის გარკვევას ეხება „დაზიანდა“ თუ არა საბაზრო კოორდინაცია და ხომ არ შემცირდა განაწილების სიზუსტე.

კონცეფციისა და სისტემის მიმართ კონფორმულობის კრიტერიუმის გამოყენებამ რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკის პირობებში თავიდან უნდა აგვაცილოს დეზორიგნტირებული ინტერეგნციონიზმი. ასეთ ინტერეგნციონიზმს, უპირველეს ყოვლისა, ორი ფაქტორი განაპირობებს:

- ჯერ ერთი, იმ ადამიანების თვალსაწიერის შეზღუდულობა, რომლებიც ეკონომიკის ქვესისტემის სპეციფიკურ პრობლემათა ანალიზით არიან დაკავებული. ამავე დროს, პირდაპირ ზეგავლენას განიცდიან ისინი ან როგორც უშუალოდ პოლიტიკური თანამდებობის პირები (მინისტრი ან შესაბამისი საპარლამენტო კომიტეტის წევრი) ან როგორც ინტერესთა ჯგუფის დამცველები (რომელიმე გაერთიანების

ექონომიკური თეორია და ექონომიკური პოლიტიკა

ფუნქციონერი);

• მეორეც, პოლიტიკური მოღვაწე მუდაშ წარმატების მიღწევის წესის ქვეშაა, ვინაიდან იგი ცდილობს მოკლე საპარლამენტო პერიოდში ისეთი დონისძიებები გაატაროს, რომელიც მაქსიმალურ უკუგებას მოიტანს. იგი გათვლას მიზნის მოკლევადიან ზემოქმედებებზე აკეთებს და გრძელვადიან პერსპექტივას არ ითვალისწინებს.

ინტერვენციონიზმის საფრთხე, უპირველეს ყოვლისა, არის ის, რომ იგი არასასურველ კუმულაციურ ეფექტებს იწვევს. იქმნება უამრავი ისეთი სიტუაცია, რომლის დროსაც სისტემა ფასდება, როგორც ფუნქციონირების უნარის არმქონე. მაგრამ ასეთი შეფასება შესაძლებელია მცდარი აღმოჩნდეს. საქმე ის არის, რომ გათვალისწინებული არ არის გატარებულ დონისძიებათა შემოწმებისა და შესწორების შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში პასუხგაუცემელი რჩება კითხვა იმის შესახებ, რომ დონისძიებათა კორექტივების შემდეგ სისტემა კვლავ შეძლებს თუ არა ფუნქციონირებას. საერთოდ, იმთავითვე არ გამოირიცხება, რომ სწორედ ასეთი კორექტივების შემდეგ გახდეს შესაძლებელი ძნელად მისაღწევ მიზნებთან მიახლოვება, რომელთა გამოც სისტემა ფუნქციონირების უნარის არმქონედ შეფასდა.

ეპონომიკური პოლიტიკის დონისძიებათა სისტემის მიმართ კონფორმულობის შემოწმებისას მიზანშეწონილია იმ ინსტიტუტებს დაგეურდნოთ, რომლებიც საბაზრო-ეკონომიკურ წესრიგს აყალიბებს. ისინი უნივერსალური თვისებებით ხასიათდება და აკმაყოფილებს საყოველთაობის, დიარბისა და განსაზღვრულობის კრიტერიუმებს. რაც შექება ინტერვენციებს, მათ არც დიარბა ახასიათებთ და არც საყოველთაობა. პირიქით, ამ შემთხვევაში კონკრეტულ ეკონომიკურ შედეგებს სტირად მხოლოდ გარკვეულ ინტერესთა ჯგუფები იმკიან. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური პოლიტიკის გადაწყვეტილებათა რეალიზება მით უფრო ძნელია და იგი უფრო დიდ ზიანს აყენებს თვითრეგულირებადი ბაზრის ფუნქციონირებას, რაც უფრო მეტად შორდება შესაბამისი წესები უნივერსალურობის თვისებას.

მეცნიერ Tuchfeldt-ის კლასიფიკაციით, გამოიყოფა

რევაზ გველესიანი

კონფორმულობის ხეთი ხარისხი. ეკონომიკური პოლიტიკის დონისძიებები სისტემისათვის შეიძლება იყოს: აუცილებელი, ხელშემწყობი, ადეკვატური, გამაუარესებელი ან დამანგრეველი [1, გვ.207]. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ისე როგორც ზოგადად კატეგორიათა ჩამოყალიბების დროს, ამ შემთხვევაშიც კონფორმულობის ხარისხის შორის საზღვრები ცვალებადობით ხასიათდება. ამიტომაც, მნიშვნელოვანია ისინი გავიაზროთ, როგორც ორიენტირები იმ შეალაზე, რომლის ერთ ბოლოში სისტემისათვის აუცილებელი, მეორეში კი სისტემის დამანგრეველი დონიძიებებია განთავსებული.

სისტემისათვის აუცილებელია ყველა ის დონისძიება, რომელთა საფუძველზეც კოორდინაციის სპეციფიკური მეთოდები ყალიბდება. საბაზრო კოორდინაციის შემთხვევაში საქმე ეხება, როგორც კომპეტენციების გადანაწილებასა და მათ კონტროლს, ასევე წარმატების მოტივთა სამართლებრივი ფორმების ჩამოყალიბებას. უპირველეს ყოვლისა, სამართლის იმ ფორმებს, რომლებიც აგებს და აწესრიგებს როგორც კერძო ავტონომიას, ასევე მისი გაცნობიერების საშუალებებს. ეკონომიკური პოლიტიკის ამოცანების ასპექტით ამაში უპირატესად წესრიგის პოლიტიკა იგულისხმება.

სისტემის ხელშემწყობად კი ისეთი დონისძიებები ითვლება, რომლებიც მისი ფუნქციონირების შესაძლებლობას უზრუნველყოფს. საბაზრო კოორდინაციის შემთხვევაში ასეთ დონისძიებებს ის ზომები განეკუთვნება, რომლებსაც განაწილებასა და კონკურენციასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის მიზნით ახორციელებენ.

სისტემის მიმართ ადეკვატურია ისეთი დონისძიებები, რომლებიც ან სრულიად არ ზღუდვავს მის ფუნქციონირებას, ანდა უმნიშვნელო ზიანს აყენებს მას. ამ დონისძიებებში შედის ის ზომები, რომლებსაც შემოსავლების მიღების შესაძლებლობათა გათანაბრების მიზნით ატარებენ. შემოსავალების გადანაწილების მაგალითზე ნათლად ჩანს, რომ სისტემის მიმართ კონფორმულობა, ამ შემთხვევაში, დამოკიდებულია მიღებული ზომების ფორმასა და დოზირებაზე.

სისტემის გამაუარესებელი დონისძიებები, მართალია, ამცირებს მისი ფუნქციონირების შესაძლებლობას, მაგრამ არ ანგრევს მას. ამ ტიპის დონისძიების მაგალითია ისეთი

ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა

საკანონმდებლო ზომები, რომლებიც ზღუდავს ბაზარზე შესვლის შესაძლებლობას. სისტემის გამაუარესებელ ზომებთან გვაქს საქმე, როდესაც ერთი მხრივ, წესდება მობილობის დამაბრკოლებელი საკანონმდებლო შეზღუდვები, რაც დაკავშირებულია ანულირების უფლების შეზღუდვასთან, მეორე მხრივ კი, როდესაც სოფლის მეურნეობის ისეთი ხელშემწყობი ზომები ტარდება, რომლებიც ფასების მარებულირებელ ფუნქციას აუქმებს. ასეთი ღონისძიებები გარდა ნაწილობრივი ზემოქმედებისა, სისტემის დამანგრეველ კუმულაციურ ეფექტებსაც იწვევს.

სისტემის დამანგრეველი ღონისძიებები ან საგრძნობლად აფერხებს მის ფუნქციონირებას, ანდა მის პარალიზებას იწვევს. სწორედ ასეთ ღონისძიებათა კატეგორიაში შედის: სავალუტო კონტროლი, საბაზო კოორდინაციიდან გარევული სექტორების ამოდება, ფასებისა და ხელფასების კონტროლი, ინვესტიციების სახელმწიფოებრივი მართვა და სხვა. ამასთან, ხშირად ხდება ხოლმე, რომ სისტემის დამანგრეველი ერთი რომელიმე ღონისძიების უზრუნველყოფის მიზნით სხვა ისეთი რამ ტარდება, რომელიც მისი წარმატების გარანტია. ასეთი ღონისძიების მაგალითია წარსულში საფრანგეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნებისმიერი მცდელობა, რომ როგორმე საგარეო სავაჭრო კანონმდებლობის საშუალებით კონტროლი დაწესებინათ კაპიტალის საერთაშორისო მიმოქვევაზე. კაპიტალის იმპორტთან დამოკიდებულებით ეს ღონისძიებები მოიცავს როგორც ფულადი დეპოზიტისა და კუპონის გადასახადს, ასევე ლიცენზირების ვალდებულებას ფასიანი ქადალდების უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის მიყიდვის შემთხვევაში. ასეთი ღონისძიებები იწვევს შეზღუდვათა ჯაჭვურ რეაქციას, რომლის შეწყვეტის მიზნით აუცილებელი ხდება ცალკე ზომების გატარება.

გრადაციასთან დაკავშირებული სიძნელები მაშინ წარმოიშობა, როდესაც საქმე ცალკეული ღონისძიების ორგანიზებასა და დოზირებას ეხება. ასევე იმას, თუ რა და რა ღონისძიებებთან არის შესაძლებელი მისი კომბინირება. აღნიშნული სიძნელები უფრო მეტად იჩნებს თავს, რაც უფრო ბუნდოვანია ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფცია.

გრადაციები, რომლებიც ზემოაღნიშნულ კრიტერიუმს

რევაზ გველისიანი

აქმაყოფილებს, იმ მოთხოვნას ემყარება, რომ კონცეფციით გამოხატული პოლიტიკური კონსენსუსი ძალაშია ეკონომიკის ქვედა დონის წესრიგის ფარგლებს გარეთაც (ანუ მთელ საზოგადოებაში). ასეთი წანამდღვრის გათვალისწინება იმას ნიშნავს, რომ მაგ., სისტემის გამაუარესებელი დონისძიების შემთხვევაში აქცენტი უარყოფით გვერდით ზემოქმდებაზე კეთდება. ის ზეგავლენა, რომლის მიღება დონისძიებით სურთ, იერარქიულად უფრო მაღალ საფეხურზე დგას, ვიდრე ყველა ის თანმხლები ზემოქმდება და აქვდან გამომდინარე, შედეგი, რომელიც კოორდინაციის ფუნქციონირების უნარს ზღუდავს.

სისტემისადმი კონფორმულობა რეგულირებად საბაზო ეკონომიკასთან დამოკიდებულებით არ არის იგივე, რასაც (თუნდაც ნაწილობრივ) ბაზრის მიმართ კონფორმულობაში ვგულისხმობთ. ბაზრის მიმართ კომფორმულობასთან მაშინ გვაქს საქმე, როდესაც „ფასწარმოქმნის მექანიზმი და ბაზრის თვითრეგულირება, რომელსაც იგი იწვევს. კი არ უქმდება, არამედ მას ახალი „მახვენებლები“ ემატება და მათთან ასიმილირება ხდება“ [2, გვ.578]. ფასწარმოქმნის მექანიზმის ასპექტით რაღაც დონისძიება, რომელიც ბაზრის მიმართ კონფორმულია, შესაძლებელია საბაზრო კოორდინაციისათვის საზიანო აღმოჩნდეს, გააუარესოს სისტემა ან სულაც დაანგრიოს იგი. ამის მიზეზი შესაძლებელია იყოს როგორც დოზირების პრობლემა, ასევე ის მოკლევადიანი ოუ გრძელვადიანი ზემოქმედებები, რომლებიც თან ახლავს საშუალებების გამოყენებას. დოზირების პრობლემის კლასიკური მაგალითია აკრძალვითი ბაჟი. ერთი შეხედვით, ალოკაციისაგან განსხვავებით, ასეთი დონისძიება არ აზიანებს ფასწარმოქმნის მექანიზმს, ამიტომაც იგი ბაზრის მიმართ კონფორმული დონისძიებაა. მეორე მხრივ, საგარეო გაჭრობაში აკრძალვითი ბაჟის შემოღებით გამოწვეული ზემოქმედება აუქმებს კონკურენციის შეზღუდვის კონტროლის შესაძლებლობას. ამიტომ, ეს დონისძიება აუარესებს სისტემის მუშაობას. რაც შეეხება იმ დონისძიებებს, რომელთა მიზანია სოფლის-მეურნეობის პროდუქციაზე ფასების გამყარება ინტერვენციაზე მოთხოვნის საშუალებით, ის ზიანს არ აყენებს ფასწარმოქმნის მექანიზმს (ცხადია, ოუ ეს ჭი -ს მოთხოვნებს არ ეწინააღმდეგება) და ამდენად ბაზრის მიმართ კონფორმული დონისძიებებია. გარდა ამისა, ის შესაძლებელია სისტემის

ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა

მიმართ კონფორმულ ღონისძიებებადაც ვაღიაროთ, თუ ინტერვენციაზე მოთხოვნის საშუალებით აგრარულ ბაზარზე ფასების მერყეობის შემცირება მოხერხდება. თუ სახელმწიფო ინტერვენციის შემთხვევები დაგეგმილს დიდად აჭარბებს, ეს უკვე უტესარი ნიშანია იმისა, რომ საბაზო კოორდინაციის ფუნქციონირება დაირღვა ანუ აშკარა რესურსების გაფლანგვის შემთხვევა. ეს ღონისძიება სისტემის გამაუარესებელი ზომაც იქნება. რაციონალურობის წანამდლერიდან გამომდინარე და მიზნის მიმართ კონფორმულობის გათვალისწინებით, ასეთი ღონისძიებები მაშინ იქნება გამართლებული, თუ: 1) ხელი არ მიგვიწვდება სოფლის მეურნეობის ხელშემწყობ სხვა უფრო ადეკვატურ ზომებზე, 2) მათ (ზომებს) უფრო ნაკლები რესურსები და დანახარჯები დაჭირდება.

რაც შეეხება არჩევანის შესაძლებლობებს, ინტერვენციის შესახებ განხილული წესების [3, გვ.178-206] საფუძველზე უნდა აღინიშნოს, რომ:

- მიზნის მიმართ კონფორმულობის კრიტერიუმის გამოყენება მხოლოდ იმის უფლებას გვაძლევს, რომ ღონისძიებათა ვარგისიანობის შესახებ მხოლოდ ერთიანი (არადიფერენცირებული) მოსაზრება გვერდებს;

- კონცეფციის თუ სისტემის მიმართ კონფორმულობის კრიტერიუმი მხოლოდ წინასწარი მსჯელობის ნებართვას გვაძლევს, რომლის საფუძველზე მიზნის მიმართ კონფორმულ ღონისძიებათა აგრეთვე მხოლოდ წინასწარ არჩევა შეიძლება.

ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლისათვის მინიჭებული თავისუფლებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ერთმანეთისაგან განვიახვავოთ:

- საშუალების დისკრეციული გამოყენება, როდესაც მთლიანად ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლის შეფასებაზეა დამოკიდებული რომელიმე საშუალება რა სიტუაციაში და როგორ გამოიყენოს;

- საშუალების გამოყენება წესის მიხედვით, როდესაც ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლის შეფასება იმით იზღუდება, რომ თავიდანვე იძულებითი (სავალდებულო) სამართლებრივი წესით განსაზღვრულია: რა პირობებში, რა საშუალება, რა დოზით და რამდენი ხნით უნდა გამოიყენოს [4, გვ. 322].

რევაზ გველისიანი

ბალზე ცვალებადია საზღვარი, რომელიც ერთმანეთის-გან პყოფს საშუალების დისკრეციულ გამოყენებას (რომელსაც შემთხვევით ინტერვენციასაც უწოდებს) და წესის მიხედვით მის გამოყენებას, რასაც ფორმალურ მოქნილობადაც მოიხსენიებენ ხოლმე. მეორესთან, უპირველეს ყოვლისა, მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც საშუალებას სტაბილიზების პოლიტიკის მიზნით იყენებენ.

საქუთარი შეხედულებით მოქმედების თავისუფლება და საშუალების დისკრეციული გამოყენება შესაძლებელია, რამდენადაც ეკონომიკური პოლიტიკის სიტუაცია მიზნისადმი მაქსიმალურად კონფორმული საშუალების გამოყენების ნებას გვაძლევს. ამას წინ ეღობება რამდენიმე დაბრკოლება. სწორედ დაყოფნებებისა და მათთან დაკავშირებული საფრთხის გამო, სტაბილიზების მიზნით შემოღებულმა ღონისძიებამ შესაძლებელია საწინააღმდეგო შედეგი გამოიღოს. ამას მივყავართ მიზნებისა მოსაზრებამდე: საქმე ეხება დაყოფნების ელემენტთაგან ზოგიერთის მოცილებას, ხოლო სხვებისათვის მოქმედების ხანგრძლივობის შემცირებას. უფრო წინ წესების შემოღების შემთხვევაში შესაძლებელია ინსტანციებთან დაკავშირებული დაყოფნებების თავიდან აშორება, ანდა შემცირება. წინასწარი დიაგნოზის მიხედვით მომავალში ერთნაირი კონკრეტული მოვლენები (მაგ., უმუშევრობის კვიტის ზრდა) ეკონომიკური პოლიტიკის ერთნაირ შედეგებამდე (სტრუქტურული ან ციკლური უმუშევრობა) მიგვიყანს და მათი თერაპიაც (საშემოსავლო გადასახადის შემცირება) ერთნაირი იქნება.

უნდა აღინიშნოს, რომ შემთხვევითი ინტერვენციებით დაყოფნების საფრთხეებს ვერ ავიცილებთ. პირიქით ეკონომიკური პოლიტიკის იდეების ფორმირების ასპექტიდან გამომდინარე, საკითხები სურს და შეუძლია თუ არა საგანონმდებლო ხელისუფლებას სათანადოდ გამოიყენოს შეფასების ის არეალი, რომელსაც მას ადმასრულებელი ხელისუფლება თავაზობს. შეფასების თავისუფლებისა და შემთხვევითი ღონისძიებების

წინააღმდეგ რამდენიმე პრეტენზია ჩნდება, რომლებიც აუცილებლობას არ წარმოადგენს წესების შემოსაღებად:

- საკუთარი შეხედულებით მოქმედების თავისუფლებამ

ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა

შესაძლებელია არასასურველი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების ცდუნება აღძრას. პარლამენტს შეიძლება შეცდომით ეგონოს, რომ რაც შეიძლება ბევრი კანონის მიღება მისი წარმატებული მუშაობის დადასტურებაა. ასევე შესაძლებელია, აღმასრულებელი ხელისუფლებაც საფრთხის წინაშე დადგეს, საკუთარი შეხედულებით მოქმედების თავისუფლება ბოროტად გამოიყენოს და ამით მაღალუფლების დემონსტრირება მოახდინოს;

• საკუთარი შეხედულებით მოქმედების თავისუფლება აადვილებს ეკონომიკური პოლიტიკის ლავირებას მოკლევადიან შედეგთან დამოკიდებულებით. ამავე დროს, მას თან ახლავს საფრთხე, რომელიც ჯამურ ნეგატიურ ეფექტს უკავშირდება. ლავირებისკენ სწრაფვა იწვევს ინტერვენციების ზრდას, რასაც თან ახლავს, როგორც მოკლე, ასევე გრძელვადიან ზემოქმედებათა მატება. ეს ამნელებს ანდა სრულიად შეუძლებელს ხდის შედეგების საპარლამენტო კონტროლს და ლავირებისკენ სწრაფვას კიდევ უფრო აძლიერებს;

• საკუთარი შეხედულებით მოქმედების თავისუფლება შესაძლებელს ხდის, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება ინტერესთა ჯგუფების გავლენის ქვეშ მოექცეს. კერძო ინტერესების რეალიზება უფრო ადვილია, როდესაც აღმასრულებელი ხელისუფლება მათ მხარს უჭერს. ასეთი ზეწოლის თავიდან აცილება მიიღწევა მხოლოდ საკანონმდებლო კონტროლის გზით;

• შემთხვევითი დონისძიებები ამნელებს ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვასა და გეგმაზომიერ კოორდინაციას. ერთი მხრივ, მისი წინასწარ განჭერება უფრო მნელია, ვიდრე წესების მიხედვით განხორციელებული ინტერვენციებისა. მეორე მხრივ კი, შემთხვევით ინტერვენციებთან დაკავშირებული დანაკარგები და კონტროლის ცდომილებები მაშინ ჩნდება, როდესაც ეკონომიკური პოლიტიკის გეგმების შემოწმებისა და კოორდინაციისათვის გარკვეული დროა საჭირო;

• წარმატების წინაპირობაა მართვის ცოდნა, რის დეფიციტიც ხშირია განვიცდით. ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ელემენტების ურთიერთქმედებათა არასაკმარისი ცოდნა, ხშირ შემთხვევაში, უზარმაზარი რისკის წინაშე გვაყენებს. ამის მიზეზია გადამეტებული ნდობა,

რევაზ გველისიანი

რომელსაც უცხადებთ უცნობ, დაყოვნებულ ზემოქმედებათა პროგნოზირების შესაძლებლობებს.

წესების დადგენის სხვადასხვა ფორმაში რამდენიმე საერთო სტრუქტურული ელემენტი გამოიყოფა. ეკონომიკური პოლიტიკის ინსტანცია ან ზუსტად დადგენილი წესის მიხედვით მოქმედებს, ანდა მისი მოქმედების შესაძლებლობები შეზღუდულია. აუცილებელია ისეთი ინიცირებული ვითარებების (ინდიკატორები) განსაზღვრა, რომელიც ინსტანციას ავალდებულებს ანდა უფლებას ანიჭებს, რომ მან აუცილებელი მოქმედება განახორციელოს, ანდა დადგენილ ფარგლებში იფუნქციონიროს. დადგენილმა წესებმა ავტორიტეტის ძალა რომ შეიძინოს აუცილებელია წესებიდან გადახვევა სანქციებით ისჯებოდეს. ამიტომაც საჭიროა წესების დაცვის გაკონტროლება.

ის, რაც მართვის შესახებ მოძღვრების ასპექტით დისკრეციული პოლიტიკის წარმატების წანამდგრის შესახებ ითქვა, უფრო მეტად ძალაშია საკუთარი შეხედულებით მოქმედების შედარებით შეზღუდული სფეროს მიმართ. პრობლემის კონკრეტული არეალის შესახებ არსებული ცოდნის მოცულობა, როგორც წესი, შეზღუდულია. ეს შემდეგი დილემის წინაშე გვაყენებს: ისეთი წესების შემოღება, რომლებმაც უნდა მოაწესრიგოს საკუთარი შეხედულებით მოქმედების შესაძლებლობები, მარცხით სრულდება. იმის გამო, რომ არასაქმარისია მართვის შესახებ ცოდნა. საშუალების დისკრეციული გამოყენების ასპექტითაც პოლიტიკური პრობლემების გვერდით თავს ცოდნასთან დაკავშირებული სირთულეები იჩენს. თუ ამ პირობებში შესაძლებელია შემთხვევითი ინტერვენციები, რომლებსაც პარლამენტი გააკონტროლებს, ისინი პრობლემური მაინც იქნება. საჭმე ის არის, რომ ინსტანციების მხრივ დაყოვნების პროცესი კიდევ უფრო გაჭიანურდებოდა და ამ მასშტაბის კანონშემოქმედება სულის შემხუთველი საკანონმდებლო პროცესი იქნებოდა, რომელიც მოქალაქეთა ეკონომიკურ აქტივობას საფრთხეს შეუქმნიდა. ეს კი დასცემდა საკანონმდებლო ხელისუფლების ავტორიტეტს. მიუხედავად ამისა, პევრ დემოკრატიულ ქვეყანაში სწორედ ასეთი ეფექტული საკანონმდებლო პროცესი შეინიშნება. ეს ნათელს პფენს იმ მოვლენასაც, თუ რატომ

ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა

არის გამართლებული კვება ის არგუმენტაცია, რომელიც სტანდარტული ვალდებულებების შემოღებას მხარს უჭერს. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ კანონმდებელს სურს ეკონომიკური პოლიტიკა წესების საშუალებით ჩამოაყალიბოს. შემდეგ კი ეფექტურული არგუმენტაციის გზით ეს წესები დაიცვას და სიმყარე მიანიჭოს.

იმ შემთხვევებში, როდესაც შესაძლებელია წესების შემოღება და მათი რეალიზება, ეკონომიკური პოლიტიკის მცირე ინტერვენციის რამდენიმე შესაძლებლობა არსებობს. შესაძლებელი ზარალის თავიდან აცილების მიზნით, მათი გათვალისწინება აუცილებელია. მცირე ინტერვენცია და „ეკონომიკური პოლიტიკის მეტი სიმყარე“ [5, გვ.285]. ერთი მხრივ, ეს იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკური პოლიტიკის უფრო ცოტა შანსი არსებობს, მაგრამ მისი კონტროლის სიზუსტეთან დაკავშირებული რისებიც მცირდება. იზრდება ეკონომიკური პოლიტიკის მოქმედების პროგნოზირების შესაძლებლობა და დროის ასპექტით იგი სრულ შესაბამისობაშია საბაზრო კოორდინაციის მოთხოვნებთან.

რაც უფრო მეტად არის გათვალისწინებული და დაფასებული საბაზრო კოორდინაციის თვითრეგულირების უნარი, მთ უფრო მცირდება შემთხვევითი ინტერვენციების საფრთხე. უპირატესობა ენიჭება თანმიმდევრულ, გრძელვადიანსა და ფრთხილ ეკონომიკურ პოლიტიკას. განსაკურებელი სიფრთხილეს უნდა ვიჩნდეთ, როდესაც ვცდილობთ ჩარჩო პირობების დადგენას თვითრეგულირების გაუმჯობესების მიზნით.

იმ შემთხვევებში, როდესაც არსებობს წესების შემოღების შესაძლებლობა, ინტერვენციის პოლიტიკასთან შედარებით უპირატესობა სწორედ მას უნდა მივანიჭოთ. ასე უნდა მოხდეს მაშინაც, თუ ინტერვენციები თვითრეგულირების პრინციპულად გაუმჯობესების საშუალებას გვაძლევს. წესები გულისხმობს როგორც წინასწარი პროგნოზისას ევენე ეკონომიკური პოლიტიკის ერთჯერადი გადაწყვეტილების შესაძლებლობას. რაც უფრო იძულებითი (სავალდებულო) და მკაფიოდ ფორმულირებულია რომელიმე წესი, მთ უფრო მცირდება ინსტანციებთან დაკავშირებული დაყოვნების პროცედურა.

Logics of Applying Possibilities of Economic Policy Rationally

R. Gvelsiani

In order to apply means of economic policy rationally, it's important to follow a certain principle of succession. First of all, it should be considered how much the given means support to realization of the goal. Such means might be evaluated from the point of view of conformity to the goals. Afterwards, they should be evaluated on the basis of conformity to the concept and the system. In this way it can be determined how much conforming the measure is with the concept. This allows to make a preliminary choice. Final evaluation of economic policy measures requires cost-benefit analysis. At the same time, it is necessary to take into consideration basic and accompanying as well as short and long term results of applying the measures. Intercomparison of the analyzed measures is also very important.

გამოყენებული ლიტერატურა

1. TUCHTFELDT, E. (1960), Zur Frage der Systemkonformitaet wirtschaftspolitischer Massnahmen; in H. J. SERAPHIM (Hrsg.): Zur Grundlegung wirtschaftspolitischer Konzeptionen (Schriften des Vereins fuer Socialpolitik, N. F. Bd. 18), Berlin;
2. THALHEIM, K. C. (1955), Zum problem der Einheitlichkeit in der Wirtschaftspolitik in K. MUHS (Hrsg.): Festgabe fuer Geirg Jahn, Berlin; 2004;
3. TUCHTFELDT, E. (1982). Wisrtcschaftspolitik, in: Handwoerterbuch der Wirstchaftswissenschaft, Bd. 9, Stuttgart;
4. STREIT E. M., Theorie der Wisrtcschaftspolitik, 6. Auflage, Stuttgart, 2005;
5. EUCKEN, W. (1959), Grundsaezze der Wsrtcschaftspolitik, 7. Aufl., Tuebingen, 2004;
6. რ. გველესიანი, ი. გოგორიშვილი, ძირითად საზოგადოებრივ დირებულებებთან ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების შესაბამისობა, თბ., 2012.

**საქართველოს ერცარებების აღლიზიას
სრულყოფის მიმართულებები**

**სლავა ჭეთელავა
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი**

**შალვა მოგიაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი**

ბოლო პერიოდში ექსპერტთა და სხვა დაინტერესებული მოქალაქეების მხრიდან სისტემატურად კეთდება განცხადებები ქვეყნის ცალკეული სასაქონლო ბაზრის მონოპოლიზაციის და მონოპოლიის წინაღმდეგ მებრძოლი ანტიმონოპოლიური სამსახურის შექმნის აუცილებლობის შესახებ. ამასთან, იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს, აღნიშნული სამსახურის შექმნის შემდეგ, ქვეყანაში დაიწყება საწვავის, წამლების და სხვა საქონლის ფასების მყისიერი კლება, რაც სხვა არაფერია, თუ არა ფართო საზოგადოების შეცდომაში შეეფანა. შესაბამისად, თუ ანტიმონოპოლიური სამსახურის შექმნა ფასების კლებას არ გამოიწვევს (ზოგადად, საზოგადოების დიდ ნაწილს არა მხოლოდ საწვავის და წამლის ფასი მიაჩნია მაღალ ფასად), ამას მოყვება საზოგადოების უარყოფითი რეაქცია.

აქვე გვინდა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ექსპერტთა უმეტესობა პანაცეად მიიჩნევს ანტიმონოპოლიური სამსახურის შექმნის აუცილებლობას, მაშინ როდესაც

სლავა ჭეთელავა, შალვა გოგიაშვილი

ასეთი სამსახური საქართველოში 1992 წლიდან არსებობს [1, გვ.131]. ის ჯერ საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს შიგა სტრუქტურული ერთეულის სახით ფუნქციონირებდა 1992-1996 წლებში, ხოლო 1997-2005 წლებში კი – უპვე ამავე სამინისტროს სისტემაში, ოღონდ, საქართველოს პრეზიდენტის წინაშე ანგარიშგალდებული სტრუქტურული ერთეულის სახით როგორც საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური. ამასთან, სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ლიკვიდაციის შემდეგ (2005 წლის აგვისტო), იმავე დღეს შეიქმნა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სახით - თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო, რომლის საქმიანობის ძირითადი მიზნები და ამოცანები [2, გვ. 35] იგივე იყო, რაც ლიკვიდირებული ანტიმონოპოლიური სამსახურის (შინაარსობრივად - კონკურენცია, ანტიმონოპოლია და ანტიტრასტი სინონიმებია). მოგვიანებით, 2010 წლის მეორე ნახევრიდან, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სისტემიდან გამოყვანილ იქნა თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო და იმავე სახელწოდების საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით ჩამოყალიბდა საქართველოს მთავრობის სტრუქტურაში. ამასთან, ევროკავშირის ექსპერტთა (შვედი ექსპერტების) აქტიური ჩარევით, 2011 წლის ბოლოს, სსიპ თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო შეერწყო სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, რის შედეგადაც უკვე 2012 წლის 1 იანვრიდან ფუნქციონირებს სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო. შესაბამისად, მსჯელობა იმაზე, რომ ქვეყანაში ანტიმონოპოლიური პოლიტიკის გამტარებელი ორგანო არ არსებობს და ის ახლა, 2013 წელს უნდა შეიქმნას, არასწორია.

ჩვენ შორს ვართ იმ მოსაზრებისაგან, რომ საქართველოში რეალიზებული კონკურენციული (ანტიმონოპოლი-

ეპინოიქური თეორია და ეპინოიქური კოლექცია

ური) პოლიტიკა პასუხობს დღევანდელ (ან თუნდაც 2005 წლამდელ) მოთხოვნებს, მაგრამ ის, რომ ანტიმონოპოლიური პოლიტიკის რეალიზაციის სფეროში არსებობს მნიშვნელოვანი ხარვეზები, არ ნიშნავს ასეთი პოლიტიკის არ არსებობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ დღეს მსჯელობა უნდა იყოს არა ახალი ანტიმონოპოლიური სამსახურის შექმნაზე, არამედ იმაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს არსებული კონკურენციის ორგანოს გაძლიერება. ეს უკანასკნელი კი მიღწევადია „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ ჩარჩო კანონის სრულყოფისა და დახვეწის გზით. ამასთან, საჭიროების შემთხვევაში, არც კონკურენციული კანონმდებლობის აღმასრულებელი ორგანოს სტრუქტურულ რეორგანიზაციასა და მენეჯმენტის შეცვლაზე უნდა დავიხიოთ უკან, თუმცა, ეს არ ნიშნავს ცარიელ ნიადაგზე ახალი სტრუქტურის შექმნას.

ამასთან, გულისტყვილით უნდა აღვნიშნოთ, რომ ექსპერტები, რომლებიც ანტიმონოპოლიური სამსახურის შექმნის ინიციატივით გამოდიან (მოგვიტევეთ, მაგრამ ხანდახან რჩება შთაბეჭდილება, რომ ექსპერტთა გარკვეულ ნაწილს ანტიმონოპოლიური სამსახური და კონკურენციის სააგენტო სხვადასხვა ფუნქციის ქვენე ინსტიტუტები ჰგონია) და ამ სამსახურის შექმნას უკავშირებენ ქვეყანაში ფასების პრობლემის მოგვარებას, ცუდ სამსახურს უწევენ ქვეყნის აღმასრულებელ ხელისუფლებას, რადგანაც კონკურენციის სააგენტოს (იგივე ანტიმონოპოლიური სამსახურის) ამოცანა ვერ იქნება ფასების კონტროლი და რეგულირება. ფასებით რეგულირებას ექვემდებარება მხოლოდ ბუნებრივი მონოპოლიის სექტორი და ამ საქმეს მეტ-ნაკლები წარმატებით თავს ართმევენ შესაბამისი დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისიები. რაც შეეხება ლიბერალურ ბაზრებზე ფასების რეგულირებას (ფასების გამოცხადებას, თუ გამოცხადებუ-

ლი ფასების სისწორის დაცვას და ა.შ.), ეს ყოფილი ფასების სახელმწიფო ინსპექციის პრეროგატივა იყო და მასზე სახელმწიფომ 2005 წლის აგვისტოდან, სრულიად სამართლიანად, თქვა უარი. შესაბამისად, ლიბერალურ ბაზრებზე ფასების რეგულირების 2005 - წლამდელი მექანიზმების შემოღება არ შეესაბამება საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს. აღნიშნულიდან გამომდინარე მოლოდინი, რომ ანტიმონოპოლიურ სამსახურის ჩამოყალიბებით მოხდება ქვეყნის სასაქონლო ბაზრებზე დღეს არსებული თავისუფალი საბაზრო ფასების გადახედვა, სხვა არაფერია თუ არა საკითხისადმი არასწორი მიღებომა და დემაგოგია. ერთადერთი, რაც უნდა მოეთხოვოს ქვეყნის კონკურენციის (ანტიმონოპოლიურ) ორგანოს, ესაა - შესაბამისი სასაქონლო ბაზრების ანალიზი და მონიტორინგი. თუ მოკლეულ ბაზრებზე აღგილი ექნება დემპინგური, ან მონოპოლიურად მაღალი ან დაბალი ფასების გამოყენებას (რასაც სერიოზული დასაბუთება სჭირდება), ასევე, კონკურენციის შემზღვდავ შერწყმებს, შეთანხმებებს, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას და ა.შ., სწორედ ასეთი უკანონო ქმედებები უნდა აღკვეთოს კონკურენციის სამსახურმა. თუმცა, ყოველივე ამას სჭირდება სრულყოფილი სამართლებრივი ბაზა. ამდენად, ამ ეტაპის უპირატესი ამოცანა სწორედ კონკურენციის ჩარჩო კანონის სრულყოფაა. მართალია, დღეს ამ საკითხზე დიად მიღის მსჯელობა, მაგრამ, ერთმნიშვნელოვნად იმის თქმა, რომ ქვეყნის საკონკურენციო სამართლებრივი ნორმა იქნება სრულყოფილი, ძნელია; ქვეყნის აღმასრულებელ ხელისუფლებას ადრეც არაერთხელ ჰქონია ამის მზაობა (ყოველ შემთხვევაში დეკლარირების დონეზე), მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიმდგარა, სრულყოფილი სამართლებრივი ნორმა არც ერთხელ არ მიუღიათ. ამ ეტაპზე, არსებობს კონკურენციის კანონის რამდენიმე ახალი ვერსია. ერთ-ერთი მათგანი უკვე წარდგენილია საქართველოს პარლამენტში ინიცია-

ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა

ტივის დონეზე. ჩვენი აზრით, საქმარისია ქვეყნის ეკონომიკის წინაშე მდგარი ანტიმონოპოლიური გამოწვევების დაპ-მაყოფილება „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის სრულყოფით. კანონს უნდა ჩამოშორდეს მასში უცხო სხეულივით შეჭრილი დებულებები, რითაც მოხდება მისი ცალკეული დამახინჯებული მუხლის დახვეწა და ევროკავშირის შესაბამის ნორმებთან დაახლოება არა მხოლოდ სათაურის, არამედ შინაარსის დონეზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი მიზანია წარმოვაჩინოთ ის ნაკლოვანებები, რაც „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს მოქმედ კანონს (2012 წლის 8 მაისის რედაქცია) გააჩნია და დავსახოთ მათი გამოსწორების გზები.

1) არასწორად მიგვაჩნია, რომ კანონი არ ვრცელდება იმ პაზრებზე, რომელთა საქონლური ბრუნვა არ აღემატება მშპ-ის 0,25%-ს [3, მუხლი 4, „ვ“ პუნქტი], რადგანაც იქმნება იმის საშიშროება, რომ მარილის, ასანთის და სხვა შსგავსი ბაზრები (სადაც დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტები ანტიმონოპოლიური რეგულირების არც თუ ისე შორეულ წარსელში იყო გამოვლენილი და აღკვეთილი) არ მოხვდება კონკურენციის კანონის რეგულირების სფეროში. მით უმეტეს იმ ფონზე, რომ „საქართველოს 2010 წლის მშპ-ის მოცულობიდან გამომდინარე, 0,25% დაახლოებით 52 მლნ ლარს შეადგენს“ [4, გვ.17];

2) გაუმართლებელია, რომ კანონი არ ვრცელდება ქვეყნის უსაფრთხოების მნიშვნელოვან ობიექტებზე და თავდაცვისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოებისათვის საჭირო საქონელსა და მომსახურებაზე [3, მუხლი 4, პუნქტი „ზ“], რადგანაც აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ ეკონომიკური აგენტი არეალიზებს თავდაცვისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოებისათვის საჭირო საქონელსა და მოსახურებას (ასეთი საქონელი შეიძლება იყოს საწვავიც),

სლავები უერელაპა, შალვა გოგიაშვილი

მაშინ მას შეუძლია ამ სფეროში დაარღვიოს კონკურენციის ზოგადი პრინციპები და იმოქმედოს თავისი შეხედულებით, მათ შორის, არაკეთილსინდისიერადაც (აქსიომაა ის, რომ კონკურენციის კანონი კეთილსინდისიერ მეწარმეებს ბიზნესის კეთებაში ხელს კი არ უშლის, არამედ ახალისებს მათ. ამდენად, გაურკვეველია - რატომაა საფრთხის შემცველი და რატომ არ უნდა ვრცელდებოდეს კონკურენციის ზოგადი ნორმები იმ კონომიკურ აგენტებზე, რომლებიც ამ ბიზნესით იქნებიან დაკავებულები; ასეთი მიდგომით, ხომ შეიძლება არც საგადასახადო, არც საბაჟო და ა.შ. სამართლებრივი ნორმები არ გავრცელდეს ამ ან სხვა სფეროებზე და მაშინ რას მივიღებთ; მით უმეტეს, ბაზრის მონაწილე სუბიექტის მიერ კონკურენციის ნორმების იგნორირებით, სხვა სუბიექტ-თავის მიყენებული ზიანი, ძირითადად (უმრავლეს შემთხვევაში) დიდად აღემატება საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევით მიყენებულ ზიანს);

3) კანონი არ ვრცელდება ისეთ პორიზონტალურ ხელშეკრულებებზე, რომლის მხარეთა ერთობლივი საბაზრო წილი შესაბამის ბაზარზე არ აღემატება 25%-ს, ხოლო ვერტიკალური ხელშეკრულებების შემთხვევებში - 40%-ს. ასევე, კანონი არ ვრცელდება თუ კონომიკურ აგენტთა შორის დადებული ხელშეკრულება მოიცავს როგორც პორიზონტალური, ასევე ვერტიკალური ხელშეკრულების მახასიათებლებს, რის გამოც რთულია მისი კლასიფიკაცია ამა თუ იმ სახეობის ხელშეკრულებად, და ამ ხელშეკრულების მხარეთა ერთობლივი საბაზრო წილი შესაბამის ბაზარზე არ აღემატება 40%-ს [3, მუხლი 8, პუნქტები „ა“, „ბ“, „გ“].

ადსანიშნავია, რომ ევროკავშირის რეკომენდაციებით, ეს მაჩვენებლები პორიზონტალური ხელშეკრულების შემთხვევაში, არ უნდა აღემატებოდეს 10%-ს, ვერტიკალური ხელშეკრულების შემთხვევაში - 15%-ს, ხოლო, როდესაც რთულია კლასიფიკაცია, მაშინ მასში მონაწილე მხარეთა

ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა

ერთობლივი წილი შესაბამის ბაზარზე არ უნდა აღემატებოდეს 10%-ს [5; 8; 11];

4) კანონში ჩადებული სახელმწიფო დახმარებების მარეგულირებელი დებულებები მთლიანად კარგავს აზრს, რადგან სახელმწიფო დახმარებების განმარტებაში [3, მუხლი 3, პუნქტი „ტ“] აღნიშნულია, რომ ის არ გულისხმობს საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის და ქალაქ თბილისის მერიის სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი თანხების დახარჯვას. არადა, ამ თანხებმა შესაძლებელია ცალკეულ სასაქონლო ბაზარზე არსებულ კონკურენციაზე არსებითი გავლენა იქონიოს. მითუმეტეს, „2011 წლის მონაცემებით, აღნიშნული სარეზერვო ფონდების მოცულობამ ჯამში 102 მლნ ლარი შეადგინა“ [6, გვ.9];

5) კანონის თანახმად დასაშვებია ნებისმიერი სახეობის გადასახადების შემცირებისა და რესტრუქტურიზაციის შემთხვევა, თუ აღნიშნულ საკითხებზე გადაწყვეტილებებს იღებს საქართველოს მთავრობა [3, მუხლი 12, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „ო“], რაც ყოვლად გაუმართლებელია, რადგანაც ცალკეული ეკონომიკური აგენტისათვის, ამა თუ იმ ფორმით, გადასახადის შემცირების ან/და რესტრუქტურიზაციის თაობაზე გადაწყვეტილებას ყოველთვის მთავრობა იღებს (იღებდა). შესაბამისად, თუ არ იქნება ამ ნაწილში კონკურენციის ზოგადი პრინციპები დაცული, არაა გამორიცხული ადგილი პქონდეს პატიოსან მეწარმეთა ინტერესების საზიანო ქმედებებს;

6) კანონის რეგულირებიდან გამოსულია საგადასახადო დაგალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების შეჩერებისა და საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის შემთხვევები [3, მუხლი 12, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „ი“], რაც ასევე არასწორია, რადგანაც ასეთი გამონაკლისებით ადგილადაა შესაძლებელი შეიღლახოს კეთილსინდისიერი კონკურენციის პრინციპები შესაბამის სასაქონლო ბაზე-

ბზე. ამიტომ, ვფიქრობთ, საჭიროა მეტი ერთგულება ეკონო-
მიკური კონკურენციის ზოგადი პრინციპებისადმი, რითაც
საბოლოო ანგარიშით, მოიგებს შესაბამისი ბაზრის ყველა
მონაწილე, სახელმწიფოს ჩათვლით;

7) კანონი არ ითვალისწინებს, არადა აუცილებელია,
რომ კონკურენციის მთავარი სახელმწიფო ორგანო იყოს
აღჭურვილი ისეთი უფლებამოსილებით, რომ მის მიერ მიღე-
ბული გადაწყვეტილებების გაუქმების უფლება არ ჰქონდეს
არავის, გარდა სასამართლო ხელისუფლებისა (კონკურენცი-
ის ორგანოს უნდა ჰქონდეს არა სარეკომენდაციო ხასიათის,
არამედ შესასრულებლად საგადაღებულო გადაწყვეტილებების
მიღების უფლებამოსილება);

8) სამწუხაროდ, კანონის მიხედვით, მთავრობის მიერ
გაცემულ სახელმწიფო დახმარებებზე საბოლოო გადაწ-
ყვეტილებას, კონკურენციის სააგენტოს რეკომენდაციების
საფუძველზე, ისევ მთავრობა დებულობს, რაც ასევე არას-
წორია (კონკურენციის ორგანო უნდა იყოს მთავრობის მიერ
მიღებული კონკურენციის შემზღვდავი გადაწყვეტილებების
გამომვლენი და აღმკვეთი და არა მთავრობისათვის
კონკურენციის დარღვევის ფაქტებზე მხოლოდ რეკომენდა-
ციების შემუშავებელი);

9) პრობლემატურია ისიც, რომ „თავისუფალი ვაჭრო-
ბისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის
თანახმად, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს უფლება არა აქვს მთავრობისაგან დამოუკიდე-
ბლად (საკუთარი ინიციატივით) მოახდინოს სასაქონლო ბა-
ზრების ანალიზი. კერძოდ, მას ამ უფლებას ანიჭებს საქართ-
ველოს მთავრობა წინასწარ განსაზღვრულ პრიორიტეტულ
მიმართულებებზე. შესაბამისად, იმ ბაზრებზე, რომლებიც
პრიორიტეტულ მიმართულებებში არაა მოქცეული, რომც
ჰქონდეს ადგილი არაკეთილსინდისიერ კონკურენციას, მასზე
რეაგირების უფლებამოსილება სააგენტოს არ გააჩნია. ე.ი.

ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა

სააგენტო პასუხს არ აგებს იმ ბაზრებზე არსებულ არა-კონკურენტულ მდგომარეობაზე, რომლებიც მთავრობას პრი-ორიტეტულ მიმართულებებში არ აქვთ შეტანილი, რაც არას-წორი და გაუმართლებელია;

10) მიგაჩნია, რომ ინდივიდუალური სახელმწიფო დახ-მარების უმნიშვნელო ოდენობის განსაზღვრა უნდა ხდე-ბოდეს არა მთავრობის გადაწყვეტილებით, არამედ კანონით; მითუმეტეს, ამ ნაწილში არსებობს ევროკავშირის რეგულა-ცია, რომლითაც განსაზღვრულია დე მინიმის-ს ზედა ჩარ-ჩო [7]; ჩვენი აზრით, დე მინიმის-ს საკითხით მანიპული-რების უფლება აღმასრულებელ ხელისუფლებას არ უნდა ჰქონდეს;

11) ფაქტია, რომ ევროკომისიის თანხმობა არ სჭირდ-ება იმ სახელმწიფო დახმარებებს, რომლებიც გაცემულია მცირე და საშუალო ზომის საწარმოებზე; კვლევისა და გან-ვითარებისათვის; გარემოს დაცვისათვის; დასაქმებისა და ტრენინგებისათვის; ასევე, რეგიონურ დახმარებას, რომელიც დამტკიცებულია კომისიის მიერ თითოეული წევრი სახელმ-წიფოსათვის. სამწუხაროდ, ევროკავშირის ეს მიდგომა სახელმწიფო დახმარებების ნაწილში, გაფართოებულ და განვირცობილ იქნა იმ კუთხით, რომ საქართველოში დღეს მოქმედ კონკურენციის ჩარჩო კანონში ჩაიდო როგორც გამონაკლისი - საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის, გადასახადის შემცირების და სხვა მსგავსი საკითხები, რაც, არა თუ აახლოებს, არამედ წინააღმდეგობაში მოდის ევ-როკავშირის პრინციპებთან სახელმწიფო დახმარების გა-ცემის ნაწილში. უფრო მეტიც, კანონის ეს ნაწილი თვით „კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგიის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 დეკემ-ბრის №1551 განკარგულებასთანაც მოდის წინააღმდეგობაში, რადგანაც ამ სტრატეგიის თანახმად განსაზღვრულია, რომ „კონკურენციის ჩარჩო კანონით სახელმწიფო დახმარება

განიმარტება ევროპაგშირის კანონმდებლობის შესაბამისად“ [8, გვ.177], რაც სამწუხაროდ, არ იქნა გათვალისწინებული კონკურენციის 2012 წლის 8 მაისის კანონის მიღების დროს. ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ კანონის ეს ნაწილი სერიოზულ რედაქციულ (და არა მარტო რედაქციულ) სრულყოფას საჭიროებს;

12) კანონი არ ითვალისწინებს ეკონომიკური კონკურენციის სამართლებრივი ბაზის აღსრულების ხელისშემწყობ რიგ მნიშვნელოვან დეფინიციას - „არაკეთილსინდისიერი კონკურენცია“, „უმნიშვნელო საბაზრო ძალაუფლება“, „მონოპოლიური საქმიანობა“ (კანონში ამის ასახვის აუცილებლობა გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად - „ . . . აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა“ [9, გვ.11-12]. შესაბამისად, დაკონკრეტება იმისა, თუ როგორ საქმიანობას ჰქვია „მონოპოლიური საქმიანობა“, ჩარჩო კანონმა უნდა განსაზღვროს ან კონსტიტუციაში უნდა შევიდეს ცვლილება და იქ ჩაიწეროს, რომ აკრძალულია არა „მონოპოლიური საქმიანობა“, არამედ „დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება“. ეს უკანასკნელი კი, უკვე კონსტიტუციას მოივანს კანონთან შესაბამისობაში), „კონკურენციულზე მაღალი ფასი“, „დემპინგი“ და სხვ.;

13) კანონი უნდა ითვალისწინებდეს უკანონოდ გაცემული სახელმწიფო დახმარების უკან დაბრუნებების ვალდებულებას. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოდის, რომ კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევით გაცემული სახელმწიფო დახმარება დაგვაფიქსირეთ, მაგრამ მის მიმღებს ვეუბნებით, რომ ოქვენ, მართალია, დაარღვიეთ კანონი, თუმცა, კანონი თქვენს ქმედებაზე პასუხისმგებლობას არ ითვალისწინებს (ეს „კანონის“, ზოგად, ჩარჩო პრინციპებს ეწინააღმდეგება); დავის საგანი არ შეიძლება იყოს ის, რომ ნებისმიერი კანონი

რეგულირების სფეროს მკაცრ ჩარჩოებში აქცევს და ამით იცავს სამართლიანობას. სამართლიანობის დაცვა კი, დანაშაულის არა მხოლოდ გამოვლენა, არამედ მისი აღკვეთა და დასჯაცაა (წინააღმდეგ შემთხვევაში, აზრს კარგავს დანაშაულის გამოვლენაც);

14) კონკურენციის ორგანოს უფლება უნდა ჰქონდეს, საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტების მიმართულებების გარდა, სხვა ნებისმიერ სასაქონლო ბაზარზე, აუცილებლობის შემთხვევაში, შეუზღუდავად მოახდინოს რეაგირება არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტებზე და დასაბუთების შემთხვევაში, აღკვეთოს ის;

15) ასევე უნდა აღინიშნოს, რომ კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „გ“ პუნქტები, ჩვენი აზრით, ურთიერთშესაბამისობაშია მოსაყვანი. პირველ შემთხვევაში, („გ“) საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მიუღუბლობისას, მოკვდევის მიზნით სასამართლოს წარედგინება შეამდგომლობა აგენტის მიერ შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის დავალდებულების თაობაზე, ხოლო მეორე („გ“) შემთხვევაში, საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის მიუწოდებლობის შემთხვევაში, კონომიკურ აგენტს უწევდება აღმინისტრაციული ჯარიმა (ჯარიმების დაკისრება ყველა შემთხვევაში მხოლოდ სასამართლოს მეშვეობით უნდა ხდებოდეს). ასეთ შემთხვევებში (ეხება ინფორმაციის ოუ დოკუმენტაციის მიუღუბლობას) სააგენტო ინფორმაციის (დოკუმენტაციის) მიუწოდებლობაზე უნდა აღგენდეს აღმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს და უგზავნიდეს სასამართლოს (მოთხოვნით თანხის დაკისრება+დავალდებულება ინფორმაციის/დოკუმენტაციის მოწოდებაზე) საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად (ეს ერთმნიშვნელოვნად უნდა იკითხებოდეს კანონში);

16) არის კიდევ ისეთი საკითხი კანონში, რაც აზრთა სხ-

სლავა ჭეთელაშვილი, შალვა გოგიაშვილი

ვადასხვაობას იწვევს. კერძოდ, საქართველოს კონკურენციის ჩარჩო კანონის შესაბამისად (თავი VII), ჯარიმები მიბმულია ეკონომიკური აგენტის მიერ წინა ფინანსურ წელს მიღებულ მოგებაზე, ხოლო თუ მას მოგება არ მიუღია იმ პერიოდში, მაშინ ჯარიმი ებმება ბრუნვას (2%-ით). აქ ექსპერტები მირითადად პროცენტის სიდიდეზე დავობენ, რაც არასწორია, რადგანაც, ჩვენი აზრით, ის, თუ რა პროცენტი უნდა იყოს სანქციებთან დაკავშირებით განსაზღვრული, არის ქვეყნის მთავრობის და პარლამენტის გადასაწყვეტი. შესაბამისად, ამ ნაწილში პრეტენზიები არ შეიძლება იყოს მიღებული. ერთადერთი, რაც ჩვენი აზრით, შეიძლება იყოს სადაცო, ესაა – კანონდარღვევის აღმოფხვრამდე სანქციის (საურავის) დაკისრების საკითხი, რასაც ევროკომისია ახორციელებს არაუმეტეს წინა წლის საშუალოდდიური ბრუნვის 5%-ის [10] ფარგლებში, რაც კონკურენციის 2012 წლის 8 მაისის კანონით არაა გათვალისწინებული.

Regarding Improving Competition Policy of Georgia

**S. Petelava
Sh. Gogiashvili**

The article critically analyses the issues of improving competition policy in Georgia. It's highlighted that it's not among the competencies of the Antitrust Service to regulate and control markets through prices. Though, restriction of monopolistic activities and limitation of unfair competition will obviously contribute to regulation of monopolistic prices.

The authors consider that the competition (antitrust) service has to analyze and monitor relevant markets. If case there are some cases of damping or monopolistic high or low prices, mergers and agreements restricting competition, abuse of dominant position, etc. - such illegal acts should be eliminated by the competition department. However, in order the country's competition service is able to reveal antitrust activities and prevent them a perfect legal framework is needed. Thus, currently, the primary objective is to improve legal framework of the competition. Consequently, specific suggestions for improving the law on Free Trade and Competition adopted on May 8, 2012 are suggested.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ფეხულავა ს., კონკურენციის თეორია და ანტიმონიპოლიური რეგულირება საქართველოში, „ლოი“, თბ., 2007;
2. გოგიაშვილი შ., კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკა და საკანონმდებლო პრაქტიკა საქართველოში, „ინვაცია“, თბ., 2009;
3. „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი, 2012 წლის 8 მაისი;
4. კონკურენციის პოლიტიკა, საბაჟო პროცედურები, ინტელექტუალური საკუთრების უფლებები, ევროპის სამეცნიერო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შესრულება საქართველოში 2011 წელს, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა შეფასება, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის ევროინტეგრაციის პროგრამა, თბ., 2012 წლის იანვარი;
5. ევროკომისიის რეგულაცია №2658/2000, 2000 წლის 29 ნოემბერი;
6. „კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგია“, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 დეკემბრის №1551 განკარგულება;

7. ევროპავმირის რეგულაცია №2790/1999, 1999 წლის 22 დეკემბერი;

8. ევროპავმირის რეგულაცია №1/2003, 2003 წლის იანვარი;

Commission Regulation (EC) #69/2001 of 12 January 2001 on the application of Articles 87 and 88 of the EC Treaty to de minimis;

9. Commission Regulation (EC) #994/98 of 7 May 1998 on the application of Articles 92 and 93 of the Treaty establishing the European Community to certain categories of horizontal state aid;

10. saqarTvelos konstitucia, gamomcemloba „raizi“, Tb., 2005; 3

11. „გონიერების პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგია“, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 დეკემბრის №1551 განკარგულება.

**ელექტრონული სახელმძღვანელოს
შექმნის თეორიულ-ეთოლოგიური
საკითხები**

**ანარ ლაგვილავა
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის
ასოცირებული პროფესიონალი**

სწავლების კომპიუტერული ტექნოლოგიები (ეკრანის ქვეყნების სამეცნიერო ლიტერატურაში მას მობილურ ტექნოლოგიებსაც უწოდებენ) ყველაზე ზოგადი განმარტებით, არის პერსონალური კომპიუტერების, სხვა მცირებაბარიტიანი აპარატული საშუალებების, პროგრამული უზრუნველყოფის, ინტერნეტ-სერვისების, აგრეთვე იმ ხერხების, მეთოდებისა და წესების ერთობლიობა, რაც საშუალებას იძლევა განხორციელდეს სასწავლო ინფორმაციის ელექტრონული თავმოყრა, შენახვა, დამუშავება, ასახვა ტექნიკური, აუდიო, ვიდეო და გრაფიკული საშუალებებით ოპერატიული კომუნიკაციის პირობებში საერთაშორისო კომპიუტერული და საკომუნიკაციო ქსელების რესურსების გამოყენებით [1, გვ.99].

განათლების ინფორმატიზაციის ცენტრალური ცნებებია „ელექტრონული სწავლება“ (e-learning) და ელექტრონული სახელმძღვანელო.

ელექტრონული სწავლება როგორც ცნებაა, რომელშიც აკუმულირდება და ინტეგრირდება განათლების სფეროში გამოყენებული ინფორმაციური ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები: სწავლების კომპიუტერული ტექნოლოგიები, ინტერაქტიული მულტიმედია, სწავლება ვებ-ტექნოლოგიების ბაზაზე, on-line სწავლება და ა.შ. ამ ტერმინმა თანდათან გამოდევნა ფართოდ გავრცელებული ტერმინი „დისტანციური სწავლება“. შესაბამისად იშლება საზღვრები დაშორებულ სწავლებასა და უშუალოდ სასწავლებლის ფარგლებ-

ენვერ ლაგვილავა

ში სწავლებას შორის. ელექტრონული სწავლება ასახავს სასწავლო პროცესის დისტანციური და ტრადიციული ორგანიზაციის ინტეგრაციას ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ბაზაზე.

განათლების თანამედროვე სისტემა ევროპის წამყვან ქვეყნებში ვითარდება სასწავლო დაწესებულების საქმიანობის ყველა სფეროში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვით და ძირითადად განპირობებულია ინტერნეტ-ტექნოლოგიების საშუალებებზე თავისუფალი წვდომით. ეს უკანასკნელი იწვევს სასწავლო პროცესის ტრადიციული მიღებობისა და მეთოდების მნიშვნელოვან ცვლილებებს.

ელექტრონული სწავლება მოსწავლეებსა და მასწავლებლებს აძლევს ინფორმაციის არატრადიციულ წყაროებზე თავისუფალი წვდომის საშუალებას, ამაღლებს დამოუკიდებელი მუშაობის ეფექტიანობას, იძლევა შემოქმედების, საკუთარი უნარების გამოვლენისა და განვითარების სრულიად ახალ შესაძლებლობებს. გარდა აღნიშნულისა, შესაძლებელი ხდება რეალიზებული იქნება სწავლების სხვა ახალი ფორმები და მეთოდები. ამ მიზნით ფართოდ გამოიყენება ლოკალური და გლობალური საინფორმაციო ქსელები, ტელეკონფრინგენციები, ელექტრონული ფოსტა, ფორუმი, ჩატი და ა.შ.

ელექტრონული სწავლება საშუალებას იძლევა თანამედროვე პედაგოგიკური ტექნოლოგიები გახდეს პიროვნებაზე ორიგინარებული და მიმართული იყოს მოსწავლის ინდივიდუალური უნარების განვითარებაზე.

სამეცნიერო ლიტერატურაში ფართოდაა განხილული ელექტრონული სწავლების უპირატესობების დამადასტურებელი მრავალი მაჩვენებელი და პარამეტრი. საკმაო კურადღება ეთმობა მის უარყოფით მხარეებსაც, თუმცა, ავტორთა უმრავლესობის აზრით, ის არაარსებითია და ხასიათდება შემცირების ტენდენციით. ელექტრონული სწავლება მოითხოვს განსხვავიშეული ცორებებისა და მეთოდების გამოყენებას

ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური კოლექტივი

სწავლების სხვადასხვა დონისა და საფეხურების მიხედვით. შესაბამისად, მისი გამოყენების შედეგებიც წარმოსდგება გარკვეული სპეციფიკური მაჩვენებლებით. უნდა აღინიშნოს, რომ ელექტრონული სწავლების სხვადასხვა ფორმა განსაკუთრებით ფართოდ და ეფექტიანად ინერგება უმაღლესი სკოლის სისტემაში. უმაღლეს სასწავლებელში ელექტრონული სწავლების ფართოდ დანერგვა გამოიწვევს შემდეგ მნიშვნელოვან ცვლილებებს:

- მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო მომსახურების სპექტრის გაფართოება;
- სტუდენტთა ცოდნის ამაღლება და უნარ-ჩვევების გაფართოება;
- შესასწავლი მასალის მიმართ ინტერესის გაზრდა, მასალის საინტერესო ფორმებითა და პირობებში მიწოდების ხარჯზე;
- პედაგოგთა პროფესიული ზრდისა და კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებობა;
- სტუდენტთა დატვირთვის შემცირება;
- საგანმანათლებლო რესურსების დროული განახლებისა და გავრცელების უზრუნველყოფა, მათი ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- ერთდროულად მოსწავლეთა რაოდენობის ზრდა;
- სტუდენტთა სწავლების უწყვეტობის უზრუნველყოფა დროითი და სივრცული შეზღუდვების მოხსნის ხარჯზე;
- სტუდენტთა მუშაობის (სწავლის) პერსონალური გრაფიკის უზრუნველყოფა;
- შეაღედური და ფინალური ატესტაციების გაიოლება და გამრავალფეროვნება.

საქართველოს განვითარების ახალი სოციალურ-ეკონომიკური რეალიები, რაც ხასიათდება მოსახლეობის სოციალური და პროფესიული მობილობის არსებითად გააქტიურებით, მოითხოვს განათლების ორგანიზაციის ისეთი ახალი,

მნერ ლაგოლავა

ადეპვატური ფორმების ძიებასა და დანერგვას, რომლებიც უზრუნველყოფს მოსახლეობის მიერ განათლების მიღებაზე ან ადრე მიღებული განათლების სრულყოფაზე მზარდი მოთხოვნების დაქმაყოფილებას.

აშკარაა, რომ განათლების ტრადიციული კონცეფციური და ფორმები ახალ პირობებში კარგავს ეფექტურობას და ჩამორჩება მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების სტანდარტებს. ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემაა ხარისხიანი საგანმანათლებლო მომსახურებისა და რესურსებისადმი წვდომის შემცირება. წამყვანი უმაღლესი სასწავლებლები, რომლებსაც გააჩნიათ კვალიფიციური პედაგოგები და სხვა საგანმანათლებლო რესურსები, ძირითადად კონცენტრირებულია მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში, მსხვილ ქალაქებში, რაც მოსახლეობის უმრავლესობას უქმნის თითქმის გადაუდაბავ ფინანსურ და სხვა სახის ბარიერებს. ამიტომ, უდიდეს მნიშვნელობას იძენს განათლების სფეროში ისეთი ახალი სამეცნიერო მიმართულებებისა და ცნებების წარმოშობა და განვითარება, როგორიცაა: განათლების ინფორმაციზაცია, ერთიანი საგანმანათლებლო სივრცე, განათლების მისაწვდომობა, ელექტრონული სასწავლო რესურსების ელექტრონული სწავლება [2, გვ.16].

ზემოთ აღნიშნული, ურთიერთდაკავშირებული, ინტეგრირებული სამეცნიერო მეთოდოლოგიური და გამოყენებითი პრობლემების კვლევა უნდა წარიმართოს იმ მიმართულებით, რომ მაქსიმალურად შეუწყოს ხელი შემდეგი ურთიერთდაკავშირებული სამეცნიერო და პრაქტიკული პრობლემების გადაწყვეტას:

– ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურების განვითარება, რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა დონის საგანმანათლებლო დაწესებულებათა ურთიერთკავშირს. რის შედეგადაც გაჩნდება სასწავლო დანიშნულების ინფორმაციული რესურსების რეალური ოპერატიული გაცვლის შესაძლებლობა, როგორც ტერიტორიულად დაშორებულ საგან-

ექონომიკური თეორია და ექონომიკური პოლიტიკა

მანალებლო დაწესებულებებს, ასევე მოსწავლეებს შორის;

– საგანმანათლებლო რესურსების ახალი ინფორმაციული გარემოს ჩამოყალიბება, ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების მოთხოვნასა და სწავლების პროცესში მისი გამოყენების თავისებურებების გათვალისწინებით;

– სასწავლო დაწესებულებების, მასწავლებლების, მეთოდისტების, სასწავლო პროცესის აღმინისტრატორების მასობრივი მომზადება ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ახალი საგანმანათლებლო რესურსების სწავლებაში ეფექტიანი გამოყენების მიმართულებით;

– სასწავლო პროცესის აღმინისტრირების ინფორმატიზაცია;

– სასწავლებლის ერთიანი საინფორმაციო სივრცის შექმნა, რომლის ძირითადი მიზნებია; მომხმარებელთა (მოსწავლეთა) სასწავლო მოთხოვნების მაქსიმალური ინდივიდუალიზაციის უზრუნველყოფა; ცოდნის ხარისხის ამაღლება სწავლების პროცესში ინფორმაციული რესურსების (ელექტრონული სახელმძღვანელოების, ცოდნის ბაზების, ელექტრონული ბიბლიოთეკების) გამოყენებით; სასწავლო პროცესის კომპლექსური მართვის ეფექტიანობის ამაღლება; რესურსების ეფექტიანი გამოყენება.

სასწავლო პროცესში გამოყენებული ტექნიკური და ტექნოლოგიური საშუალებების მრგვალფეროვნების მიუხედავად, სწავლების ხარისხი უწინარეს ყოვლისა, დამოკიდებულია სასწავლო მასალის სრულყოფილებაზე (ხარისხზე), მისი წარმოდგენის ფორმებსა და სასწავლო პროცესის ორგანიზაციაზე.

ინფორმაციის დიდი მოცულობა, სხვადასხვა ინფორმაციულ ნაკადსა და წყაროებს შორის მაღალი კონკურენცია წარმოშობს ახალ მოთხოვნებს სასწავლო მასალის წარმოდგენისა და მიწოდების ხერხების მიმართ. ცოდნისადმი ინტერესი ფართოვდება მისი მაქსიმალურად მოხერხებული და იოლად გასაგები სახით მიწოდების ხარჯზე. სწავლების

ენვერ ლაგოზიაშვილი

პროცესი მაქსიმალურად ეფექტიანი ხდება მაშინ, როდესაც მომხმარებელი ურთიერთმოქმედებს ისეთ გარემოსთან, სა- დაც ხდება სასწავლო და სათამაშო პროცესების დაახლოე- ბა. ამას ხელს უწყობს სამგანზომილებიანი ინტერაქტიული სისტემების შექმნა, რომელიც გამოიყენება ელექტრონული სწავლებისას სხვადასხვა სახეობის ამოცანის გადასაწ- ყვებად – სასწავლო მასალის ვიზუალიზებასა და პრ- ეზენტაციიდან, პერსპექტიული გეგმების შემუშავებასა და პროცესების სიმულაციამდე. ასეთი სისტემების ძირითადი უპირატესობებია: ვირტუალურ სივრცეში მუშაობისას მინი- მაღლური რისკები; ექსპერიმენტების დაბალი დირექტულება ვირტუალურ გარემოში; დისტანციურად ერთობლივი მუშაო- ბის შესაძლებლობა და სხვა [3, გვ.147–148].

ელექტრონული სწავლების სხვადასხვა ფორმისა და მეთოდების დანერგვა როგორც ტექნიკური და მეთოდი- კური ამოცანაა. მეტად აქტუალურია კომპიუტერული სწავ- ლების საშუალებათა შექმნის კონცეფციების დამუშავება. კომპიუტერული სწავლების უმთავრესი საშუალება გახ- და ელექტრონული სასწავლო მასალა (სახელმძღვანელო), რომელიც უზრუნველყოფს სწავლების, თვითმასწავლებლის, შესასწავლი მასალის დემონსტრირების, კონტროლისა და თვითკონტროლის, შეთვისებული ცოდნის სისტემატიზაციის, შესწავლილი მასალის პრაქტიკული გამოყენების ფუნქციე- ბის რეალიზაციას. ამგვარად, ელექტრონული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემაა სწავლების მრავალ- ფუნქციური საშუალების – ელექტრონული სახელმძღვანე- ლოს (კურსის) შექმნა [4, გვ.125].

სპეციალური ლიტერატურული წყაროების ანალიზ- ის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ელექტრონული სახელმძღვანელოს ერთიანი, უნივერსალური და ყოვლის- მომცველი განმარტების ჩამოყალიბება რთულია და არც არის აუცილებელი. მიზანშეწონილი იქნება რამდენიმე გან- მარტების ჩამოყალიბება, რომლებშიც ხაზგასმული იქნე-

ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა

ბა ელექტრონული სახელმძღვანელოს ერთი ან რამდენიმე თვისება, დანიშნულება, სპეციფიკა, მახასიათებელი და/ან ფუქცია. შესაბამისად, ელექტრონული სახელმძღვანელო წარმოადგენს:

— გრაფიკული, ტექსტური, ციფრული, აუდიო, ვიდეო, ფოტო და სხვა სახის ინფორმაციათა ერთობლიობას, რომელიც გაერთიანებულია ერთიანი საგნობრივ-თემატიკური, მეთოდიკური და დიდაქტიკური მოთხოვნებით და ორიენტირებულია მოსწავლის მიერ სასწავლო მიზნით გამოყენებისთვის. ელექტრონული სახელმძღვანელო შეიძლება განთავსდეს როგორც მანქანურ (კომპიუტერულ) მატარებელზე, ასევე გამოქვეყნებულ (წარმოდგენილ) იქნეს კომპიუტერულ ქსელებში;

— დისციპლინის შესაბამის სამეცნიერო-პრაქტიკულ სფეროში არსებული ისეთი სისტემატიზებული და აქტიური მასალების შემცველს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მოსწავლეების მიერ ამ სფეროში ცოდნის, უნარებისა და ჩვევების აქტიური და შემოქმედებითი დაუფლება. მას უნდა ახასიათებდეს ინფორმაციის სისრულე, გაფორმებისა და დიდაქტიკურ-მეთოდიკური თანხლების სრულყოფილი საშუალებები, ტექნიკური გადაწყვეტის, თვალსაჩინოებისა და ლოგიკურობის მაღალი დონე;

— ელექტრონულ სასწავლო-სახელმძღვანელოს გამოცემა, რომელიც ტრადიციულ სახელმძღვანელოს ცვლის ნაწილობრივ/მთლიანად, ან კიდევ წარმოადგენს მის დამატებას. იგი ოფიციალურად უნდა იყოს დამტკიცებული სათანადო სასწავლო-სამეცნიერო და სარედაქციო ორგანოების მიერ დია ან კორპორაციული სარგებლობისთვის. იგი არის ელექტრონული ტექსტი, მასთან დაკავშირებული მულტიმედია ფრაგმენტებით.

ელექტრონულ სახელმძღვანელოს შექმნაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ავტორის შემოქმედებას. იგი აყალიბებს როგორც ძირითად საინფორმაციო-სასწავლო

ენვერ ლაგოლავა

რესურსებს (კონტენტს), ასევე აპროექტებს სახელმძღვანელოს კონსტრუქციულ ელემენტებს, ქმნის სახელმძღვანელოს ფორმას. არსებობს ელექტრონული სახელმძღვანელოს რამდენიმე ჩამოყალიბებული (ტრადიციული) ფორმა, რომელსაც მეტ-ნაკლებად ეყრდნობა ნებისმიერი ავტორი:

– **ტესტი** ელექტრონული სახელმძღვანელოს უმარტივესი ფორმაა. ძირითად სირთულეს წარმოადგენს კითხვების შერჩევა და ფორმულირება, ასევე კითხვებზე პასუხების ინტერპრეტაცია. კარგად შედგენილი ტესტი უნდა იძლეოდეს იმ ცოდნის, უნარებისა და ჩვევების ობიექტურ სურათს, რომელსაც ფლობს მოსწავლე ცოდნის გარკვეულ სფეროში;

– **ენციკლოპედია** ელექტრონული სხელმძღვანელოს საბაზო ფორმაა. მასში კონცენტრირებული ინფორმაციული რესურსები უნდა იყოს სრული და ამომწურავი. ენციკლოპედია თავისი შინაარსით ასოცირდება ტრადიციულ სახელმძღვნელოსთან. ფაქტობრივად იგი უნდა მოიცავდეს ობიექტის შესახებ ამომწურავ თეორიულ, შინაარსობრივ მასალას. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ტექსტების მოცემულობისა და სტრუქტურის ჩამოყალიბებას, ცალკეულ ელემენტებს (მოდულებს) შორის შინაარსობრივი კავშირების დადგენას და მიმთითებლების (გადასვლების) დადგენას. ტექსტები უნდა შეიცავდეს მხოლოდ აუცილებელ და საკმარის ინფორმაციას;

– **სავარჯიშოების და ამოცანების კრებული** ტიპური ამოცანების გადაწყვეტის ინსტრუქციებით. მოსწავლე დებულობს კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტისთვის საჭირო მონაცემებს და სასწავლო ინფორმაციას. წარმოდგენილმა ამოცანებმა უნდა მოიცვას მთელი თეორიული მასალა.

თანამედროვე ელექტრონული სახელმძღვანელოები უნდა შეიცავდეს მოსწავლეთა ჯგუფური შემოქმედებითი მუშაობისთვის, მოდელირებისა და დაპროექტებისთვის საჭირო ინფორმაციულ-მეთოდიკურ და პროგრამულ საშუალებებს. ამ საშუალებათა ერთობლიობას **კრეატიულ სახელმძღვანე-**

ლოს უწოდებენ. ის ხელს უწყობს მასწავლებლის მიერ მიწოდებული გარკვეული პროექტის ფარგლებში მოსწავლეთა ჯგუფისთვის სათანადო უნარებისა და ჩვევების ფორმირებასა და განმტკიცებას. ასეთი კრეატიული სფერო შეიძლება თან ახლდეს ნებისმიერი ფორმის სახელმძღვანელოს, ასევე არსებობდეს დამოუკიდებელი ფორმის სახით.

ელექტრონული სახელმძღვანელოს ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა სასწავლო გარემოსადმი ადაპტირება. ყოველი სახელმძღვანელო შესაძლებელია ორიენტირებული იყოს კონკრეტული სასწავლებლისთვის, საეციალობისთვის, სასწავლო ჯგუფებისთვის, ხშირად კონკრეტული მოსწავლებისთვის. ამისათვის საჭიროა სათანადო **საავტორო სახელმძღვანელო**. ასეთი სფერო უზრუნველყოფს ენციკლოპედიაში დამატებითი მასალების ჩართვას, მასში კორექტივების შეტანას (განახლებას), სავარჯიშოების კრებულის ფორმირებას, მეთოდიკური მასალების მომზადებას. საავტორო სფერო ელექტრონული სახელმძღვანელოს შექმნის საშუალებებისა და მეთოდების ერთობლიობა.

ელექტრონული სახელმძღვანელოების უმრავლესობა (განსაკუთრებით ენციკლოპედიების სახით) ფორმით ვერბალურია, თეორია გადმოცემულია ტექსტური და გრაფიკული სახით, რაც წარმოადგენს ტრადიციული, პოლიგრაფიული გამოცემების მემკვიდრეობას. მაგრამ ხშირად შესაძლებელია და საკმაოდ კარგ შედეგს იძლევა მეთოდიკური ხერხი – „გააკეთე ჩემთან ერთად“. ასეთი არავერბალური სახელმძღვანელო უზრუნველყოფს რეალურ ან ვირტუალურ პედაგოგთან დასწრების ეფექტს. ის აღჭურვილია მდიდარი მულტიმედია შესაძლებლობებით და ვიზუალურ გამომსახულობითი საშუალებებით.

ელექტრონული სახელმძღვანელოების შექმნის წარმოდგენილი ფორმები შესაძლებლია რეალიზებულ იქნეს როგორც ცალკეული სახელმძღვანელოების სახით, ასევე მოხდეს მათი კომბინირებული (ჯგუფური) გამოყენება ერთი,

პენირ ლაგუბლავა

კონკრეტული სახელმძღვანელოს ფარგლებში. აქ უდიდეს როლს თამაშობს სახელმძღვანელოს ავტორის კომპეტენცია, მისი ოსატაზობა, გამომგონებლობა, მეთოდიკური და დიდაქტიკური ცოდნის ფლობის დონე. რასაკვირველია, ელექტრონული სახელმძღვანელოს ავტორს მოეთხოვება სერიოზული ცოდნა ელექტრონული სახელმძღვანელოების დაპროექტების და ზოგადად ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში.

სშირად, ინტერნეტ და მულტიმედია ტექნოლოგიებზე ორიენტირებული სახელმძღვანელოების შექმნა მოითხოვს დაპროექტების პროცესში ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტების მონაწილეობას. სახელმძღვანელოს შექმნის ცალკეულ ეტაპზე საჭირო ხდება ვებ-დაპროგრამების, ვებ-დიზაინის, 3 -დაპროექტების და სხვა სპეციალისტთა და სახელმძღვანელოს ავტორთა ერთობლივი მუშაობა. აქ განსაკუთრებით ეფექტიანად შეიძლება გამოყენებლ იქნეს, დაპროექტების პრინციპი „ზემოდან ქვემოთ“, როდესაც სახელმძღვანელოს შექმნის პროცესი სტრუქტურირდება ცალკეულ ეტაპებად: მოდულებად, ქვემოდულებად და ა.შ., განისაზღვრება მათი შესრულების ეტაპები, მოდულებს შორის კავშირები, მათი რეალიზაციის რეჟიმები და სხვა.

ზოგადად, ელექტრონული სახელმძღვანელოს შექმნის პროცესი პირობითად შეიძლება დავუოთ შემდეგ ძირითად სტანდარტულ ეტაპებად, რომელთაგანაც ზოგიერთი, თავის მხრივ, შეიძლება დაიყოს მოდულებად და ქვემოდულებად:

— **ლიტერატურულ-ტექსტური, გრაფიკული, მულტიმედია და სხვა წყრების შერჩევა.** შერჩეული წყაროები როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული უნდა პასუხობდეს შემდეგ პირობებს: დისციპლინის სტანდარტულ პროგრამასთან შესაბამისობა; გადმოცემის სტილი, ფორმები (მაგალითად ლაკონურობა); მაქსიმალურად მოხერხებული უნდა აიყოს პიპერტექსტების შესაქმნელად; უნდა შეიცავდეს ამოცანებისა და სავარჯიშოების მაქსიმალურ რაოდენობას; წარმოდგენი-

ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური კოლექტივები

ლი უნდა იყოს მოხერხებული ფორმატით, ისე, რომ ადვილი შესაძლებელი იყოს მათი გაერთიანება, ერთ სტანდარტებსა და სტილში მოქცევა:

– **სათაურების, ცნებების ჩამონათვალის შემუშავება.** ფქტობრივად ამ ეტაპზე ხდება სასწავლო მასალის (კონტენტის) დაყოფა განყოფილებებად, თავებად, მოდულებად, ქვემოდულებად. ყოველი მოდული (ქვემოდული) უნდა იყოს შეძლებისდაგვარად მინიმალური მოცულობით და შინაარსობრივად დასრულებული (ჩაკეტილი). აქვე უნდა ჩამოყალიბდეს იმ ცნებების ჩამონათვალი, რომლებიც აუცილებელი და საკმარისია საგნის ათვისებისთვის. ცხადია, ამ ეტაპზე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მასწავლებლის (სახელმძღვანელოს ავტორის) ცოდნას, გამოცდილებას, პედაგოგიურ და მეთოდიკურ ოსტატობას;

– **ლიტერატურული წყაროების ტექსტების გარდაქმნა მოდულებად, განყოფილების, თავების, პარაგრაფების სათაურების შინაარსობრივი დატვირთვების გათვალისწინებით.** სამუშაოები შეიძლება წარიმართოს ორი განსხვავდული ვარიანტით:

– სირველი, როდესაც არსებობს ლიტერატურული წყარო – სტამბური წესით გამოცემული სახელმძღვანელო ან მისი ელექტრონული ვერსია. სხვადასხვა განყოფილებისა და თავების მიხედვით შესაძლებელია სხვადასხვა სახელმძღვანელოს გამოყენება. შესაქმნელი სახელმძღვანელოს ერთიანი სტილის, ენობრივი მეთოდიკურ-დიდაქტიკური და სხვა თვისებურებების შენარჩუნებისთვის საჭიროა ამ სახელმძღვანელოთა სერიოზული გადამუშავება – გარკვეული მონაკვეთების ამოდება, ახალი მასალის დამატება, არსებული ტექსტების გადამუშავება და ა.შ.

მეორე, როდესაც ავტორი ქმნის ორიგინალური სახელმძღვანელოს ტექსტს. ეს ვარიანტი უფრო ეფექტიანი და მომგებიანია მრავალი თვალსაზრისით: განყოფილებების, თავებისა და მოდულების სტრუქტურა, მოდულების შინაარ-

ენვერ ლაგოზიაშვილი

სი,პრაქტიკული სავარჯიშოები,გრაფიკული და საილუსტრაციო მასალები მაქსიმალურად მიახლოებულია აუცილებელ და საქმარის ვარიანტთან (ავტორის თვალსაზრისით); მაქსიმალურად შენარჩუნდება სახელმძღვანელოს ერთიანობა, გადმოცემის სტილი, საკითხების განმარტების, მსჯელობის, პრაქტიკული სავარჯიშოების არჩევის სიღრმისეული პარამეტრები და სხვა. ამავე ეტაპზე ხდება მოდულებს შორის გადასვლების ტრაექტორიებისა და ჰიპერტექსტური კავშირის ჩამოყალიბება, ფაქტობრივად იქმნება ელექტრონული სახელმძღვანელოს ტექსტური მოდული შემდგომი კომპიუტერული რეალიზაციისთვის:

< სახელმძღვანელოს ტექსტების (მოდულების), ანუ ჰიპერტექსტების რეალიზაცია ელექტრონული ფორმით. მიიღება საწყისი (პრიმიტიული) ფორმა – ელექტრონული წიგნი, რომელიც წარმოადგენს ნახევარფასრიკატს და შესაქმნელი ელექტრონული სახელმძღვანელოს ძირითად ბირთვს;

- **კომპიუტერული უზრუნველყოფის შემუშავება,** რომელშიც, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება სახელმძღვანელოს მომხმარებელთათვის (მოსწავლეთათვის) მისი ინტელექტუალური ბირთვის გამოყენების ინსტრუქციების შემუშავება. ამ ეტაპზე მთავრდება ელექტრონული სახელმძღვენლოს შინაარსობრივი, სტრუქტურული და სამომხმარებლო მოთხოვნების ჩამოყალიბება;
- **სახელმძღვანელოს მოდულებისა და ცალკეული საკითხების შერჩევა მულტიმედიის თანხლებისთვის** გულისხმობს მულტიმედიის საშუალებების განსაზღვრას, ტექსტების შემუშვებასა და გადამუშავებას მულტიმედიური ფრაგმენტებისთვის;
- **ბგერითი თანხლების შემუშვება,** რომელიც გულისხმობს მოდულების მაქსიმალურ ვიზუალიზაციას იმ თვალსაზრისით, რომ სრულად იქნეს

ექონომიკური თეორია და ექონომიკური პოლიტიკა

გამოყენებული მოსწავლის ემოციური მეხესიერება შესასწავლი მასალის გაგებისა და დამახსოვრებისთვის;

- **ბგერითი თანხლების რეალიზაცია** მოიცავს ტექსტების ვიზუალიზაციას. ხდება შემუშავებული სცენარების კომპიუტერული ხორცშესხმა ნახატების, გრაფიკებისა და ანიმაციების გამოყენებით.

პირობითად ელექტრონული სახელმძღვანელოს შექმნის ეტაპები შესაძლებელია გაერთიანდეს ორ ძირითად მონაცემთში: **შინაარსობრივი** და **მულტიმედიური** კომპონენტების შემუშავება. შინაარსობრივი კომპონენტის შემუშავება ავტორისგან არ მოითხოვს კომპიუტერული ტექნოლოგიების სიღრმისეულ ცოდნას. ამ მონაკვეთში სასურველია არსებული ტექნოლოგიების, მისი დანიშნულებებისა და შესაძლებლობების ცოდნა და გათვალისწინება. რაც შექხება მეორე მონაცემთს, საჭიროა კონკრეტული პროგრამული საშუალებებისა და ტექნოლოგიების სრულყოფილი ცოდნა, მისი შესაძლებლობების მაქსიმალურად და ეფექტურად გამოყენების მიზნით.

უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ათწლეულში მსოფლიოს წამყვანი ფირმებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მიერ შექმნილია მრავალი სპეციალიზებული პროგრამული სისტემები და ტექნოლოგიები ელექტრონული წიგნების, პროგრამირებული და დისტანციური სწავლების სხვადასხვა საგნობრივი სფეროსა და პრობლემების მიხედვით [2, გვ.17–18]. ჩვენი აზრით დღევანდელ ეტაპზე, ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში პროფესორ-მასწავლებელთა მიერ კომპიუტერული ტექნოლოგიების ფლობის დონის გათვალისწინებით, გაცილებით მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს არა სპეციალიზებული, არამედ უნივერსალური, სტანდარტული და ფართოდ გავრცელებული პროგრამული პროდუქტებისა და ტექნოლოგიების გამოყენება. მაგალითად,

ენვერ ლაგოლავა

ელექტრონული სახელმძღვანელოების გამოსახულებებზე მუშობისათვის წარმატებით შეიძლება ისეთი პოპულარული პროგრამების გამოყენება, როგორიცაა დობე პოტოსკოპ და იცასა (ციფრულ ფოტოგრაფიაში მუშაობის პროგრამა). აუდიო-ვიზუალური და ემოციური აღქმისა და დამატებითი მულტიმედიური ეფექტების შესაქმნელად, ასევე წარმატებით შეიძლება გამოყენება: MS PowerPoint, Flash MX, 3D Studio MAX. შესაძლებელია აგრეთვე საიტების შესაქმნელი გავრცელებული პროგრამების გამოყენება.

ელექტრონული სახელმძღვანელოს შექმნის ზემოაღწერილი მეთოდიკა ძირითადად დაკმაყოფილებს მისდამი წაყენებულ ისეთ უმნიშვნელოვანეს მოთხოვნებს, როგორიცაა: მეცნიერულობა, მისაწვდომობა და პრობლემურობა. გარდა ამისა, იგი მაქსიმალურად ითვალისწინებს სწავლების თვალსაჩინოებისა და შესასწავლი ობიექტების გრძნობის-მიერი (შეგრძნებითი) აღქმის შესაძლებლობებს. ინფორმაციის მულტიმედიური წარმოდგენისას წნდება შესაძლებლობა როგორც მხედველობითი, ასევე სმენითი შეგრძნებების შექმნისა. ასეთი ელექტრონული სახელმძღვანელოები არსებითად აამაღლებს თვით ვიზუალური ინფორმაციის ხარისხს – იგი გახდება უფრო მკაფიო, დინამიკური, მიმზიდველი, იქმნება როგორც რეალური ობიექტებისა და მათი თვისებების, ასევე სამეცნიერო კანონზომიერებების, თეორიებისა და ცნებების თვალსაჩინო-მხატვრული ინტერპრეტაციის შესაძლებლობა. სატელეკომუნიკაციო ქსელებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ, ელექტრონული სწავლება უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებს კვალიფიციური კადრების მომზადების საქმეში, გახდება ცოდნის მიღების უმნიშვნელოვანესი (ძირითადი) ფორმა.

Theoretical-Methodological Issues for Creating an e-Textbook

E. Lagvilava

Electronic Teaching is a complicated concept under which all forms of electronically supported innovative information and communication technologies, applied in education are accumulated and integrated. It reflects the integration of distant and traditional teachings on the base of information and communication technologies, and can make modern pedagogical technologies personally oriented and directed to the development of student's individual skills.

One of the most important points in e-learning teaching is to develop multifunctional tool of teaching – such as tailored electronic training course or textbook. The author's creativity is very important and vital in text-book creation. The author is responsible for building the essential information-educational resources like content production, course design, lay-out etc.

The text-book creation process relatively may consist of two parts: content and multimedia components production. Content component production process does not require the author's deep knowledge of computer technologies. The general knowledge of target technology and its potential is quite enough at this stage. As for multimedia production, the perfect knowledge of definite software and technologies is required for their effective utilization.

Taking into the consideration the University professors' and teachers' average knowledge in computer technologies, we think that the utilization of not specialized, but universal, standard and widely spread program products and technologies would be considered more reasonable. No doubt, the progress in information technology and transition towards e-learning methods will have its impact on the ways of teaching and learning.

E-learning, with the development of telecommunication nets and information technologies benefit greatly preparing qualified specialists, real professionals through delivering the most innovative and flexible solutions of our students' training and education challenges. The effective use of technology, especially e-learning methods and techniques will enhance teaching/learning experience greatly in educational institutions.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Браун А., Бимроуз Дж. Инновационные образовательные технологии. Ж. Высшее образование. 2007 №4;
2. Кун К. E-Learning-Электронное обучение. Ж. Информатика и образование. 2007, №6;
3. lagvilava e. eleqtronuli swavlebis ganviTarebis ZiriTadi mimarTulebebi. J. “ekonomika da biznesi” # 4, 2012;
4. Оганесянц Н. Конструктивистские подходы в e-learning. Ж. Высшее образование. 2008, №9;

„ბიოლის“ ტერიტორიაზე განთავსდება სხვადასხვა გამაჯანსაღებელი ობიექტი: ველნებს კოტეჯები, სპა ცენტრი, ორანჟერეა, საკონცერტო და საგამოფენო დარბაზები, ღვინისა და თიხის სახლები, „ბიოლის“ ტყეში გაშვებული იქნება სხვადასხვა ეგზოტიკური ცხოველი, თითოეულ ადამიანს თავისი ინდივიდუალური „ველნებს თერაპევტი“ ეფოლება და თავისი ინდივიდუალური პროცედურები ექნება. გაჯანსაღების სისტემა მოიცავს სწორ კვებას, სწორ ფიზიკურ აქტივობას, ესთეტიკურ მედიცინას, გენეტიკურ ანალიზს. აქ სისტემატური კონტროლი გაეწევა ორგანიზმის მდგომარეობას და კორექტივებს, რაც გულისხმობს სისხლის ანალიზე დაკვირვებას, მიკროელემენტების მდგომარეობის ღრმა და საფუძვლიან კონტროლს. ადამიანს საშუალება ექნება თავის თავზე გამოსცადოს უახლესი ველნებს ტექნოლოგიები, როგორიცაა ღვინო თერაპია, მაგნიტური ქვიშის აბაზანები, ორთქლითა და სამკურნალო ბალახებით ჩატარებული პროცედურები. დამფუძნებლის აზრით, „ველნებს ინდუსტრია“ რომ შექმნა, მრავალი კომპანიის თანამშრომლობაა აუცილებელი. მაგალითად, დანადგარებია საჭირო. ურეკში ქვიშა მშვენიერია, მაგრამ ამ ქვიშისგან მაქსიმალური შედეგის მისაღებად, მისი გაცრა, არომატების დამატება და ტომრებში ჩაყრაა საჭირო. მერე სპილენძის ლამაზი აბაზანა უნდა დაიდგას, რომელიც თბება. აბაზანაში ქვიშას ჩაყრიან, გაათბობენ, დააწვენენ ადამიანს და ზემოდანაც დაყრიან. ამ პირობებში ის განსაკუთრებით კარგად მუშაობს. ასე ურეკის ქვიშა არავის გამოუყენებია. საქართველოში მხოლოდ ახლა იწყებენ ღვინით თერაპიას. თერაპია ერთია, მაგრამ ღვინოში რომ სამკურნალო ბალახებიც დაემატება და სამედიცინო პროცედურები ჩატარდება, კომპლექსური შედეგი მიიღება.

კოჯრის ტყე-პარკში მოეწყობა სასეირნო, ველო და საცხენოსნო ბილიკები. გამოიყენება ცხენით მკურნალობა – იპოთერაპია, კერძოდ, ცხენის უნაგირი იქნება ამოჭრილი და ადამიანი სხეულით ეხება ცხენის ტანს, მისი ტემპერატუ-

გელიაგ ერქომაიშვილი

რით და მოძრაობით ხდება არა უბრალო მასაჟი, არამედ იგი მცირე მენჯის ორგანოების დაავადგბათა პროფილაქტიკისათვის გამოიყენება. [5, გვ. 27]

კომპანიის გეგმებშია რომელიმე უნივერსიტეტის ბაზაზე შეიქმნას ველნეს-თერაპევტებისა და სპა მენეჯერების გადამზადების პროგრამები.

ეს იქნება დასაწყისი იმ დიდი მიზნისა, რასაც საქართველოში „ველნეს ინდუსტრიის“ დანერგვა მოჰყვება. შემდგა ეტაპზე კი შეიქმნება მსოფლიო სტანდარტის ქართული ბრენდი – „ჯორჯიან ველნესი“, რომელიც ჩვენი ქვეყნის სავიზიტო ბარათი გახდება.

ეკონომიკური ეფექტი, რასაც მოუტანს საქართველოს ველნეს ინდუსტრიის ცენტრად ჩამოყალიბება, შემდეგია:

- გააუმჯობესებს საინვესტიციო გარემოს და მნიშვნელოვნად გაზრდის უცხოური კაპიტალის დაბანდებას საქართველოში, რაც გამოიწვევს ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის ევროპულ სტანდარტებთან მიახლოებას;
- გააქტიურდება ქვეყანაში შემომსვლელთა რაოდგნობა;
- ხელს შეუწყობს ინფრასტრუქტურის განვითარებას;
- შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს, დასაქმებულები მიიღებენ ლირსეულ ანაზღაურებას;
- პოზიტიური მიმართულებით სახეს შეუცვლის ეკოლოგიას;
- გაიზრდება მოთხოვნა სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე (მეფურცელება, მეღვინეობა, მარცვლეულის წარმოება, მეცხოველეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა, ჩაის წარმოება);
- გაიზრდება მოთხოვნა სუვენირებსა და ხალხური რეწვის პროდუქციაზე;
- საჭირო გახდება ისეთი დარგების მომსახურების გამოყენება, როგორიცაა: ტრანსპორტი და კომუნიკაციის

საშუალებები, დაზღვევა და საბანკო საქმიანობა, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, საინფორმაციო-სარეკლამო, ტურისტული და ტუროპერატიული და სხვა;

- განვითარდება კურორტოლოგია;
- მოიზიდავს მსოფლიოს მაღალშემოსავლიან ადამიანებს;
- ველნეს ინდუსტრია მოითხოვს ადამიანის მაღალ ინტელექტუალურ პოტენციალს, რაც გავლენას მოახდენს მთლიანად ერის ინტელექტუალური პოტენციალის ზრდაზე;
- პროპაგანდა გაეწევა ჯანმრთელობის ახალ კულტურას, რაც იქნება ინტელექტუალური დისტრიბუცია;
- გაზრდის შემოსავლებს და შემონატანებს;
- მოხდება ქვეყნის პოპულარიზაცია მსოფლიო მასშტაბით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Halbert Dunn. High level Wellness. 1961, .www. Icaa.cc
2. Donald B. Ardell. What is Wellness. www. Seekwellness. com
3. Paul Zane Pilzer, The new Wellness Revolution, New York, 2011;
4. გ.ერქომაიშვილი, მეწარმეობის ფორმირებისა და განვითარების თავისებურებანი საქართველოში, თბილისი, თხურის გამომცემლობა, 2004;
5. ინტერვიუ „მედჯგუფი საქართველოს“ დამფუძნებელ თამაზ მჭედლიძესთან. ჟურნ. „ბიზნესი და მენეჯმენტი“, №3(33), 2012;
6. www. Icaa.cc; www.seniorfitness.net
7. www.commersant.ge

Wellness Industry and its Development Strategies in Georgia

G. Erkomaishvili

Nowadays, wellness industry, the industry of healthy lifestyle, is becoming more and more popular all over the world. It's going to be a multi-billion industry in closest future. The concept of Wellness is to maintain good physical and mental health willingly and in a pleasant way, not under compulsion.

Georgia has excellent resources for developing one of the most important direction of this industry – construction of recreation complexes, which is provided by the investment Company „Medgroup Georgia“. The center offers its customers the services with the up-to-date technologies and it will employ a large number of people as well. Using the products and services from local suppliers will increase profit and have positive impact on the country's economy. It will become the beginning of developing the Wellness industry in Georgia.

ლრმა და ყოვლისმომცველი
ვაჭრობის შესახებ შეთანხმება
(DCFTA) – რეალობა თუ
„პარტნიორობა ქაღალდება?“

ნათება დაღელიშვილი
ივ.ჯავახიშვილის თხუ-ის დოქტორანტი

ექსპორტის გაფართოვება და საერთოდ სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავება ნებისმიერი ქვეყნის მუდმივი საზრუნავია. შედეგი პირდაპირპროპორციულად აისახება მოსახლეობის სოციალურ კეთილდღეობასა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე. საქართველოსთვის აღნიშნული თემატიკა განსაკუთრებით აქტუალური გახდა 2006 წელს რესერვის მიერ ქართულ პროდუქტიაზე დაწესებული ემბარგოს შემდეგ, რის შედეგადაც ჩვენ დაგეარგვთ ყველაზე მსხვილი სავაჭრო პარტნიორის ბაზარზე წვდომა. დღის წესრიგში დადგა ალტერნატიული ბაზრების მოძიება და ევროკავშირთან კონომიკური ინტეგრაცია.

შპვე გვაქვს იმის ფუფუნება, რომ ევროკავშირის წარმომადგენელი ოფიციალური პირებისაგან ხშირად ვისმენთ კომპლიმენტებს ევროკავშირთან საქართველოს სოციალურეკონომიკური ინტეგრაციის წინგადადგმული ნაბიჯების შესახებ – დაწესებულია მოლაპარაკებები ღრმა და ყოვლისმოცველი სავაჭრო სივრცის შესახებ, 2011 წელს ძალაში შევიდა ევროკავშირსა და საქართველოს შორის სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და რეადმისიის ხელშეკრულება (რაც ეპროკავშირთან უვიზო მიმოსვლის საფუძველია) და ა.შ.

ევროკავშირთან ეკონომიკურ ინტეგრაციაზეა აწყობილი ქვეყნის სამოქმედო კურსი, რადგან ევროკავშირის ბაზარს ალტერნატივა არ გააჩნია მსოფლიოში: ევროკავშირის მოსახლეობა 2011 წლის იანვრის მდგომარეობით, 502,5 მლნ-ს

შეადგენს [1], რაც მსოფლიოს ყველაზე მსხვილ ბაზარს წარმოადგენს.

საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები შემდეგი ქრონოლოგიით ხასიათდება:

პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება (PCA). 1996 წელს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან დაწყებული მოლაპარაკებები დასრულდა ლოგიკური შედეგით – 1999 წელს ძალაში შევიდა საქართველო-ევროკავშირს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულება. პირველ ეტაპზე შეთანხმება 10 წლის ვადას გულისხმობდა, ოუმცა, ავტომატურად ყოველ წელს 1 წლით გრძელდება. პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება აუქმებს კვოტებს ვაჭრობის სფეროში და იცავს ინტელექტუალური, საწარმოო და კომერციული საკუთრების უფლებას.

ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის პროგრამა (ENP). ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა შემუშავდა 2004 წელს, ევროკავშირის გაფართოების შემდეგ. მისი მიზანი იყო ევროპასა და ახალ მეზობლებს შორის გამყოფი ხაზების მოხსნა და სტაბილურობისუსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა. სამეზობლო პოლიტიკა მიზნად ისახავს ევროკავშირსა და მის მეზობელ ქვეყნებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთდაახლოების პროცესის მხარდაჭერას და მისი საშუალებით ევროკავშირი თავისი საზღვრების გარშემო დემოკრატიის, სტაბილურობისა და კეთილდღეობის გავრცელებას უწყობს ხელს [2, გვ192].

პრეფერენციების ზოგადი სისტემით (GSP+). 2005 წლის დეკემბერში საქართველომ ევროკავშირისაგან პრეფერენციების ზოგადი სისტემით (GSP+) სარგებლობის უფლება მიიღო. GSP+ საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტირებული საქონლის საბაჟო გადასახადებისგან გათავისუფლებასა და ტარიფების ცალმხრივად შემცირებას ითვალისწინებს. აღნიშნული პრეფერენციები ვრცელდება საქართველოში წარმოებული 7200 დასახელების პროდუქციაზე.

„აღმოსავლეთის პარტნიორობა“ (EaP). 2009 წლის 7 მაისს პრაღის სამიტზე ოფიციალურად შევიდა ძალაში „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ ინიციატივა [ვ.გ.6] – ევროკავშირსა და ექვს პარტნიორ ქვეყანას (სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსი, საქართველო, მოლდოვის რესპუბლიკა და უკრაინა) შორის პოლიტიკური ასოცირების და შემდგომი ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა. აღნიშნული ურთიერთობის ფარგლებში ევროკავშირი პარტნიორებს სთავაზობს უფრო მაღალი დონის პოლიტიკურ ასოცირებას და ძირითად სფეროებში კავშირების კიდევ უფრო გააქტიურებას. აღმოსავლეთის პარტნიორობის ფარგლებში ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყანას შორის ორმხრივი თანამშორმლობა შემდეგი მიმართულებებით განვითარდება: 1) ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების (DCFTA) შეთანხმება და მიღება; 2) გადაადგილება და უსაფრთხოება; 3) ენერგეტიკული უსაფრთხოება; 4) ეკონომიკური და სოციალური განვითარების მხარდაჭერა.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების (DCFTA) შეთანხმება. თავისუფალი ვაჭრობა საბაჟო ტარიფებისა და კვოტების გარეშე ვაჭრობას გულისხმობს. ტარიფების გარდა არსებობს ე.წ. არასატარიფო ბარიერები ვაჭრობაში. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება აქცენტს სწორედ ამ არასატარიფო ბარიერების მოხსნაზე აკეთებს, რაც პარტნიორებს შორის ვაჭრობაში თანაბარი პირობების არსებობისა და საერთო “თამაშის წესებით” ხელმძღვანელობისთვის არის საჭირო. ამისკენ არის ასევე მომართული ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პრინციპული შეთანხმებები, როგორიც არის ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების, სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომების, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის, სახელმწიფო შესყიდვების და სუბსიდიების შესახებ. ამდენად, ვაჭრობასთან დაკავშირებული ევროპული სტანდარტების 1/3 კმაყოფილება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მოთხოვნების შესრულებით.

ნათია დელელიშვილი

უოგელივე ზემოთ ჩამოთვლილს თუ გავითვალისწინებთ, სამომავლო პერსპექტივა სწორედ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცეს უპავშირდება. ყურადღებას გავამახვილებთ აღნიშნულ ტერმინზე, რათა განვასხვაოთ იგი ევროკავშირთან ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობისაგან.

მრავალმხრივი თანამშრომლობა (Multilateral track). მრავალმხრივი გზა ჩარჩოა, რომლის ფარგლებში ევროკავშირი და აღმოსავლეთ პარტნიორები ერთად, ჯგუფურად მუშაობენ საერთო ამოცანების გადაჭრაზე. მრავალმხრივი ფორმატი ემსახურება აღმოსავლეთ სამეზობლოს მიზნების განხორციელებას თოხი პრიორიტეტული (დემოკრატია, მართვისა და სტაბილურობის სრულყოფილი სისტემა; ეკონომიკური ინტეგრაცია და კონვერგენცია ევროკავშირის დარგობრივ ეკონომიკურ პოლიტიკასთანთვისუფალი სავაჭრო ზონების შექმნის ჩათვლით; ენერგეტიკული უსაფრთხოება და ადამიანთა შორის კონტაქტების განვითარება) პლატფორმისა და რამდენიმე ფლაგმანი ინიციატივის საშუალებით.

ორმხრივი თანამშრომლობა (Bilateral track). ასეთი თანამშრომლობის მიზანია ევროკავშირსა და თითოეულ აღმოსავლეთ პარტნიორს შორის ურთიერთობის გაღრმავება. ეს მიიღწევა ორმხრივი შეთანხმებების, მაგალითად, ასოცირების შესახებ შეთანხმების, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანმხების, ვიზების გამარტივების შესახებ ორმხრივი დიალოგის, სხვადასხვა სფეროში (ეკონომიკა, ენერგეტიკა, გარემოს დაცვა, ტრანსპორტი, კვლევა და ა. შ.) უფრო მჭიდრო ორმხრივი თანამშრომლობის და ტექნიკური დახმარების საშუალებით. აღმოსავლეთ პარტნიორობა არსებულ ორმხრივ სახელშექრულებო ურთიერთობებთან ერთად განხორციელდება. მისი განხორციელება პარტნიორებს შორის განსხვავებებსა და მათთვის შემუშავებულ პირობებზეა დამოკიდებული.[4]

უოგელივე აღნიშნულის შემდგომ უპრიანია განვიხილოთ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცე. საქართველოსთან DCFTA-ზე მოლაპარაკებების დაწყების

გადაწყვეტილება ევროპავშირმა 2011 წლის 5 დეკემბერს მიიღო. მოლაპარაკებები ოფიციალურად გაიხსნა 2012 წლის 28 თებერვალს ვაჭრობის საქითხებში ევროკომისრის ბ-ნ კარელ დე გუხტის საქართველოში ვიზიტის დროს. მისი განცხადებით, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე ხელს შეუწყობს საქართველოს გახდეს უფრო კონკურენტუნარიანი და შეეძლოს ევროპავშირის შიგა ბაზრით სარგებლობა. აღსანიშნავია, რომ მოლაპარაკებები დაჩქარებული რეჟიმით წარიმართა:

- მოლაპარაკებების პირველი რაუნდი გაიმართა ქ. თბილისში 2012 წლის 27-29 მარტს;
- მეორე რაუნდი გაიმართა 26-28 ივნისს, ქ. ბრიუსელში;
- მოლაპარაკებების მესამე რაუნდი გაიმართა ქ. თბილისში 25-27 სექტემბერს;
- მეოთხე რაუნდი გაიმართა 26-30 ნოემბერს, ქ. ბრიუსელში.

ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის მოლაპარაკებებს წარმართავს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. ვირჯინია კოსულის განმარტებით, ვილნიუსის სამიტზეა მოაზრებული შეთანხმების შესახებ მოლაპარაკებების დასრულებაზე განცხადების გაკეთება. შიგასახელმწიფობრივი პროცედურები საკმაოდ ხანგრძლივია, თუკი 2013 წლის დასრულდება მოლაპარაკებები, შეთანხმება DCFTA ძალაში შევა 2015 წელს.

ევროპავშირმა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებებთან დაკავშირებით პრიორიტეტულად ოთხი ძირითადი სფერო გამოყო: 1. ვაჭრობის ტექნიკური ბარიერები; 2. სურსათის უკნებლობა; 3. ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვა; 4. კონკურენცია.

რაც შეეხება სავარაუდო ეკონომიკური სარგებელს, რომელის მოტანაც DCFTA-რეჟიმს შეუძლია, გამოცდილი ორგანიზაციის CASE-ის კვლევამ Global Insight-თან ერთად, აჩვენა, რომ DCFTA-ს მნიშვნელოვანი პოზიტიური გავლენის მოხდენა შეუძლია საქართველოს ეკონომიკაზე, განსაკუთრებით იმ დარგებში, სადაც ქვეყანას უკვე აქვს გამოვლენილი

ნათია დაღელიშვილი

ფარდობითი უპირატესობები. მაგალითისთვის: ხელშეკრულების დადებიდან 5 წლის განმავლობაში შესაძლებელია საფეიქრო პროდუქციის გამოშვება დაახლოებით 55%-ით გაიზარდოს. DCFTA-მ დადებითად შეიძლება იმოქმედოს სამომბოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების გამოშვებაზე, რამაც 5 წლის შემდეგ შეიძლება 21%-ით მოიმატოს. 19%-იანი ზრდა შეიძლება პქონდეს ქიმიური, რეზინის და პლასტმასის პროდუქციის წარმოებასაც. ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის რეჟიმის პოზიტიური გავლენა აისახება მეტალურგიაზეც, რომლის პროდუქციაც შესაძლებელია 30%-ით გაიზარდოს. მნიშვნელოვანია ასევე ის გარემოება, რომ DCFTA-ს ამოქმედებამ შესაძლებელია საქართველოში ხელფასების დონე გაზარდოს, თუმცა, ეს აისახება უფრო მეტად არაკალიფიციური მუშების ხელფასზე, ვიდრე კვალიფიციური მუშახელის ანაზღაურებაზე. ყოველივე ეს იქიდან გამომდინარეობს, რომ ზრდის მეტი პერსპექტივა შესაძლებელია იმ დარგებს ქონდეს, რომლებიც შრომის მაღალი ინტენსივობით ხასიათდება (მეტალურგია, საფეიქრო წარმოება და ა.შ.). ამასთანავე, ღრმა და ყოვლისმომცველმა თავისუფალმა სავაჭრო რეჟიმმა შესაძლებელია მნიშვნელოვანი დადებითი იმპულსები შექმატოს საექსპორტო პროდუქციის ზრდას. მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში მთლიანი ქართული ექსპორტის ზრდის ტემპმა შესაძლებელია 13%-ს მიაღწიოს. შესაძლებელია მნიშვნელოვნად მოიმატოს ლითონის ნაწარმის ექსპორტმა, ასევე საკეთო პროდუქტებისა და სასმელის ექსპორტმა (განსაკუთრებით ნატურალური ღვინოებისა და სპირტიანი სასმელების). ზრდის პერსპექტივა აქვს ასევე ავეჯის, საიუველირო ნაკეთობების, სათამაშოების, სპორტული ინვენტარის ექსპორტის.[5]

ზემოთ თქმული მიუთითებს ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის დადებით ასკექტებზე, მაგრამ რეალურად ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის დამყარება არც ისე მარტივია – „ქადალდზე პარტნიორობის“ მეორე მხარეს დგას ევროპული ბიუროებისა და მთელი რიგი სტანდარტებით (HACCP, SPS და ა.შ.), რომელთა დაცვა მძიმე ტვირთად დააწვებათ

ქართველი მწარმოებლებს და საბოლოოდ გააძვირებს პროდუქციის დირებულებას. ყველაზე უფრო რთულად მოსაწესრიგებელი, სავარაუდოდ, სურსათის უცნებლობისა და ინტელექტუალური საკუთრების სფეროები იქნება. მოკლევადიან პერიოდში ეკროკომისიის მიერ მოწოდებული რეკომენდაციების შესრულება და ქართული კანონმდებლობის პარმონიზაცია და ჩვენი პროდუქციის ეკროპულ ბაზართან დაახლოება, სარგებლის ნაცვლად, ზიანს მოუტანს ქართულ ეკონომიკას, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში ის დიდი სარგებლიანობის მომტანი იქნება.

უდავოა, რომ ეკროკავშირთან დრმა და ყოვლისმომცველი საგაჭრო სიგრცის არსებობა პრიორიტეტული მიმართულებაა, თუმცა, ეკროინტეგრაცია მოითხოვს გაცილებით სერიოზული ნაბიჯების გადადგმასა და მეტი ინსტიტუციური რეფორმების განხორციელებას, ვიდრე ეს ხდება ეწ. „შერჩევითი რეფორმების“ დროს. 2013 წლისთვის ეკროკავშირის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი დაფინანსება შეადგენს 70 მლნ ეკროს, რაც ჩვენი ქვეყნის სტრუქტურული რეფორმებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნლელოვნაა.

როგორც აღვნიშნეთ, DCFTA ასოცირების შეთანხმების ნაწილია, რაც გულისხმობს იმას, რომ მხარეების მიერ მისი ხელმოწერის შემთხვევაშიც კი შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ძალაში მყისიერად არ შევა. ასოცირების შეთანხმება (და მაშასადამე CFTA) რატიფიცირებული უნდა იყოს ეკროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფოსა და ასევე ეკროპარლამენტის მიერ. ჯამში საჭიროა 30 სხვადასხვა პარლამენტის რატიფიცირება, მათ შორის 27 წევრი სახელმწიფოსი, ასევე ხორგატისა, რომელიც წევრი გახდება უახლოეს მომავალში, ამას დამატებული საქართველოსა და ეკროკავშირის პარლამენტები. თუმცა, არის პრეცედენტები, რომ მსგავსი ტიპის შეთანხმებების ეკონომიკური მუხლები ძალაში შედის რატიფიცირებამდე, ანუ დრმა და ყოვლისმომცველი საგაჭრო სივრცე ეკროკავშრთან შესაძლოა ამოქმედდეს 2015 წლისთვის.

**Deep and Comprehensive Free Trade Agreement (DCFTA) –
Reality or “Cooperation on the Paper?”**

N. Dagelishvili

It can be said that there is mutual readiness for closer relations and strengthening of cooperation between the EU and Georgia. Having active trade relations with the EU is very important for Georgia. Once the EU decided to launch the Deep and Comprehensive Free Trade Agreement (DCFTA) with Georgia, we have to face challenges - the aim of the DCFTA is to foster mutual trade by lifting trade barriers by introducing the EU norms and standards in the third countries. DCFTA helps Georgia to integrate with the EU internal market in long term and it is supposed to contribute to Georgia's development.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ევროსტატი - <http://epp.eurostat.ec.europa.eu/portal/page/portal/eurostat/home/>

2. აღმოსავლეთის პარტნიორობა და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა, კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტი (CIESR), ობილისი, 2011;

3. Joint Declaration of the Prague EaP Summit, Council of the European Union, Brussels, 2009;

4. European Neighbourhood Policy Georgia-EU Action Plan (ENP AP), 2012 Implementation Plan, EC;

5. ნანა ბერუაშვილი, ევროკავშირთან დრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ფასი, გაზეთი რეზონანსი, 2012, http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=2&id_artc=7858

6. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სიტყვარი, http://www.enpi-info.eu/main.php?id=403&id_type=2

7. ევროპავშირის წარმომადგენლობა საქართველოში - http://eeas.europa.eu/delegations/georgia/index_ka.htm

8. აღმოსავლეთის პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა - <http://eapnationalplatform.ge/?lang=geo>

მცირე და საშუალო ბიზნესი
საქართველოში და მისი სახელმწი-
ვოებრივი მხარდაჭერის ფორმები

თეგზიგ თაქთაშიშვილი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თსუ-ის დოქტორანტი

მცირე და საშუალო ბიზნესი (მსბ) მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ეკონომიკის დასაყრდნია. უმრავ ქვეყანაში მცირე და საშუალო ფირმები რეგისტრირებული კომპანიების 90%-ზე მეტს შეადგენს და ლომის წილი უჭირავს მოსახლეობის დასაქმებასა და მთლიან შიგა პროდუქტში.

განვითარებულ ქვეყნებში მცირე და საშუალო ზომის ფირმები ბაზარზე მოქმედი ფირმების 97-99%-ს შეადგენს. აშშ-ში მცირე და საშუალო ბიზნესის წილი ფირმების მთლიან რაოდენობაში 99.7%-ია. მათზე მოდის აშშ-ს მშპ-ის 52% და დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 53%. OECD-ს მონაცემებით, ესპანეთსა და საფრანგეთში მცირე და საშუალო ფირმების წილი რეგისტრირებულ კომპანიებში 99%-ზე მეტია, ისევე როგორც იაპონიასა და შვეიცარიაში [8, გვ.86].

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება ქმნის დასაქმების ფართო შესაძლებლობებს, ხელს უწყობს ადამიანების შემოქმედებითი უნარის გამოვლენას, განვითარებას და ბიზნესის გამრავალფეროვნებას.

გამომდინარე იქიდან, რომ მსბ-ს ნაკლებად მიუწვდება ხელი მოწინავე ტექნოლოგიებზე, წარმოების ამ ფაქტორების სიძვირის გამო, ისინი თავის საქმიანობას ძირითადად ახორციელებენ ადამიან-კაპიტალის მეშვეობით. შედეგად, მცირე და საშუალო ფირმების რაოდენობის ზრდა პირდაპირ ზემო-

თემაზე თაქტაჟიშვილი

ქმედებს ქვეყანაში დასაქმების დონის ზრდაზე. მცირე და საშუალო ბიზნესისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნის გზით რეგიონებში, შესაძლებელია როგორც შიგა, ასევე გარე მიგრაციის შეჩერება.

ეკონომიკაში, სადაც მსხვილი საწარმოები დომინირებენ და მცირე და საშუალო ბიზნესს არ ეძლევა განვითარების შესაძლებლობა, ადგილი აქვს შემოსავლების არათანაბარ გადანაწილებას. კაპიტალისა და შემოსავლების უდიდეს წილს ფლობს მსხვილი ბიზნესი, მცირე ბიზნესს არ მიუწვდობა ხელი საჭირო კაპიტალსა და კვალიფიციურ მუშახელზე, საშუალო ფენის არარსებობის პირობებში საზოგადოებაში ღრმავდება უფსკრული მდიდრებსა და დარიბებს შორის.

მსბ ევროკავშირში წარმოადგენს ეკონომიკის მთავარ დასაყრდენს. მცირე და საშუალო ფირმების რიცხვი ევროკავშირში დაახლოებით 20.7 მილიონია და შეადგენს ევროკავშირში მოქმედი კომპანიების 98%-ს. აღსანიშნავია, რომ ამათგან დაახლოებით 92% არის ფირმები 10-ზე ნაკლები ონამშრომლით. კერძო სექტორში დასაქმებული სამი ადამიანიდან ორი მსბ-ზე მოდის. მცირე და საშუალო ბიზნესში დასაქმებულია 87 მლნ ადამიანი, რაც დასაქმებულთა 67%-ია. მცირე და საშუალო ბიზნესზე მოდის ევროკავშირში შექმნილი დამატებული დირებულების 58% [11].

განსხვავებული მდგრმარეობაა საქართველოში. ქვეყანაში მინიმალური რაოდენობის ხორციელდება მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი პროგრამები, ფირმები განიცდიან ფინანსური რესურსების ნაკლებობას და დაბალია მათი მენეჯმენტის კვალიფიკაციის დონე. შედეგად, მცირე და საშუალო ბიზნესის წილი კერძო სექტორში პროდუქციის მთლიანი გამოშვების მხოლოდ 19%-ს შეადგენს. ამიტომ, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება პრობლემის შესწავლა და იმ გზების გამოვლენა, რითაც შესაძლებელი იქნება მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად მცირე ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს მეწარმე

ფიზიკურ პირს, რომლის მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში, არ აღემატება 100 000 ლარს. მიკრობიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურ პირს, რომელიც არ იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას და დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, რომლიდანაც მის მიერ მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 30 000 ლარს [3].

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2012 წლის III კვარტალში საწარმოთა მთლიანი ბრუნვამ 10.9, მლრდ ლარი შეადგინა. ამასთან, მთლიანი ბრუნვის 81.0% მსხვილ ბიზნესზე მოდის, 8.3 % - საშუალო ბიზნესზე, მცირე ბიზნესის წილი კი 10.7%-ია. დაქირავებულთა მთლიანი რაოდენობა საწარმოს ზომის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: მსხვილი ბიზნესი – 58.9%; საშუალო ბიზნესი – 16.4%; მცირე ბიზნესი – 24.7%, [4].

მოქმედი კანონმდებლობით, მიკრობიზნესი გათავისუფლებულია გადასახადებისგან, ხოლო მცირე ბიზნესი იბეგრება წლიური ბრუნვის 5%-ით. 3%-ით იგი იმ შემთხვევაში დაიბეგრება, თუ ერთობლივი შემოსავლის 60% ხარჯი ექნება და შეძლებს ამის დოკუმენტურად დადასტურებას. მიკრობიზნესი არ ექვემდებარება დაჯარიმებას. აღსანიშნავია, რომ ერთნაირი სიდიდის ჯარიმები უფრო დიდ ზიანს აყენებს მცირე ბიზნესს, ვიდრე მსხვილ ფირმებს. აქედან გამომდინარე, უმჯობესია მოხდეს ჯარიმის ოდენობის დიფერენცირება კომპანიის ზომის მიხედვით და მცირე ბიზნესი უფრო ნაკლები თანხით დაჯარიმდეს მსგავსი დარღვევის შემთხვევაში, ვიდრე მსხვილი ბიზნესი.

უმთავრესი პრობლემა, რასაც აწყდება მცირე ზომის ფირმები, არის ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის დაბალი დონე. განვითარებული ქვეყნების მცირე და საშუალო ფირმები განსხვავდება განვითარებადი ქვეყნების მსგავსი ფირმებისგან ბიზნესის მართვის თანამედროვე მიდგომებით, უფრო კვალიფიციური მენეჯმენტით და მეტი სტაბილურო-

თანამდებობის თავისებულები

ბით. ამას ემატება განვითარებულ ქვეყნებში არსებული სტაბილური ბიზნესგარემო და ამიტომ, როგორც წესი, მცირე და საშუალო ბიზნესს განვითარებულ ქვეყნებში, უფრო ნაკლები პრობლემა ექმნება ფინანსებისა და საჭირო სესხების მოძიების პროცესში, ვიდრე განვითარებად ქვეყნებში.

მცირე და საშუალო ბიზნესისთვის მნიშვნელოვანია ფინანსების მოძიების პროცესში აქცენტი გააკეთდეს გრძელვადიან თანამშრომლობაზე იმ ფინანსურ ინსტიტუტთან, რომლისგანაც აპირებს სესხის აღებას. გრძელვადიანი ურთიერთობები საშუალებას იძლევა წამოჭრილი პრობლემებისადმი ერთიანი მიღობა ჩამოყალიბდეს ბანკისა და კლიენტის მხრიდან. ბანკები, როგორც წესი, უფრთხილდებიან კლიენტებთან ჩამოყალიბებულ გრძელვადიან ურთიერთობებს და იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს ექმნება პრობლემა და ვერ ახერხებს სესხის გადახდას დროულად, მაქსიმალურად ითვალისწინებს მის ინტერესებს და გარკვეული შედაგაობის გაწევის მიზნით, შეაქვს ცვლილებები სესხის პირობებში.

სულ უფრო მზარდი მასშტაბები აქვს კერძო კაპიტალის ინვესტირებას მცირე და საშუალო ბიზნესში. მცირე ბიზნესში კერძო კაპიტალის ინვესტირების ორი ყველაზე მნიშვნელოვანი და ფართოდ გავრცელებული წყაროა ე.წ. „ბიზნეს-ანგელოზები“ და ვენჩურული კაპიტალი.

„ბიზნესანგელოზები“ კერძო ინვესტირებია, რომლებიც ახორციელებენ საკუთარი ფულის ინვესტირებას პერსპექტიულ ბიზნესში. ვენჩურული კაპიტალისტები, როგორც წესი, ახორციელებენ სხვისი ფულის ინვესტირებას სხვადასხვა ფონდების საშუალებით [5, გვ. 24].

„ბიზნესანგელოზები“ ძირითადად ახორციელებენ შედარებით მცირე ინვესტიციებს, ვიდრე ვენჩურული კაპიტალია და ავსებენ იმ ფინანსურ ნაკრალს, რომელიც რჩება ვენჩურული კაპიტალისტების უერადღების მიღმა. ბიზნეს-ანგელოზები ინვესტირებას ახორციელებენ მცირე და განვითარების საწყის სტადიაზე მყოფ ფირმებში. ასეთ ინვესტირებს განსაკუთრებით იზიდავთ ტექნოლოგიების სფეროში დასაქმე-

ბული მცირე და საშუალო ზომის ფირმები. მათ ყოველთვის სურთ თავიანთი წვლილი შეიტანონ კომპანიის მართვაში და აქტიურად იყვნენ ჩართულნი სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებაში. ინვესტირების განხორციელების შემდეგ „ბიზნესანგელოზები“ ხდებიან ინვესტიციების მიმღები ფირმის მნიშვნელოვანი წილის მფლობელები.

საქართველოში 2009 წლის მდგომარეობით, იმ ინვესტორების რიცხვი, რომელებიც საკუთარ თავს „ბიზნესანგელოზის“ პოზიციაზე განიხილავენ, ძალზე მცირეა - დაახლოებით 50-60. თანხა, რომელსაც ქართველი „ბიზნესანგელოზები“ პერსპექტიულ პროექტებში აბანდებენ, საშუალოდ 50 000 ლარს შეადგენს. მოგება კი, რომელსაც ისინი ინვესტიციებიდან ელოდებიან, საშუალოდ 30%-ია [10].

ვენტურული კაპიტალის ინვესტირება, როგორც წესი, ხორციელდება მაღალი რისკის მქონე, თუმცა პოტენციურად ძალიან მაღალი მოგების მქონე ბიზნესში. ვენტურული კაპიტალისტების მიზანია კომპანიის წილის შესყიდვის გზით ინვესტიციების განხორციელება მასში და მას შემდეგ, რაც კომპანია გაფართოვდება და განვითარდება, საკუთარი წილის გაყიდვა მოგებიან ფასად.

ვენტურული ფირმების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, როგორც წესი, არის შპს, სასიცოცხლო ციკლი შეადგენს საშუალოდ ათ წელიწადს და შედგება კერძო სექტორში არსებული ინსტიტუტებისა და განსაკუთრებით დიდი ოდენობის კაპიტალის მქონე ბიზნესმენებისგან.

მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციების როლი, რომელთაც შეუძლიათ ნაწილობრივ შეავსონ ის ფინანსური ნაპრალი, რასაც ადგილი აქვს მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებაში.

მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური დონორი კუთხით არის საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (I ჩ), რომელიც ახორციელებს მსბ-ს მხარდაჭერას მრავალ განვითარებად ქვეყანაში. I ჩ-მ საქართველოს ბანკ „რესპუბლიკაში“ 42 მილიონამდე აშშ

თანამდებობის თავისებულები

დოლარის ინგესტიცია განახორციელა, მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსების შესაძლებლობების გაზრდის მიზნით [2].

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტომ (USAID) 2005-2009 წლებში განახორციელა „მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტი“, რომლის მიზანი იყო საქართველოს კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობა და სამუშაო ადგილების შექმნა. პროექტის ფარგლებში ტრენინგები უტარდებოდათ მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს. ტრენინგები მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ბიზნესის მართვის უნარები, სესხის ადებასთან დაკავშირებული პროცედურები, ბიზნესის დაწყებისათვის საჭირო პროცედურები და ა.შ. ტრენინგები უტარდებოდა ასევე ფინანსურ ინსტიტუტებს, რომელთაც აცნობდნენ მცირე და საშუალო ბიზნესთან ურთიერთობის სპეციფიკას და მისი დაპრედიტების პრინციპებს [8, გვ. 190].

მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში შეიქმნა 1196 სამუშაო ადგილი და 162 ფირმა. ბიზნეს უნარებში ტრენინგები ჩაუტარდა 4562 ადამიანს.

როდესაც ბაზარი ვერ უსრუचველყოფს მცირე და საშუალო ბიზნესს საჭირო ტექნოლოგიითა და კაპიტალით, საფიქრებელია, რომ ადგილი აქვს ე.წ. „ბაზრის ჩავარდნას“. ასეთ შემთხვევაში კი საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან რაციონალური ზემოქმედება, მცირე და საშუალო ბიზნესის წახალისებისთვის ეფექტური კონკრეტური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება.

თანამედროვე განვითარებული ქვეყნების უმრავლესობა დიდ ყურადღებას უთმობს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის ხელსაყრელი საკანონმდებლო ბაზის შექმნასა და მუდმივ სრულყოფას. აშშ-მ ჯერ კიდევ 1953 წელს მიიღო „მცირე ბიზნესის აქტი“, სამსრეო კორეამ 1966 წელს მიიღო „კანონი მცირე და საშუალო ბიზნესის შესახებ“, 1963 წელს იაპონიამ შეიმუშავა „მცირე და საშუალო ბიზნესის კონსტიტუცია“ და მომდევნო წლებში მიიღო უამრავი კანო-

ნი მცირე და საშუალო ფირმების მხარდასაჭერად [12].

აშშ-ში სახელმწიფო, კერძო საფინანსო ინსტიტუტს აძლევს სესხის ნაწილის დაფარვის გარანტიას. კერძოდ, თუ მცირე მეწარმის აღებული სესხი არ აღემატება 750 ათას დოლარს, მეწარმის გადახდისუფარობს შემთხვევაში სახელმწიფო ფარავს კრედიტის 75%-ს, ხოლო თუ კრედიტი 100 ათას დოლარს არ აღემატება, გარანტია 80%-ზე გაიცემა [9].

დიდი ბრიტანეთის მთავრობამ შეიმუშავა 20 მილიარდიანი პაკეტი, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფო გამოვიდა გარანტორის როლში ბანკების წინაშე მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებისთვის. პროექტის ფარგლებში ბანკები მცირე და საშუალო ბიზნესს აძლევდა სესხებს 1%-ით იაფად. ფირმის გაკოტრების შემთხვევაში სახელმწიფო საკუთარ თავზე იღებდა სესხის 75%-ის დაფარვას. ამ პროექტის ფარგლებში, რომელიც 2009 წელს შეიმუშავა ბრიტანეთის მთავრობამ, 2009-2011 წლებში 14 750-მა მცირე და საშუალო ფირმამ მიიღო სესხი 1.47 მლრდ ფუნტის ოდენობით. აღსანიშნავია, რომ ამ პროგრამაში მონაწილე ფირმებში 38%-ით გაიზარდა დასაქმება [5, გვ.27].

დაფინანსების მოპოვების შემდეგ მცირე მეწარმის პრობლემაა არსებული კაპიტალის რაციონალურად გამოყენება. გამოცდილების არარსებობის და სხვადასხვა პრობლემის გაუთვალისწინებლობის გამო აშშ-ში ყოველწლიურად გაკოტრებული ფირმების 85% მოდის მსბ-ზე. ამ პრობლემის გადასაჭრელად მუშაობს „აშშ მცირე ბიზნესის აღმინისტრაცია“, რომელიც აშშ-ის კონგრესმა 1953 წელს დაარსა. მის ხელმძღვანელს ნიშნავს პრეზიდენტი და ამტკიცებს სენატი. მოედ ქვეყანაში არსებობს ამ ორგანიზაციის 1000-მდე ფილიალი, სადაც 50-მდე სახის პროგრამა ფუნქციონირებს. ერთ-ერთ მთავარ საქმიანობად ითვლება საინფორმაციო მხარდაჭერა და გადამზადება. სხვადასხვა ფილიალში მიმდინარეობს ტრენინგები და კონსულტაციები, რომელიც აერთიანებს 10 000-ზე მეტ ყოფილ და ახლადდარსებულ

თანამდებობის თავმოყრილი

ფირმას. ასევე, არსებობს ინდივიდუალური მიღვომის კონსულტაციის და დახმარების პროგრამებიც.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ერთ-ერთ მიმართულებად განვითარებულ ქვეყნებში მიჩნეულია ამ ფირმების ჩართულობა სახელმწიფო შესყიდვებში. ევროკავშირის მიერ 2006-2008 წლებში კერძო ბიზნესთან დადებული კონტრაქტების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 876 მლრდ ევრო, საიდანაც 34% მოდიოდა მცირე და საშუალო ბიზნესზე. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ ქვეყანაში ეს მაჩვენებელი იყო ძალიან მაღალი (მაგალითად, 79% – ბულგარეთში, 52% – საბერძნეთში) [7, გვ. 59].

აშშ-ში მოქმედი „მცირე ბიზნესის აქტიო“ განსაზღვრულია, რომ ყოველწლიურად სახელმწიფო შესყიდვების კონტრაქტების 25% უნდა მოდიოდეს მცირე და საშუალო ბიზნესზე. ამისათვის, ხმირად ხდება მსხვილი კონტრაქტების დაყოფა მცირე ნაწილებად და მცირე და საშუალო ფირმებზე გადანაწილება.

ბრაზილიის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის სამინისტროს მიერ 2011 წლიდან ხორციელდება პროგრამა „PROGEX“, რომლის მიზანია დაეხმაროს ექსპორტზე ორიენტირებულ მცირე და საშუალო ფირმებს ტექნოლოგიური რესურსების გაუმჯობესებაში. დახმარება ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით: საჭირო ტექნოლოგიების მოძიება, ტექნოლოგიის მიწოდების უზრუნველყოფა, პროდუქციის მოდიფიკაცია ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად და ა.შ. პროექტის წლიური ბიუჯეტია 7.8 მლნ ევრო და ყოველწლიურად 100-ზე მეტი ფირმა იღებს დახმარებას [6, გვ.40].

ზოგიერთ ქვეყანაში, შექმნილია საკონსულტაციო ცენტრები და მოქმედებს კ.წ. „ცხელი ხაზი“, რომელიც ემსახურება მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს. მაგალითად, ინდოეთში შექმნილია სატელეფონო ცხელი ხაზი – დაყამი ელპლინგ, რომელიც მუშაობს 24–საათიანი რეჟიმით, კვირაში შვიდი დღე. ამ ცენტრის დახმარებით მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს შეუძლიათ

ნებისმიერ დროს მიიღონ დეტალური ინფორმაცია მათთვის საინტერესო საკითხზე, რომელიც მოიცავს კრედიტზე ხელმისაწვდომობას, ტექნოლოგიას, მარკეტინგს და ა.შ. [13].

საქართველოს მთავრობამ განახორციელა რამდენიმე პროექტი ბიზნესის მხარდასაჭერად, რომელთა შორის აღსანიშნავია „იაფი კრედიტის“ პროგრამა, რომელიც მიმდინარეობდა 2008-2009 წლებში. ამ პროგრამის მიზანი იყო კერძო სექტორის უზრუნველყოფა იაფი კრედიტით, არსებული ბიზნესის განვითარება და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა. სულ „იაფი კრედიტის“ ფარგლებში დაფინანსდა 130 პროექტი, რომელთა საერთო ღირებულება იყო 65 მლნ ლარი.

შეიძლება ითქვას, რომ „იაფი კრედიტის“ პროგრამამ ვერ გამოიღო სასურველი შედეგი, მან ვერ უზრუნველყო მნიშვნელოვანი დაგებითი ეფექტის მოხდენა მცირე და საშუალო ბიზნესზე. თუ პროგრამის დასაწყისში – 2008 წელს გაიცა 62.4 მლნ ლარი, 2009 წელს სახელმწიფომ ამ პროგრამის ფარგლებში გასცა მხოლოდ 2.4 მლნ ლარი. ეს იმდენად უმნიშვნელო თანხაა, რომ მას არ შეიძლება ქონილა მნიშვნელოვანი გავლენა საერთო მდგომარეობაზე.

კიდევ ერთმა პროექტმა, თბილისის მერიის ინიციატივით - „დაიწყე ბიზნესი მერიასთან ერთად“, „იაფი კრედიტის“ პროგრამის მსგავსად, მხოლოდ მცირე ზეგავლენა მოახდინა საერთო მდგომარეობაზე. ამიტომ, საჭიროა უფრო კომპლექსური პროგრამების შემუშავება, უფრო მეტი ფინანსების მიმართვა მცირე და სამუალო ბიზნესისკენ და მათი უზრუნველყოფა საჭირო ტრენინგებითა და კონსულტაციებით.

აუცილებელია მცირე ბიზნესის უზრუნველყოფა საინფორმაციო ბაზით. მცირე ბიზნესის ინფორმაციული უზრუნველყოფის მიზნით საჭიროა ქვეყნის მასშტაბით და ორგანიზაციულ დონეზე ფართოდ განვითარდეს მცირე ბიზნესის მხარდაჭერი ტექნიკური და სხვა სახეობის ინფორმაციის მიმწოდებელი სტრუქტურები, ფორმირებულ იქნეს მონაცემთა ბაზები. შესაბამის სამსახურებს უნდა შეეძლოთ მსურველებს მიაწოდონ კომურციული, იურიდიული, სტატის-

თენაზ თავთაქიშვილი

ტიპური ინფორმაცია. აგრეთვე, ინფორმაციები ინვესტიციური პროექტების შესახებ, საწარმოთა რეგისტრაციაზე [1, გვ.54].

საქართველოში არ არის შემუშავებული მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის ხელშეწყობის სტრატეგია და შესაბამისად, თითქმის არ ხორციელდება მხარდამჭერი პროგრამები.

საქართველოში არსებობს დარგები, სადაც მცირე და საშუალო ბიზნესს შეუძლია აითვისოს გამოუყენებელი პოტენციალი. ეს დარგებია სოფლის მეურნეობა და ტურიზმი. ამისათვის, მათ სჭირდებათ ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გამარტივება, ინფორმირებულობის დონის ამაღლება და საჭირო ტრენინგების ჩატარება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შესაძლებელია ჩამოყალიბდეს რამდენიმე რეკომენდაცია, რომელთა განხორციელებაც, ჩვენი აზრით, ხელს შეუწყობს საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის მასშტაბებისა და ეფექტიანობის ზრდას; მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის ხელშეწყობა ადიარეტულ უნდა იქნეს ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად; სახელმწიფო და კერძო სექტორის თანამშრომლობის გზით ხელი უნდა შეეწყოს ინოვაციური ბიზნესიდებების წახალისებას და დაფინანსებას; მაღალტექნოლოგიურ და ცოდნა ინტენსიური დარგების მცირე და საშუალო ფირმების უზრუნველყოფა საჭირო ფინანსებითა და ტრენინგებით; მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ჯარიმების ოდენობის შემცირება; კერძო ინვესტორებისთვის საგადასახადო შედავაოების დაწესება მცირე და საშუალო ბიზნესში ინვესტიციების განხორციელების შემთხვევაში; კაპიტალის ფონდების ფორმირება სახელმწიფოსა და კერძო ბიზნესის მონაწილეობით, რომელიც ორიენტირებული იქნება მცირე და საშუალო ბიზნესის უზრუნველყოფაზე საჭირო ფინანსური და კონსალტინგური მომსახურებით; მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი ცენტრების შექმნა, სადაც დაინტერესებული პირები მიიღებენ ყველა საჭირო ინფორმაციას შესაბამისი კანონ-

მდებლობის, საბანკო სესხების, დაფინანსების შესაძლო წყაროების, საჭირო ტექნოლოგიების შესახებ. ამ ცენტრებში მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს შეეძლებათ ტრენინგების გავლა ბიზნესის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებში.

Small and Medium-sized Business in Georgia and the Government Support

T. Taktakishvili

The article analyzes the current conditions for small and medium-sized enterprises (SME) in Georgia as well as all over the world. Respective figures and different kinds of supportive government supportive policies are shown on the examples different countries indicating the high importance of SMEs for those countries.

The main problem SMEs face is the lack of access to financial resources. The paper describes different ways of providing SMEs with financial resources and suggests that financial institutions play the most important role in this regard. The gap that is left beyond financial institutions may be filled by “business angels” or venture capitalists. International organizations also make valuable contribution to development of SMEs. However, when private sector and international organizations are not able to foster growth in SME sector and there is so called market failure, government takes initiatives and through creating funds, establishing support centers and developing different policies promotes development of small and medium-sized enterprises.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თ. როსტიაშვილი, მცირე და საშუალო ბიზნესის მართვის სტრატეგია, თბ., 2010;
2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მისამართი - მაკროეკონომიკური და ბიზნესის მდგრადი განვითარების სამინისტრო

თენის თავთაქმიშვილი

დი განვითარების სამინისტრო, <http://www.economy.ge/?category=4&lang=geo&dn=541>

3. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თავი XII, მუხლები 84, 88, 90;

4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/business/Press%20Release%202012%20III.pdf

5. BIS ECONOMICS PAPER, SME Access to External Finance, NO. 16, JANUARY 2012;

6. Erkko Autio, Mathias Kronlund, Anne Kovalainen, High-Growth SME Support Initiatives in Nine Countries: Analysis, Categorization, and Recommendations, January 2007;

7. GPFI and IFC, SME Finance Policy Guide, October 2011;

8. ORGANIZATION OF THE BLACK SEA ECONOMIC COOPERATION (BSEC) and KONRAD-ADENAUER-STIFTUNG (KAS), “Strategies of the Development of Entrepreneurship and the SME Sector in the Black Sea Economic Cooperation Region”, Istanbul, Turkey, 21-22 July, 2011;

9. <http://afba.ge/?p=173>

10. <http://www.commersant.ge/npopup.php?nid=8127>

11. http://ec.europa.eu/enterprise/newsroom/cf/itemdetail.cfm?item_id=6232&lang=da

12. <http://www.globalsmes.org/news/index.php?func=detail&lang=en&detailid=945&catalog=03>

13. http://smallenterpriseindia.com/index.php?option=com_content&view=article&id=915%3Agovernment-support-for-smes-in-india&catid=82%3Afeatureone&Itemid=53



საქართველოს სახელმწიფო
ბიუჯეტის დაფიციტის
ეკონომიკური მნიშვნელობას
შეფასება და პრიზნოგირება

პარტი გაბეჭდია

ფიზიკურ-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
ივანე ჯაფარიშვილის სახელობის თსუ-ის
მოწვევული ასოცირებული პროფესორი

სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი მიეკუთვნება ქვეყნის უმნიშვნელოვანების მახასიათელთა რიცხს, რომელსაც უდიდესი გავლენა აქვს მისი ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან პარამეტრებზე. აქედან გამომდინარე, მისი სხვა უმნიშვნელოვანების ეკონომიკურ მაჩვენებლებზე გავლენის ანალიზი და პროგნოზული შეფასებები ძალზე აქტუალურია, განსაკუთრებით მიმდინარე ეტაპზე, როცა ქვეყანაში ყალიბდება ახალი ეკონომიკური პოლიტიკა. სწორედ ამ საკითხებს ეძღვნება მოცუმული სტატია.

სანამ უშუალოდ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის და მასთან დაკავშირებული მაჩვენებლების ანალიზზე გადავიდოდეთ, უნდა შევნიშნოთ, რომ 2009 წლის 19 დეკემბერს მიღებული „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-დან გამომდინარე, შეიცვალა ბიუჯეტის დეფიციტის გაანგარიშების მეთოდიკა, რის შედეგადაც მოხდა ამ მაჩვენებლის დინამიკის გადანგარიშება.

კერძოდ, საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით, სახელმწიფო ბიუჯეტის უმნიშვნელოვანების მაჩვენებელია „ბიუჯეტის მთლიანი სალდო“, რომლის დადგებითი მნიშვნელობაც წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის პროფიციტს. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის სიდიდე ტოლია უარყოფითი ნიშნით აღებული სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდოს სიდიდისა. ასე რომ, ნაშრომის დასახელებიდან გამომდინარე, ქვემოთ ჩვენ ყურადღებას სწორედ ამ მაჩვენებელზე გავამახვილებთ.

კავკაზი გაბამლაში


საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტისა და მასთან უშუალოდ დაკავშირებული
მაკროეკონომიკური მნიშვნელობრივი დინამიკა 2002-2011 წლებში [1]

წლები	სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი	მთლიანი შეინარჩუნებული პროცენტი (მლნ ლარ- ში)	სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი (%-ში შეს- სთან)	კონიშიური ზრდის ტემპი (%-ში)	საქართველოს სახელმწიფო გალი პერიოდის ბილონსათვეის (მლნ ლარი)
2002	137.0	7459.4	1.83	5.5	4 843.3
2003	76.5	8565.1	0.89	11.3	4 608.0
2004	-52.6	9950.6	-0.53	9.7	4 306.6
2005	-177.2	11620.9	-1.52	8.1	4 076.1
2006	-345.2	13789.9	-2.50	9.4	3 177.3
2007	-129.6	16993.8	-0.76	12.3	3 242.2
2008	361.7	19074.9	1.90	2.3	4 476.2
2009	1197.0	17986	6.65	-3.8	6113.9
2010	918.6	20743.4	4.43	8.5	6340.0
2011	293.9	24229.1	1.21	7.0	6682.6

შემდგომი ანალიზისთვის მოვიყვანოთ ასე განსაზღვრული სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტისა და მასთან უშუალოდ დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების დინამიკა 2002-2011 წლებისათვის (იხ. ცხრილი).

დავიწყოთ სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დინამიკის ანალიზით.

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს (იხ. აგრეთვე ნახ. 1), 2002-2011 წლებიდან საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი პროფიციტული იყო 2004-2007 წლებში, დანარჩენში კი- დეფიციტური.




ნახ. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დინამიკა 2002-2011 წლებში

ამასთან, პროფიციტის მაქსიმალური სიდიდე - 345.2 მლნ ლარი, მიღწეული იყო 2006 წელს, ხოლო დეფიციტის მაქსიმალური მნიშვნელობა, 119.70 მლნ ლარი, დაფიქსირდა 2009 წელს, რის შემდეგაც სახეზეა მისი კლების ტენდენცია.

აკაკი გაბელაძე

სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტმა მშპ-ს-თან მიმართებით (იხ. აგრეთვე ნახ. 2), თავის მინიმალურ მნიშვნელობას – მშპ-ს 2.5 %-ს, მიაღწია 2006 წელს, ხოლო მაქსიმალური მნიშვნელობა კი- მშპ-ს 6.65 %, დაფიქსირდა 2009 წელს.



ნახ. 2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დინამიკა მშპ-სთან მიმართებით -%-ბით,
2002-2011 წლებში

რაც შეეხება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დამოკიდებულებას ქვეყნის უმნიშვნელოვანეს მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებთან (ამ მიზნით გამოვიყენეთ ცნობილი კომპიუტერული პაკეტი EViews-5) [2]. როგორც შესაბამისა გაანგარიშებებმა გვიჩვენა კორელაციის კოეფიციენტი ეკონომი-

კური ზრდის ტემპსა და სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის სიდიდეს შორის $-0,72\%$ ს ტოლია, ე.ი. (ჩვენს სინამდვილეში!) რაც მეტია დეფიციტის სიდიდე მით ნაკლებია ეკონომიკური ზრდის ტემპი და ეს კავშირი ზომიერი სტატისტიკური ძალით ხასიათდება (და სხვათამორის, როგორც შესაბამისმა გაანგარიშებებმა გვიჩვენა, ეს კორელაცია არაა ყალბი!).

მაშასადამე, საქართველოს ეკონომიკის პირობებში, ბიუჯეტის დეფიციტი სულაც არ არის ნეიტრალური ეკონომიკური ზრდის მიმართ, არამედ მათ შორის არსებობს გარკვეული უკუპროპორციული კავშირი.

ეს ძალზე საინტერესოა, იმის გათვალისწინებით, რომ ეკონომიკურ თეორიაში ეს საკითხი ასე ცალსახად გადაწყვეტილად არ ითვლება და, ზოგი ცნობილი სპეციალისტის აზრით, ბიუჯეტის დეფიციტი ნეიტრალურია ეკონომიკური ზრდის მიმართ, ე.ი. არ ახდენს გავლენას მასზე (თუმცა კეინზიანური მოდელის მიხედვით, ბიუჯეტის დეფიციტი დადგებით გავლენას უნდა ახდენდეს ეკონომიკურ ზრდაზე.)

ამასთან, ამ საკითხის დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობიდან გამომდინარე, ჩვენ შევეცდებით ცოტათი უფრო მეტად ჩავუდრმავდეთ მას და გავარკვიოთ ამ დამოკიდებულების „მიმართულება“ ჩვენს შემთხვევაში, ე.ი. გავარკვიოთ, ჩვენს სინამდვილეში სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ზრდა მოქმედებს ეკონომიკური ზრდის შენელებაზე, თუ პირიქით, ეკონომიკური ზრდის შენელება ზრდის ბიუჯეტის დეფიციტს?!

ამ საკითხში გარკვევის მიზნით, გამოვიყენოთ ეკონომიკაში 2003 წლის ნობელის პრემიის ლაურეატის, კ. გრეიინჯერის [3], ცნობილი მიზეზ-შედეგობრიობის ტესტი. ამ ტესტის რეალიზაცია მოცემულ შემთხვევაში (EViews-5-ის ბაზაზე) გვაძლევს:

აკაპი გაგელაზა

Pairwise Granger Causality Tests

Date: 01/30/13 Time: 22:24

Sample: 2002 2011

Lags: 2

Null Hypothesis:	Obs	F-Statistic	Probability
EKZT does not Granger Cause			
SBD	8	0.31261	0.75280
SBD does not Granger Cause EKZT		1.97933	0.28307

მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტს გააჩნია მეტი ამსხნელი ძალა ეკონომიკური ზრდის მიმართ, ვიდრე პირიქით, ე.ი. ჩვენს სინამდვილეში (ემპირიული მონაცემებიდან გამომდინარე) სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებას შეუძლია ხელი შეუწყოს ეკონომიკურ ზრდას და პირიქით.

სხვათაშორის, ეს სავსებით შეესაბამება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ნ. ხადურის განცხადებას იმის შესახებ, რომ “დეფიციტი უნდა შემცირდეს, კვეყანა საკუთარ ხარჯებზე ცხოვრება უნდა დაიწყოს და ეკონომიკა უნდა გაჯანსაღდეს”.

რაც შეეხება დამოკიდებულებას სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტსა და სახელმწიფო ვალის სიდიდეს შორის, მათ შორის კორელაციის კოეფიციენტი საკმაოდ მაღალია (0,8-ის ტოლი), ე.ი, სახელმწიფო დეფიციტის ზრდა იწვევს სახელმწიფო ვალის ზრდას (ე.ი. ამ მიმართულებით ჩვენი ეკონომიკა ორიგინალურობით არ გამოირჩევა!).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება შეიძლება იყოს საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღების მნიშვნელოვანი ფაქტორი.

გადავიდეთ ახლა ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის პროგნოზირების პრობლემის განხილვაზე. ცხადია, რომ ეს მაჩვენებელი, ჩვეულებრივ, კვეყანაში გატარებული ეკონომიკური პო-

ლიტეკით განისაზღვრება, მაგრამ მიუხედავად ამისა, შესაძლებელია მისი პროგნოზული შეფასებების პოვნა უშუალოდ მისივე დინამიკიდან გამომდინარე, ანუ წმინდა სტატისტიკური (ე.წ. პასიური) პროგნოზული შეფასებების პოვნა.

ამისათვის, წინასწარ, როგორც ეს თეორიულად არის რეკომენდებული, შევისწავლეთ სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შესაბამისი დროითი მწკრივის სტაციონარულობის საკითხი, ცნობილი ADF ტესტის გამოყენებით. უარყოფითი შედეგის მიღების შემდეგ მოვახდინეთ ამ მწკრივის ე.წ დეტრენდიზაცია და დავრწმუნდით შედეგად მიღებული მწკრივის სტაციონარულობაში მნიშვნელოვნების 10%-ის დონეზე.


აქედან გამომდინარე, აგებული იყო საანალიზო მაჩვენებლის დინამიკის „მცოცავი საშუალოსა და ავტორეგრესიის მოდელი“ (ე.წ. ARMA-ს ტიპის მოდელი) [4], ტრენდული კომპონენტის დამატებით, 2002-2011 წლების მონაცემების ბაზაზე:

$$SBD = 10.3755 * @TREND + [AR(1)=0.2607, MA(1)=4.6 \\ 535, INITMA=2003]$$

სადაც @TREND, ე.წ. დროის ხელოვნურ ტრენდულ ცვლადს აღნიშნავს, AR(1) -პირველი რიგის ავტორეგრესიულ წევრს, ხოლო MA(1) კი – პირველი რიგის მცოცავი საშუალოს სიდიდეს (როგორც ცნობილია, MA(1)=u_{t-1}, სადაც u_{t-1} მოცემული განტოლების ცდომილებაა (ნაშთითი წევრია) წინა პერიოდისათვის).

როგორც შესაბამისი გაანგარიშებებიდან ჩანს, მოდელი სტატისტიკურად საკმაოდ საიმედოა. კერძოდ, მისი დეტერმინაციის კოეფიციენტი 0,97-ის ტოლია, კოეფიციენტთა t-სტატისტიკები, მეორე კოეფიციენტის გარდა, საკმაოდ კარგია და ა.შ. მოკლედ, მოდელი, პროგნოზირების თვალსაზრისით საგსებით დამაკმაყოფილებელია, თუმცა, როგორც ცნობილია, ამ ტიპის მოდელების გამოყენება პროგნოზირების მიზნით რეკომენდებულია მხოლოდ მოკლევადიან პერსპექტივაში.

რაც შეეხება მოდელის სიზუსტეს, მასზე ვიზუალურ წარმოდგენას გვაძლევს ნახ. 3.




ნახ. 3. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ARMA-ს ტიპის მოდელის (ტრენდული კომპონენტის დამატებით) ცდომილების გრაფიკული წარმოდგენა

ვნახოთ, რას მოგვცემს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის პროგნოზირება მიღებული მოდელის ბაზაზე, 2012-2015 წლებისათვის. ამასთან, იმის გამო, რომ 2012 წელი უკვე დასრულებულია, მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს ოფიციალურად გამოქვეყნებული მონაცემი ამ წლის დეფიციტის მოცულობის შესახებ, აღნიშნული წლის მაჩვენებლის პროგნოზი წარმოადგენს პროგნოზს უკანა რიცხვით (ე.წ. ex post პროგნოზს).

აღნიშნული მოდელიდან გამომდინარე, EViews-5-ის ბაზაზე მიღებული საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის პროგნოზული შეფასებები 2012-2015 წლებისათვის, შესაბამისად, ტოლია (მონაცემი): 181.1, 188.0, 197.4, 207.6. ამასთან, ამ მაჩვენებლის დინამიკა, მის პროგნოზულ შეფასებებთან ერთად ნაჩვენებია ნახ. 4-ზე.

როგორც ვხედავთ, ამ მოდელიდან მიღებული პროგნოზული შეფასებები საკმარისად ოპტიმისტურია, ნავარაუდევია დეფიციტის უმნიშვნელო ტემპებით მატება. რაც შეეხება ამ პროგნოზის რეალურობას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს მასახიათებელი ჩვეულებრივ განისაზღვრება ქვეყანაში გატარებული ეკონომიკური პოლიტიკით.



ნახ. 4. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დინამიკა და ARMA-ს ტიპის მოდელის (ტრენდული კომპონენტის დამატებით) ბაზაზე მიღებული პროგნოზული შეფასებები

ამასთან, უნდა შევნიშნოთ, რომ 2012 წლის III კვარტლის მონაცემებით, 2012 წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტმა უკვე მიაღწია 316,7 მლნ ლარს, საიდანაც გამომდინარე, ასეთი საშუალო ტემპით ზრდისას, ის შეიძლება აღმოჩნდეს $(4/3)*316,7=422,3$ მლნ ლარის ტოლი. გარდა ამისა, როგორც ცნობილია, 2013 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის გეგმური დეფიციტის სიდიდე 446.893 მლნ ლარს შეადგენს. ასე, რომ ზემოთ მოყვანილი ჩვენი პროგნოზული შეფასებები მართლაც მეტისმეტად ოპტიმისტურად გამოიყურება. თუმცა, ვინ იცის, თუ

ახალი მთავრობა აღნიშნული მიმართულებით იმუშავებს, შეუძლებელი არაფერია.

Evaluation and Forecasting of Economic Significance of the State Budget Deficit of Georgia

A. Gabelaia

The paper presents the analysis of interrelation of the state budget deficit of Georgia with the most important macroeconomic indicators of the country carried out using the EViews software. On the basis of this analysis, it becomes obvious that the state budget deficit has more influence on the economic growth of the country than on the contrary. In other words, reduction of the budget deficit can contribute to economic growth and vice versa.

The problem of forecasting the state budget deficit is considered. In spite of the fact that this indicator is usually defined by the economic policy carried out in the country, possibilities of receiving look-ahead estimates of the state budget deficit based on its dynamics are shown. Namely, “moving average and autoregressive model” (so called ARMA type model) of this indicator with addition of a trend component is designed and based on it forecasts for 2012-2015 are made.

გმოყენებული ლიტერატურა

- 1 საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ეროვნული ბანკის მონაცემები;
- 2 R. C. Hill, W.E. Griffiths, G.G. Judge. Using eviews for undergraduate econometrics. Jon Wley & Sons, inc., 2001;
- 3 C. W. J. Granger. Forecasting in Business and Economics. Academic Press, Inc. 1980.
- 4 V. Su. Economic Fluctuations and Forecasting. HarperCollins College. Publishers. 1996.



ვახტანგ ჭარაბაძე
ივ. ჯავახიშვილის თხუ-ის დოქტორანტი

ფინანსური კრიზისი მსოფლიოში და, შესაბამისად, საქართველოშიც ყველაზე მეტად საბანკო სექტორს შეეხო. ამაზე მეტყველებს: კომერციული ბანკების საკრედიტო პოტენციალის შემცირება, ვადაგადაცილებული კრედიტების ზრდა, საპორცენტო განაკვეთების მატება, მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტების შემცირება, საბალანსო წლის ზარალით დასრულება და სხვა [1]. ამისი მიზეზი მრავალია, თუმცა, ჩვენი აზრით, უმნიშვნელოვანესია აშშ-ის „იპოთეკური ბუშტის“ გასკდომა, რასაც, თავის მხრივ, აშშ-ის საბანკო სისტემის მიერ იპოთეკური ბაზრის „უგუნური“ დაკრედიტება და საღაზღვევო სისტემის გაუმართაობის ერთობლიობა უძლოდა.

მართალია, ექსპერტები თანხმდებიან, რომ მსოფლიო ფინანსური კრიზისის გამომწვევი იყო აშშ, მაგრამ ამ კრიზისზე ადგეკვატური პასუხის გაცემა არა მხოლოდ ამერიკამ, არამედ მთელმა მსოფლიო საბანკო სექტორმა ვერ შეძლო. გამონაკლისი არც იმ განვითარებული ქვეყნების საბანკო სისტემაა, რომელიც იმ დროისათვის საბანკო რეგულირების ყველაზე თანამედროვე (ბაზელი II) სტანდარტებს იცავდა. ამ და სხვა პრობლემების აღმოსაფხვრელად, 2010 წელს, დიდი ოცენების სეულის სამიზნე მიღებულ იქნა ბაზელის კომიტეტის მიერ შემუშავებული რეკომენდაციათა ახალი პაკეტი – ბაზელი III [2], რომელიც მიზნად ისახავს ახალი ფინანსური კრიზისებისაგან თავის არიდებას და მდგრადი ეკონომიკური განვითარე-

ბისათვის ხელის შეწყობას.

ბანკებზე დაწესებული გამკაცრებული რეგულირება, მართლია, უფრო გაართებულებს ბანკებს და მსესხებელს შორის ურთიერთობას, თუმცა, მინიმუმამდე იქნება დაყვანილი რისკების შემცველობა (კაპიტალის გაზრდის ან რისკების შემცველობა (კაპიტალის გზით), რაც გრძელვადიან პერსპექტივაში უფრო მნიშვნელოვანი საკითხია, როგორც გლობალური, ასევე ლოკალური ჭრილით. „ბაზელი III-ის“ დანერგვასთან დაკავშირებული ყველაზე დიდი პრობლემები, საგარაუდოდ, საერთაშორისო ბანკებს შეექმნებათ, პირველ რიგში, სახსრების უცმარისობის გამო, რაც აუცილებელია გამკაცრებული კაპიტალისა და ლიკვიდობის მაჩვენებლების დასაკმაყოფილებლად.

”Financial Times-ში“ გამოქვეყნებული სტატიის თანახმად, დასავლური ბანკები დიდ იმედგაცრუებას გამოხატავენ ახალი ლიკვიდობის კოეფიციენტთან დაკავშირებით (LCR), რომელიც, მათი აზრით, კონტრიკის დაკრედიტებას ზღუდავს [3], „Jp Morgan“-ის შეფასებით, 2010 წლის ბოლოს, 28 გამოკვლეული ევროპული ბანკი განიცდიდა 493 მლრდ ევროს დეფიციტს ამ მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად [4]. ”McKinsey Analysis“ თანახმად კი, 2019 წლისათვის ევროპულ და ამერიკულ ბანკებს ერობლიობაში 7 მლრდ ევროზე მეტი კაპიტალი დასჭირდება შესაბამისი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად [5].

რაც შეეხება საქართვევლოში ბაზელის თანამედროვე რეკომენდაციების დანერგვას, შეიძლება ითქვას, რომ ეს არა უბრალოდ საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში – სებ) სურვილია, არამედ თანამედროვე რეალობის გამოძახილი როგორც პოლიტიკურ, ასევე მორალურ–ზნეობრივ დონეზე. მართალია, შესაძლებელია საბანკო სისტემის გამართებით ფუნქციონირება ბაზელი II და III რეკომენდაციების იმპლემენტაციის გარეშეც (თუ ანალოგიურ მოთხოვნებს ლოკალური ცენტრალური ბანკი თავად დაარეგულირებს), მაგრამ საქართველოს, რომელიც ისწრაფვის დასავლური სისტემისაკენ, სხვა გზა არა აქვს, თუ არა იგივე სტანდარტების დანერგვა, რაც დასავლეთშია აქტუალური. გარდა ამისა, თავად ბანკებს ამით

ეძლევა საშუალება დაამყარონ უფრო ახლო კონტაქტები მათ დასავლელ პარტნიორებთან, გახდნენ სანდოები საერთაშორისო ბაზარზე და გავიდნენ საქმიანობის ახალ მასშტაბებზე. რაც შეეხება ამ რეკომედაციების დანერგვასთან დაკავშირებულ პრობლემებს, ამ ეტაპზე ის უფრო ტექნიკური ხასიათისაა და ნაკლებად ეხება კაპიტალის უკმარისობას, და მაინც, სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ სებ-ის მთავარი მიზანი – საბანკო სისტემის სტაბილური ფუნქციონირება (ბანკების დეპოზიტიართა და სხვა კრედიტორთა ინტერესების დაცვა საბანკო სისტემაში სისტემური რისკების მინიმუმამდე დაუვანის გზით, აგრეთვე, კონკურენტუნარიანობის პრინციპებისა და სების ინსტიტუციური ინტერესების დაცვა) [6], წარმოუდგენელია ბაზელის თანამედროვე რეკომენდაციების გარეშე.

ბაზელი III არის, “საბანკო რეგულირების შესახებ ბაზელის კომიტეტის” წევრი ქვეყნების მიერ დადგენილი გლობალური მარეგულირებელი სტანდარტი საბანკო რისკების გამოყენების ში, კერძოდ: ბანკებში კაპიტალის საკმარისობის, სტრუქტურულებისა და საბაზრო ლიკვიდობის შესახებ [7]. საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის რეკომენდაციების მიხედვით, საბანკო საქმიანობაზე ზედამხედველობის მთავარი მიზანი ყველა ბანკზე მუდმივი ზედამხედველობით მოსალოდნელი სისტემური კრიზის სების ადმოფულობრივი. აგრეთვე რისკების მართვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან მიზანს ერთდროულად წარმოშობილი დიდი მოცულობის ზარალის თავიდან აცილება წარმოადგენს, რაშიც ბაზელის თანამედროვე რეკომენდაციები ძალზე პრაქტიკულია [8].

სტეფან ვალტერის თანახმად (ბაზელის კომიტეტის ყოფილი უფროსი), ბაზელი III დანერგვის ძირითადი ფაქტორებია [9, გვ. 1-12]:

საბანკო კრიზისის ნეგატიური ეფექტები. საბანკო კრიზისს ძალუს ეპონომიკური დაღმავლობის გამოწვევა, რაც მშპ-ის 60%-ს შეიძლება გაუტოლდეს, კრიზისის წინა პერიოდთან შედარებით. საქართველოს რეალობაში ასეთმა მასშტაბურმა უკუსვლამ შესაძლოა ქვეყნის ეკონომიკისათვის სრული კატასტროფა და 90-იანი წლების მაჩვენებელზე დაბ-

გახტანგი ჭრას

ლა დაწევა გამოიწვიოს. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ბოლო ფინანსური კრიზისის დაძლევაში (რომელიც გლობალური ფინანსური კრიზისით იყო გამოწვეული) დიდია საერთაშორისო ორგანიზაციებსა და სხვადასხვა პარტნიორ ქვეყნების წვლილი. მათ შორის აღსანიშნავია რუსეთ–საქართველოს ომისშემდგომ დონორთა §4.5 მრღვევა დახმარება, რამაც ფინანსური ბალიშის ფუნქცია იტვირთა საქართველოს ეკონომიკისათვის [10].

საბანკო კრიზისების სიხშირე. 1985 წლიდან მოყოლებული ბაზელის კომიტეტის წევრქვეყნებში დაფიქსირებულია 30 საბანკო კრიზისზე მეტი (იხილეთ ცხრილი 1), რაც უდრის საბანკო კრიზისთან შეჯახების 5%–იან ალბათობას ორგანიზაციის წევრი ქვეყნისათვის მოცემულ წელიწადში.

საბანკო კრიზისების სიხშირე ბაზელის კომიტეტის წევრქვეყნებში 1985–2010 წწ. [11]

ცხრილი 1

ქვეყანა	რეინბარდი და როგორი	ლიივენი და ვალენსია	ქვეყანა	რეინბარდი და როგორი	ლიივენი და ვალენსია
იაპონია	1992, 2008	1997, 2008	საუდ, არაბეთი	—	—
ბელგია	2008	—	სამხრეთ აფრიკა	1989	—
ბრაზილია	1990, 1994	1990, 1994	შვეიცარია	2008	2008
კანადა	—	—	თურქეთი	1991, 2000	2000
ჩინეთი	1997	1998	ბრიტანეთი	1991, 1995, 2007	2007
ეკვადორი	2007	2007	აშშ	2007	1988, 2007
ინდონეზია	1993	1993	რუსეთი	1995, 1998	1998
იტალია	1990	—	მექსიკა	1997	1994

სამართლიანი იქნება ითქვას, რომ ზემოაღნიშნული ქვეყნებისაგან განსხვავებით, საქართველოს საბანკო სისტემაში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ არა თუ 2–3 კრიზისი განვლო, როგორც ეს ბაზელის კომიტეტის წევრი ქვეყნების უმეტესობაში მოხდა (ზოგიერთ ქვეყანას კი საერთოდ არ გადახდენია არც ერთი ეკონომიკური კრიზისი), არამედ გაცილებით მეტი (და არამარტო ეკონომიკური) და იყო პერიოდი, როდესაც ქართული საბანკო სისტემა არც კი გააჩნდა. შესაბამისად, საქართველოსთვის გამართულად ფუნქციონირებადი

საბანკო სისტემას და მისი სტაბილურობა სასიცოცხლო მნიშვნელობის აუცილებლობაა და გადამწყვეტია ქვეყნის მომავალი მდგრადი განვითარებისათვის, რამეთუ საბანკო სისტემა ეკონომიკის მამოძრავებელია და სტაბილური განვითარების ქვაკუთხედს წარმოადგენს.

ბაზელი III-ის პენეფიტები. ბაზელი III-ის პოზიტიური ეფექტები მის დანერგვასთან დაკავშირებულ დანახარჯებს ოვალსაჩინოდ აღემატება, რადგანაც სტაბილური საბანკო სისტემა ნებისმიერი ეკონომიკის მდგრადი განვითარების ქვაკუთხედია. საქართველოსთვის კი, სადაც ეროვნული ბანკის მხრიდან, მართალია, რისკების მართვის საქმაოდ მაღალი მოთხოვნებია დაწესებული, არათუ ბაზელი III-ის, არამედ ჯერ ბაზელი II-ის რეკომენდაციათა პაკეტზეც არა ვართ გადასული. ამიტომ რეკომენდაციათა დროული და ხარისხიანი იმპლემენტაცია სასიცოცხლო მნიშვნელობისაა.

ადსანიშნავია ის ფაქტი, რომ რეკომენდაციათა წინა ორი პაკეტისაგან განსხვავებით (ბაზელი I და ბაზელი II), ბაზელი III უკვე ადარ არის უბრალოდ რეკომენდაციათა ნუსხა, შესაბამისად, ეროვნულ ბანკებს ეძლევათ სრული უფლება შესაბამისი სანქციები გაატარონ ურჩი ბანკების წინააღმდეგ. მაგალითად, ბანკებს არ შეეძლებათ აქციონერებისთვის დივიდენდების გადახდა, ბონუსებისა და პრემიების გამოყოფა თავიანთი მმართველებისათვის და ა.შ. სანამ არ დაიცავენ ბაზელის მოთხოვნებთან ადაპტირებული ეროვნული ბანკის მოთხოვნებს [12, გვ. 3-52].

რეკომენდაციათა დანერგვის სირთულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ნაწილი ვარაუდობს, რომ ბაზელის კომიტეტის მიერ დადგენილი ოფიციალური ვადები (იხ. ცხრილი 2) ზოგიერთი ქვეყნების მხრიდან (აშშ, ინდოეთი, რუსეთი...) გადაწეული იქნება უფრო შორეულ მომავალში [13]. თუმცა დანარჩენები მიიჩნევენ, რომ მბაფრი კონკურენციიდანგამომდინარე, ახალი სტანდარტების მინიმალურ ვადებში და მაღალი ხარისხით დანერგვა სასიცოცხლო მნიშვნელობის იქნება მათი მომდევნო წარმატებული განვითარებისათვის. ის მნიშვნელოვანი იქნება, ერთი მხრივ, მარეგ-

ვასტანგი ჭარატა

ულიორებელი ორგანოების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, მეორე მხრივ კი, ადგილობრივი და უცხოელი პარტნიორების მოსაზიდად, აგრძელების სხვადასხვა ადგილობრივ თუ საერთაშორისო რეიტინგებში მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად, რაც მთლიანობაში მათი წარმატების გარანტი გახდება.

კაპიტალის შემადგენლობასთან დაკავშირებული მინი-მალური მოთხოვნები და მისი დანერგვის ვადები (%) შესაბამისი წლის 1 იანვრისათვის) [14]

Եթովո 2

შემადგენლობა	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
I დონის საბაზო კაპიტალი/RWA	3,5	4,0	4,5	4,5	4,5	4,5	4,5
ბუფერული კაპიტალი/RWA	-	-	0,625	1,25	1,875	2,5	2,5
სააქციო კაპიტალი + ბუფერი	3,5	4,0	4,5	5,125	5,75	6,375	7,0
კონტრიციულური კაპიტალი	-	-	-	0,625	1,25	1,875	2,5
კაპიტალის საკმარისობის კოეფიციენტი	8,0	8,0	8,0	8,0	8,0	8,0	8,0
კაპიტალის საკმარისობა + ბუფერი	8,0	8,0	8,0	8,625	9,25	9,875	10,5

მთლიანობაში, წინა რეკომენდაციათა პაკეტს რამდენიმე ახალი პარამეტრი დაემატა და შესაბამისად უფრო მკაცრ მოთხოვნებთან გვაქვს საქმე. კერძოდ, ბაზელი III მიზნად ისახავს:

პირველი დონის კაპიტალი უნდა გაიზარდოს რისკ-შეწონილი აქტივების 6%-მდე;

რისკშეწონილი სააქციო კაპიტალი გაუნაწილებელ მოგებასთან ერთად, უნდა გაიზარდოს დღევანდელი 2%-დან 4,5%-მდე მომავალში;

საბუფერო კაპიტალის დანერგვა (იქმნება მხოლოდ საბაზო კაპიტალის ხარჯზე), რომელიც შესაძლოა ფინანსური და ეკონომიკური არასტაბილურობის დროს დანაკარგების დასაუკარად იქნეს გამოყენებული;

კონტრიციკლური ბუფერის დანერგვას, რომელიც დამატებითი ბერკეტია ქვეყანაში არასტაბილური გეონომიკური ვითარებისგან თავის დასაცავად;

კაპიტალის საექმარისობის მაჩვენებლის დანერგვა (კაპიტალისა და აქტივების შეფარდება, რეზერვებისა და მორაგება)

ბის მაჩვენებლების გარეშე);

დაინერგება საკუთარი და ნასესხები კაპიტალის თანა-
ფარდობის (ლევერიჯის) “არა რისკერწონილი” კოფიციენტი,
რომელიც ბანკებისთვის კიდევ ერთი დამსმარე ბერკეტი იქნა-
ბა კრიზისული კითარების დროს;

დაინერგება ახალი გრძელვადიანი (1 წლამდე) და მოკლევადიანი (30 დღემდე) ლიკვიდობის მაჩვენებლები.

აღსანიშნავია, რომ განსაზღვრულია ახალი რეკომენდაციების ეტაპობრივი დანერგვა ანუ დროში მოთხოვნათა ეტაპობრივი იმპლემენტაცია (იხ. ცხრილი 2) ბანკების „უმტკივნეულო“ გადაწყვობა/გადაჯგუფებისათვის.

თუ შევადარებო ბაზელ III-ს მის წინამორბედთან, შეიძლება დავასკვნათ, რომ მას მოქმედებათა უფრო ფართო ბაზა გააჩნია, როგორც მიკროპრედენციულს (ცალკეული ბანკების რისკები): ა) კაპიტალის ბაზის ზრდა; ბ) რისკების დაფარვასთან დაკავშირებული მოთხოვნების ზრდა; გ) ლეველრიჯის (საკუთარი და ნახესხები კაპიტალის შეფარდება) დანერგვა; დ) LCR და NSFR კოეფიციენტების დანერგვა. ასევე, მაკროპრედენციულ დოკუმენტი (მთლიანად საბანკო სექტორის რისკები): ა) კაპიტალის კონტრიკილური ბუფერის შემოღება; ბ) კაპიტალის უსაფრთხოების ბუფერი; გ) სავალო ვალდებულებების კოეფიციენტის დანერგვა.

სებ-ი აქტიურად ცდილობს ხელი შეუწყოს ბაზელი III-ის მიერ გათვალისწინებული მაკრო და მიკრო პრუდენციული ნორმების დანერგვას საქართველოში. სებ-ი აქტიურად ხერგავს ახალ პოლიტიკას, რომელიც იყენებს მიკროპრუდენციულ მონაცემებს მაკროეკონომიკური პოლიტიკისათვის და განსაზღვრავს მაკროეკონომიკური შროების ქვექტს მიკროპრუდენციულ რეგულაციებზე. კერძოდ, მონახაზი, რომელიც განსაზღვრავს კონტრიციულური ბუფერის საჭიროებას ბაზელი III-ის თანახმად, უკვე ამოქმედებულია. აგრეთვე, დაგეგმილია BSBC-ს მიერ დადგენილ ვადებში სისტემურად მნიშვნელოვანი ბანკების იდენტიფიკაცია (G-SIBს ფინანსური ინსტიტუტები, რომელთა დაცემა, მათი მასშტაბებიდან, სირთულიდან და სისტემური ურთიერთვაკშირიდან გამომდინარე; გამოიწვევს

ვახტანგ ჭარაშვილი

ფინანსური სისტემისა და ეკონომიკური აქტივობის პარალიზებას) და ის ნაწილობრივ მორგებული იქნება საქართველოს რეალობაზე (გეოგრაფიული, სექტორული და სხვ. ნიშნით), ჯერჯერობით კონტრციკლური და სისტემური რისკების საწინააღმდეგო ბუფერს სებ-ი მხოლოდ მონიტორინგის მიზნით გამოიყენებს.

რაც შეეხება მაკროპრედუნციულ ნორმებს, სებ-ის თანახმად, ის განსაზღვრავს სტრესტესტირებებს ეკონომიკის შესაძლებლობებიდან გამომდინარე. მაგალითად, ნეგატიური შეკის შემდგომ საჭირო იქნება უფრო შერბილებული და იმ მომენტზე მორგებული სტრესტესტირების ჩატარება. მიღებული ინფორმაცია გამოყენებული იქნება საკრედიტო რისკების ქვედანაყოფების მიერ, რომელიც შემდგომ განახორციელებს მიკრო დონის სტრესტესტირებას. შემდგომში, მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ბანკის ზედამხედველები განახორციელებენ სტრესტესტირებას საბანკო პორტფელზე და მსესხებლებს მიანიჭებენ შესაბამის რეიტინგებს მათი რისკებისა და ელასტიკურობის მიხედვით, რომელიც გამოიყენება მეორად კაპიტალში ახალი ჩარჩოს ფარგლებში და შემოღებულ იქნება დამატებითი მოთხოვნები კაპიტალზე ნაკლებად სტრესელასტიური ბანკებისათვის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვაო, ბანკებს მოეთხოვებათ მაკრო სცენარიდან გამომდინარე მიკროდონის სტრესტესტირებების ჩატარება [15].

ახლა განვიხილოთ, თუ რა შედეგი ექნება საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის თანამედროვე რეკომენდაციათა პაკეტის დანერგვას, შემდეგი კატეგორიების მიხედვით:

კაპიტალის სარისხის და ოდენობის ზრდა.

პირველი დონის (იუფა პირველი დონის საბაზო კაპიტალი და პირველი დონის დამატებით კაპიტალი, რომელიც შედგება ისეთი ინსტრუმენტებისაგან, რომელიც ბანკს აძლევს გადახდების სრულ დისკრეციასა, (რისი გადაუხდებობა არ უნდა იწვევდეს დეფოლტს და ზარალის დაფარვისათვის მისი სრულად გამოყენების შესაძლებლობას) და მეორე დონის კაპიტალის (საღიგვიდაციო კაპიტალი, რომელმაც

უნდა უზრუნველყოს ზარალის დაფარვა დეპოზიტარებამდე და კრედიტორებამდე მისი ლიკვიდაციისას ან მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეების დროს) მიმართ გამკაცრებული მოთხოვნების შედეგად რეკომენდაციათა ავტორები იმედოვნებენ მოვლენათა მთელი ჯაჭვის განვითარებას: ბანკების მხრიდან მოსალოდნელი იქნება ფინანსურ რესურსებზე მეტი დამოკიდებულება, რაც გამოიწვევს საჭირო თანხების მოზიდვის/დაფარვის აუცილებლობას ჩვეულებრივი აქციებისა და არგადახდილი დიფიდენდების საშუალებით (გაიზრდება კაპიტალი ან შემცირდება რისკის მიხედვით შეწონილი კაპიტალი), ამის შედეგად კი მივიღებთ საბანკო კაპიტალს, რომელიც ხარისხობრივად იქნება გაჯანსაღებული და ნაკლებ რისკებს დაქვემდებარებული.

“Morgan Stanley”-ის ცნობით, კაპიტალიზაციის საკმარისი დონის და სხვა მიზნების მისაღწვევად მომდევნო წლებში ევროპული ბანკები 3 ტრლნ ევრომდე ლირებულების აქტივებს გაასხვისებენ, ერთი მხრივ, კაპიტალიზაციის პირობების და, მეორე მხრივ, 2014 წლამდე არაუზრუნველყოფილი გრძელვადიანი ვალდებულებების დასაფარად [16].

ექსპერტთა აზრით, ძლიერი ბანკები რაც შეიძლება მალე დაიწყებენ თავისი საბალანსო ანგარიშების “გასუფთავებას” და ბაზელის კომიტეტის გრძელვადიანი ჩანაფიქრი მიაღწევს თავის მიზანს. ოუმცა, “Barclays Capital”-ის ანალიტიკოსების მტკიცებით, ამ ქმედებას დიდი უარყოფითი მხარეც ექნება, რაც გამოიხატება ფასიანი ქაღალდების ბაზრის სავარაუდო შემცირებით, რადგანაც აკრძალული იქნება პიბრიდული ფასიანი ქაღალდების გამოყენება პირველი დონის კაპიტალში.

რაც შეეხება საქართველოს საბანკო სისტემას, ამ ასპექტით ეროვნული ბანკი მიიჩნევს, რომ მისი მოთხოვნები ახლოა ბაზელის რეკომენდაციებთან. უფრო მეტიც, საქართველოში დღეს მოქმედი მინიმალური კაპიტალის სტანდარტებს საფუძვლად სწორედ ბაზელის კომიტეტის მიერ შემუშავებული სისტემა უდევს. არსებული სტანდარტი განსაზღვრავს პირველადი კაპიტალის რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებსა და საზედამხედველო კაპიტალის რისკის მიხედვით შეწონილ

განხტანები ჭრაში

აქტივებთან თანაფარდობის მინიმალურ მოთხოვნებს.

სავალო ვალდებულებების შემცირება ლევერიჯის კოეფიციენტის შემოღების შედეგად.

მართალია, ლევერიჯის კოეფიციენტის შემოღების შედეგად (2013 წლიდან მხოლოდ მონიტორინგი, 2018 წლიდან კი – სრულფასოვნად) ბანკების საგარეო ვალი შემცირდება, თუმცა, ექსპერტთა აზრით, ეს ნაბიჯი ბანკებისათვის შეიძლება იქცეს საპროცენტო განაკვეთების ზრდის სტიმულად, რასაც, როგორც წესი, დაკრედიტების შემცირება მოხდევს. უფრო მეტიც, გარდა იმ მოთხოვნებისა, რომელსაც მარეგულირებელი უკენებს ბანკებს, შესაძლოა მათ თავად მოისურვონ უფრო მაღალი სტანდარტების დაჭერა, თავიანთი რეიტინგებისა და მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად. ცხადია, ეს იძულებითი ქმედება იქნება, რომელიც კრედიტების გაცემას უფრო შეზღუდვს, თუმცა, მეორე მხრივ, ბანკები შეძლებენ რისკების უკავების მართვას და თავიანთ ბიზნესს უფრო უსაფრთხოს გახდიან.

ნასესხები სახსრების გადახდის ვადები 2010 წ. დეპმბრის მდგომარეობით [18]

ცხრილი 3

	2011	2012	2013	2014	2015	2015<
ძირითადი თანხის დაფარვა, მათ შორის:	34%	36%	10%	7%	3%	9%
ა) სათაო კომანიტეტისათვის	14%	3%	2%	4%	1%	3%
ბ) საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისათვის	14%	10%	7%	3%	2%	6%
გ) სხვა კორპორატიული სატურნოებისათვის	6%	23%	1%	0%	0%	0%

ადსანიშნავია, რომ სავალო ვალდებულებების მხრივ ქართულ ბანკებს სტაბილური ვითარება გააჩნიათ. მართალია, სებ-ის თანახმად 2012 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით საბანკო სექტორის ვალმა 2.2 მლრდ ლარი (მთლიანი საგარეო ვალის 17.0%, ანუ 3.7 მლრდ ლარი) შეადგინა [17], მაგრამ მისი გადახდის ვადები (იხ. ცხრილი 3) საქმაოდ მოქნილია და ქართულ საბანკო სივრცეს არ უნდა გაუჭირდეს მასთან გამჭვივება, მითუმეტეს, რომ ქართულ საბანკო სივრცეში ახალი მასშტაბური კაპიტალის შემოღინება არ იგეგმება,

საერთაშორისო ბაზარზე მისი გამჭვირების გამო, უკვე აღებული სესხების 70% საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებსა და სათაო კომპანიებზე მოდის, ხოლო დანარჩენი 30% – სხვა კერძო წყაროებზე.

3) მოკლევადიანი ლიკვიდობისა (LCR) და წმინდა სტაბილური ფინანსირების კოეფიციენტები (NSFR).

საერთო მოსაზრებით 2008 წლის ფინანსური კრიზისი არა მხოლოდ კაპიტალის უქმარისობაში მდგრმარეობდა, არამედ – ლიკვიდობაშიც. ამ პრობლემის მომავალში აღ-მოსაფხვრებლად ბაზელის კომიტეტი გვთავაზობს ორ ახალ კოეფიციენტს LCR (ამოქმედდება 2015 წლიდან) და NSFR (ამო-ქმედდება 2018 წლიდან):

ა) 30 დღიანი LCR კოეფიციენტი საერთაშორისო ბანკებს აძლევს საშუალებას დარწმუნდნენ, რომ მათ გააჩნიათ საკმარისი მაღალხარისხიანი მოკლევადიანი ლიკვიდური აქტივები, რომელიც გაუძლებს სტრუქტების მომდევნო 30 დღისათვის. ეს კოეფიციენტი აიძულებს ბანკებს იქონიონ მაღალ ლიკვიდური, მაგრამ დაბალ შემოსავლიანი აქტივების დიდი მარაგი შემდეგი პროპორციულობით:

$$100\% \leq \frac{(\text{მაღალლიტერული აქტივების მარაგი)}{(\text{მთლიანი თანხის გადინება მომდევნო
30 კალენდარული დღის განმავლობაში)}$$

სებ-ის ცნობით, ბაზელი III-ის რეკომენდაციებთან უფრო დასახლოებლად მან ბოლო პერიოდში მოკლევადიანი ლიკვიდობის კოფიციენტი (LCR) შემოიღო და მომავალში აპირებს, რომ გახადოს ის ლიკვიდობის ზედამხედველობის ძირითად მაჩვენებლად ქართულ ბანკებში. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ბაზელი II და ბაზელი III რეკომენდაციებზე გადასვლამდე ქართული ბანკები უკვე იცნობდნენ და გამოიყენებდნენ ამ მაჩვენებლას, რაც შემდგომში უდივოდ გააძლიერებს ბაზელის რეკომენდაციების იმპლემენტაციას საქართველოში [19].

სებ-ზე დაყრდნობით, ქართულ ბანკებს საკმაოდ სტაბილური და დამაჯერებელი პოზიციები უკავიათ კაპიტალიზაციისა და ლიკვიდობის მხრივაც (საქართველოს გკონომიკური

განვითარებული ფინანსები

შესაძლებლობების შესაბამისად), რაც დაკრედიტების შემდგომი ზრდისათვის ძალიან ხელსაყრელია. თუმცა, დაკრედიტების ბუმმა შესაძლოა როგორც დადებითი (საპროცენტო განაკვეთის შემცირება), ასევე უარყოფითი (საკრედიტო რისკების ზრდა) შედეგები გამოიღოს. ამასთან, გასათვალისწინებელია ბოლო დროს შემცირებული, მაგრამ მაინც მაღალი დოლარიზაციის დონე ქვეყანაში. დეპოზიტების დოლარიზაციის კოეფიციენტი 2012 წლის პირველი ივნისისათვის 62.23% შეადგინა, ე.ი. 3.0%-ით მეტი პირველი მაისის მდგრმარეობასთან შედარებით. 3%-იანი ზრდა საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის მიერ გამოშვებული ეკონომიკური მიზანის მიზანის მიზანის დაფინანსების დანართების გამოყენებამ გამოიწვია. უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებში დოლარის წილმა 80.2%, ხოლო ევროს წილმა 17.3% შეადგინა [20].

ბ) NSFR კოეფიციენტი გამიზნულია ბანკების წასახლისებლად, თავისი საშუალო და გრძელვადიანი ოპერაციების სტაბილური დასაფინანსების მოსაზიდად, აგრეთვე მოკლევადიან დაფინანსებაზე დამოკიდებულების შესამცირებლად. ის გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$\frac{\text{(ფინანსირებისათვის ხელმისაწვდომი თანხა)}}{100\% \leq \text{(ფინანსირებისათვის საჭირო თანხა)}}$$

ამასთან მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ NSFR კოეფიციენტის გათვლისას შეწონილი ფაქტორი შეადგენს: 1) 0% და 5%-ს ნადღი ფულისა და სახელმწიფო ობლიგაციებისათვის; 2) 65% იპოთეკური სესხებისათვის; 3) 85% საცალო კრედიტებისათვის და 4) 100% სხვა სახის აქტივებისათვის.

ამ ორი კოეფიციენტის შემოღებით ბაზელის კომიტეტი იმედოვნებს მოთხოვნის გადაადგილებას მოკლევადიანიდან გრძელვადიანი დაფინანსებისაკენ (საბანკო სისტემისათვის), მაგრამ ის აგრეთვე გამოიწვევს საბანკო სექტორის აქციების მიმართ ინვესტორთა ინტერესის შემცირებას, დივიდენდების მოსალოდნელი შემცირების გამო.

გონიტრციკლური და კაპიტალის დამატებითი ბუფერის გაჩენა.

ეკონომიკური განვითარების როგორც სტაბილურ, ასევე არასტაბილურ ვითარებებში ბანკების მდგრადობის და ლიკვიდობის გასაუმჯობესებლად, სხვა დანარჩენ ღონისძიებებთან ერთად, რეგულატორები მოითხოვს კაპიტალის დამატებით ბუფერის შექმნას. მის დამუშავებამდე (იხ. ცხრილი 4) ბანკებს აეკრძალებათ: დივიდენდებისა და ბონუსების გაცემა და სხვ.

საბუფერო კაპიტალის კონსერვაცია. [21, გვ. 10-13]
ცხრილი 4

I ღონის საბაზო კაპიტალი (%)	შესაბამისი ბუფერი (%)	კაპიტალის მინიმალური რეზივუა (სანკციის მოვლენან მიღებული % ბუფერის შესავსებად)	მოვალეობის მიღებული % დაკრიტიკული განაწილებისათვის
4.5 - 5.125	0 - 0.625	60%	0%
> 5.125 - 5.75	0.625 - 1.25	80%	20%
> 5.75 - 6.375	1.25 - 1.875	60%	40%
> 6.375 - 7.0	1.875 - 2.5	40%	60%
> 7.0	2.5	0%	60%

დამატებით, ფინანსურმა კრიზისმა გამოავლინა, რომ დანაკარგები საბანკო სექტორში შეიძლება განსაკუთრებულად მაღალი იყოს, როდესაც დაცემას წინ უძღვის საკრედიტო ბუმი. ადგილად მისაწვდომი კრედიტი ხელს უწყობს კრედიტების დაგროვებას და ფასების ზრდას, რასაც, თავის მხრივ, ხმირად მივყავართ ე.წ. “აქტივების ბუშტამდე”. რა თქმა უნდა, ბუშტის გასკვიდომისას ფასები დაიწვებს კლებას, მაგრამ კრედიტები (როგორც საცალო ასევე ბანკთაშორისი) უკვე როგორც ხელმისაწვდომი გახდება. კრედიტებზე ხელმისაწვდომობის მომდევნო შეზღუდვა გამოიწვევს აქტივებზე ფასების დაცემას და ყველაფერ ამას შედეგად შესაძლებელია მოჰყვეს თვით დეფოლტიც [22].

ამ ბნელი ჯაჭვისაგან თავის დასაღწევად ბაზების კომიტეტი გვთავაზობს გონიტრციკლურ ბუფერს, რომელიც მეორე დამატებითი ბუფერი იქნება და კრედიტების გაცემის ზრდის პერიოდში შეივსება. ფაქტობრივ ის საკრედიტო ბუმის მამუხრუჭებელი ძალა იქნება, რომელიც ამავდროულად

განვითარებული კურსები

ბანკებს ამოსუნთქვის საშუალებას მისცემს დაღმავლობის პერიოდში. დაკრედიტების ტემპების ცვალებადობასთან ერთად კონტრციკლური ბუფერის ცვლილებაც იქნება შესაძლებელი 0%-დან 2.5%. ე.ი. პირველი და მეორე დონის კაპიტალის საერთო მოცულობამ შეიძლება პიკში 13%-საც მიაღწიოს [23] (იხ. ცხრილი 5).

მოთხოვები პირველი და მეორე დონის კაპიტალზე + ბუფერი [24]

ცხრილი 5

პირველი დონის საბაზო კაპიტალი - 4.5% :	85%	I დონის კაპიტალი
კონსერვაციის ბუფერი - 2.5%		
კონტრციკლური ბუფერი 0 - 2.5%		
პირველი დონის დამტებითი კაპიტალი - 1.5%		
მეორე დონის საბაზო კაპიტალი - 2%	15%	II დონის კაპიტალი

ფაქტია, უკანასკნელი მსოფლიო საფინანსო კრიზისის შემდეგ, მსოფლიო ეკონომიკა და განსაკუთრებით საბანკო სექტორი გამოჯამრთელების გზას ადგას, მათ შორის საქართველოშიც, სადაც ორწლიანი (2008–2009წწ.) დაღმავლობის შემდგომ 2009 წლის ბოლო კარტალში საბანკო სექტორმა შეძლო კვლავ მოგებაზე გასვლა: 2011 წელს 2010 წელთან შედარებით წმინდა საბანკო მოგებამ გაორკეცებულ ნიშნულს მიაღწია (2010 წ. – 156 მლნ ლარი; 2011 წ. – 323 მლნ ლარი), მაგრამ 2012 წელს შემცირდა და 134 მლნ ლარი შეადგინა. ძველი შეცდომების აღმოსავხვრელად საბანკო რეგულირების სფეროში, საჭიროა ახალი სტანდარტების შემუშავება და დანერგვა, საბანკო რისკ-მენეჯმენტის უფრო მაღალ დონეზე აყვანა, განსაკუთრებით კი საკრედიტო რისკის მართვის მეთოდებია დასახვევი [25, გვ. 285].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სებ-ი აქტიურად ცდილობს ბაზელის თანამედროვე რეკომენდაციების დროულ იმპლემენტაციას, ბაზელის რეკომენდაციებში გაწერილი გრაფიკის თანახმად. სებ-სა და კომერციულ ბანკებს შორის დიალოგი ამ

საკითხზე კითხვა-პასუხის რეეიმით მიმდინარეობს, რათა მინიმუმამდე შემცირდეს თანმდევი გაუგებრობები ორივე მხრიდან.

Financial Cstability Institute-is 2012 წლის კვლევის თანახმად, პირველ ეტაპზე იგეგმება „პილარ I-ის“ სტანდარტული მიღობის და „პილარ II-ის“ ეწ. „advanced“ მეთოდის დანერგვა, რაც სებ-ს საქართველოს საბანკო სისტემაზე მორგებული რეკომენდაციების იმპლემენტირების საშუალებას მისცემს. რაც შეეხება ქართული ბანკების პირველი ICAAP (შინაგან კაპიტალის აღეკატურობის შეფასების პროცესი) წარდგენას, მათ ის სებ-ს უნდა მიაწოდონ არაუგვიანეს 31.12.2012-სა, „pilar II-ის“ მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო „პილარ III-ის“ მოთხოვნების შესრულება ტრანსპარენტულობასთან დაკავშირებით – 01.07.2013-მდე.

აღსანიშნავია, რომ სებ-ის მოთხოვნები რიგ საკითხში ბაზების რეკომენდაციებზე მეტად კონსერვატიულია. მაგ.: სებ-ის მოთხოვნები პირველი დონის კაპიტალთან რისკით შეწონილი აქტივებისათვის ბაზებისას აღემატება და 7-ის ნაცვლად 8%-ს შეადგენს (ბაზები II – 4%); მოლიანობაში საზედამხედველო კაპიტალი კი ბაზები III-ის 8%-ის ნაცვლად 12%-ს შეადგენს; რაც შეეხება ლიკვიდობის კოეფიციენტს (LCR), სებ-ის მოთხოვნები ბაზელთან შედარებით არანაკლებ კონსერვატიულია.

მაგრამ, სებ-ის „კომერციული ბანკების კაპიტალის აღეკატურობის მოთხოვნების შესახებ დებულება“-სა [26] და ბაზები II-სა და ბაზები III-ის მოთხოვნებს შორის არის რამდენიმე სხვაობაც, კერძოდ:

პირველი. სებ-ი მოითხოვს, პირველი დონის კაპიტალში ჩართული იყოს: ა) ჩვეულებრივი აქციები; ბ) დამატებითი სახსრები, რომლებიც წარმოიქმნება ძირითადი პირველადი კაპიტალის ინსტრუმენტების ემისიით; გ) აქტულირებული სხვა სრული შემოსავალი და სხვა რეზერვები; დ) გაუნაწილებელი მოგება (ზარალი). ეს მაშინ როცა, ბაზების III-ის მოთხოვნები ითვალისწინებს მხოლოდ ჩვეულებრივი აქციებისა და გაუნაწილებელი მოგების ჩართვას.

ვახტანგ ჭარაშვილი

მეორე მეორე დონის კაპიტალში სებ-ის და ბაზელის მოთხოვნები თავსებადია, თუმცა არასრული. სებ-ის თანახმად, მეორადი კაპიტალი არის საზედამხედვებელო კაპიტალის დამატებითი წყარო და უდრის მეორადი კაპიტალის ელემენტების ჯამს გამოკლებული მეორადი კაპიტალის საზედამხედვებელო კორექტირებები: ა) ინსტრუმენტები, რომლებიც აკმაფოფილებს მეორადი კაპიტალის კრიტერიუმებს და არ არის პირველადი კაპიტალის ნაწილი; ბ) მეორად კაპიტალში შემავალი ინსტრუმენტების ემისიით მიღებული დამატებითი სახსრები; გ) საერთო რეზერვები, საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციების მაქსიმუმ 1.25%-ის ოდენობით. ამას გმატება ბაზელის რეკომენდაციებში გათვალისწინებული შემდეგი მოთხოვნები: ა) სააქციო პრემია (აქციების ფასის ზრდით გამოწვეული ნამატი); ბ) კონსოლიდირებული შვილბილი კომპანიების მიერ გამოშვებული ცალკეული ინსტრუმენტი (მაგ. მონორიტარული ინტერესი), რომელიც გამოიყენება მესამე პირების მიერ და რაც აკმაყოფილებს მეორადი კაპიტალის კრიტერიუმებს და გ) შინაგან რეიტინგებზე დაფუძნებული ბანკებისათვის (Internal Ratings Based Banks) ხელმისაწვდომი სახსრების ნამატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოლიან მოსალოდნელ დანაკარგებობა იზღუდება რისკშეწონილი აქტივების 0.6%-ით.

მესამე. სებ-ის მოთხოვნის თანახმად პირველადი კაპიტალი უნდა შეადგენდეს საზედამხედვებელო კაპიტალის არანაკლებ 50%-ს, ხოლო ბაზელი III-ის თანახმად კი, პირველი დონის კაპიტალის თანაფარდობა მეორე დონის კაპიტალთან უნდა იყოს 75%/25%-ზე.

მეოთხე. საქართველოს საბანკო სისტემაში ჯერ არ სებობს NSFR კოეფიციენტის შესაბამისი მოთხოვნა, რომელიც გათვალისწინებულია ბაზელი III-ის რეკომენდაციებში. აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ ბაზელის რეკომენდაციებში ცალკე პუნქტიად არის გამოყოფილი დამატებით ორი კაპიტალის ბუფერი: სავალდებულო კონსერვაციის ბუფერი (2.5%-ის ოდენ-

ნობით) და დისკრეციული კონტრიკიპური ბუფერი, რომელიც ეროვნულ ბანკს აძლევს საშუალებას მოითხოვოს დამატებით 2.5%-მდე კაპიტალი დაკრედიტების მაღალი ზრდის პერიოდში. აღნიშნული ბუფერები სებ-ის მიერ ჯერ არ დანერგილა.

მთლიანობაში გამოდის, რომ ბაზელის რეკომენდაციებით შესაძლოა ბანკზე დაწესებულმა მოთხოვნებმა რისკით შეწონილი აქტივების 13%-ს მიაღწიოს (განსაკუთრებულ ეკონომიკური მოვლენების დროს), მაშინ როდესაც სებ-ის მოთხოვნებით ის 12%-ს არ აღემატება.

საინტერესოა, რა მდგომარეობა გააჩნია ქართულ ბანკებს კაპიტალის საქმარისობის კუთხით. როგორც ცხრილი 6-დან ჩანს ქართულ ბანკებს არათუ კაპიტალის ადეკვატურობის პრობლემა და მისი ნაკლებობა აქვთ, არამედ მის სიჭარბე-საც კი განიცდიან დასავლელი კოლეგებისაგან განსხვავებით, რომლებიც გაკოტრების და გაერთიანების საფრთხის წინაშე დგანან ახალი სტანდარტების გამო. ბოლო წლების განმავლობაში მხოლოდ ერთხელ დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც 2010 წელს კორსტანდარტებანგმა ვერ შეასრულა ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული მინიმუმი 12%-ის ოდენობით და მისი კაპიტალის ადეკვატურობა მხოლოდ 9.36%-ს შეადგინდა. სხვა დანარჩენ შემთხვევაში ქართულ ბანკებს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ტიპის პრობლემა არ შექმნიათ, ზირაათ ბანკს კი აღნიშნული მაჩვენებელი 2009 წელს სულაც 392.62% პქონდა, სავალდებულო 12% ფონზე.

კაპიტალის ხარისხის და ოდენობის ახალი სტანდარტების პარალელურად, ბაზელი III გულისხმობს ცვილებებს სავაჭრო პორტფელის (Trading Book) სტრუქტურაშიც, თუმცა, ქართულ ბანკებში მისი პრაქტიკულად უქონლობის გამო, ის ჩვენთვის აქტუალური არ არის. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ამავე რეგულაციის „პილარ III-ზე“ გათვალისწინებული მოთხოვნები გამჭვირვალეობის კუთხით, საქართველოში უკვე სრულდება და სებ-ის განცხადებით მისი მომდევნო დახვეწიც პრობლემას არ შექმნის.

ვასტანგი ჭრები

გაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი (%) ქართულ ბანკებში. [27]

ცხრილი 6.

ბანკის დასახელება	2011 წ.	2010 წ.	2009 წ.
ზირაათ ბანკი	ვერ მოვიპოვეთ	ვერ მოვიპოვეთ	392.62
სალიკ ბანკი	88	168	292.84
კავასისის განვითარების ბანკის ფილ.	ვერ მოვიპოვეთ	ვერ მოვიპოვეთ	109.10
პროგრესბანკი	97.53	75.65	90.15
ინკასტანკი	ვერ მოვიპოვეთ	ვერ მოვიპოვეთ	68.79
აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი	41.17	30.50	40.65
ბანკი ქართუ	55.64	49.22	28.30
BTA ბანკი	32.09	40.46	22.74
TBC ბანკი	ვერ მოვიპოვეთ	ვერ მოვიპოვეთ	22.52
საქართველოს ბანკი	28.5	26.6	34.7
VTB ბანკი	16.82	24.17	17.89
პროკრედიტ ბანკი	16.22	17.33	17.48
ბაზისბანკი	14.5	15.1	17.09
HSBC ბანკი	*	*	16.16
ბანკი რესპუბლიკა	22.22	26.85	15.17
კორსტანდარტბანკი	14.14	9.36	12.96
ბანკი კონსტანტა	14	15	14.22
(ტაო)პრივატბანკი	26.71	39.52	12.38
ლიბერტი ბანკი	არ აქვეყნებს	არ აქვეყნებს	არ აქვეყნებს


ამავე დროს აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე მეტი სირთულე, როგორც ამას საერთაშორისო გამოცდილება მოწმობს, მოსალოდნელია პილარ II-ში (საზედამსედველო განხილვის პროცესი), მიუხედავად ბაზელის დანარჩენ პილარებთან პილარ II-ის დოკუმენტაციის სიმცირისა. ამიტომ ეროვნული ბანკი აქტიურად მუშაობს ამ საკითხის მოსაგვარებლად და ოვლის, რომ მისი ადეკვატური განხორციელება ქართულ საბანკო სივრცეს სტაბილურობის ახალ დონეზე გადაიყვანს, რაც რისკების პრევენციასა და მართვას მნიშვნელოვნად გააადგილებს.

ყოველივე აღნიშნულ პროცესში გასათვალისწინებელია საბანკო ზედამხედველობის ახალი სტანდარტების დანერგვას-

ფინანსური ექონომიკა

თან დაკავშირებული საერთაშორისო გამოწვევები. 2009 წელს, ლონდონის დიდი ოცეულის შეხვედრაზე გერმანია და საფრანგეთი ენერგიულად ასაბუთებდნენ ახალი მარეგულირებელი სტანდარტების შემოღვის აუცილებლობას. მათ სწამდათ, რომ მათი კუთხით ბანკები, კაპიტალის კუთხით, აშშ-ის ბანკებთან შედარებით, უფრო კარგ მდგომარეობაში იმყოფებოდა და მიიჩნევდნენ, რომ გამკაცრებული წესები ფრანგულ და გერმანულ ბანკებს გლობალურ უპირატესობას მიანიშებდა. თუმცა, მას შემდეგ, რაც ევროპაში კრიზისმა ფრთვები გაშალა, აღმოჩნდა, რომ საფრანგეთის და გერმანიის ბანკები „ტოქსიკურ“ აქტივებში იძირებოდნენ. ამიტომ, საფრანგეთის და გერმანიის წარმომადგენლებს (რუსთან, აშშ-სა და სხვა ქვეყნებთან ერთად) უკვე ადარ სურთ წესების გამკაცრება, როგორც მინიმუმ იმ ვადებში, რომელიც უკვე შემუშავებულია ბაზელის კომიტეტის მიერ.

კაპიტალისა და ლიკვიდობის მაჩვენებლების გასამყარებლად საჭირო სახსრების სავარაუდო ოდენობა ამერიკისა და ერვოპისათვის 2019 წლამდე [28].



რაც შეეხება ამერიკულ საბანკო სექტორს, ის ევროპულ-თან შედარებით მცირება და კაპიტალზე მოთხოვნაც შესაბამ-

ვახტანგ ჭარაშვილი

ისად ნაკლები ექნება. კერძოდ: პირველი დონის კაპიტალზე, მოკლევადიან და გრძელვადიან ლიკვიდობაზე – €870 მლრდ (€600 მლრდ) €800 მლრდ (€570 მლრდ), €3.2 ტრლი (€2.2 ტრლი) შესაბამისად (იხ. გრაფიკი).

მთლიანი მოსაზიდი კაპიტალის ოდენობა პირველადი კაპიტალის შესავსებად, მთლიანი ევროპული და ამერიკული პირველი დონის კაპიტალის 60%-ს შეადგენს, ხოლო მოკლევადიანი ლიკვიდობის საჭიროების დასაფარავი სახსრები უტოლდება დღევანდებით ანალოგიური მაჩვენებლის 50%-ს. ამასთან, ხაზი უნდა გავუსვათ იმ ფაქტს, რომ ასეთმა მკაცრმა მოთხოვნებმა შესაძლოა მძიმე გავლენა იქონიოს მთლიანად საბანკო სექტორსა და ეკონომიკაზე: გააძვიროს კრედიტები, შეამციროს სადეპოზიტო განაკვეთები, გაზარდოს უმუშევრობა და ა.შ. ექსპერტთა ვარაუდით, აგრეთვე, შემცირდება როგორც ბანკების რაოდენობა, ასევე მათი შემოსავლებიც.

დაბოლოს, დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ მსოფლიო ფინანსური კრიზისი მოექმნა მსოფლიოში, და შესაბამისად, საქართველოშიც ყველაზე მეტად საბანკო სექტორს შეეხო. ამ მოვლენასთან გასამკლავებლად საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტმა შეუმუშავა საბანკო რეგულირების სპეციალური რეკომენდაციები - ბაზელ III-ის სახელწოდებით. მისი ძირითადი მიზანია ახალი საბანკო კრიზისების თავიდან აცილება, რასაც ის ბანკებისადმი გამკაცრებული მოთხოვნებით ცდილობს მიაღწიოს.

რაც შეეხება საქართველოში ბაზელის თანამედროვე რეკომენდაციების დანერგვას, ეს არა უბრალოდ სებ-ის სურვილია, არამედ თანამედროვე რეალობის გამოძახილი, რომელსაც სებ-ი გამოეხმაურა და ცდილობს დანერგოს საქართველოში.

როგორც ნებისმიერ ხოვაციას, ბაზელის მესამე რეკომენდაციათა პაკეტსაც გააჩნია თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, მაგრამ მთლიანობაში ქვეყნის ეკონომიკისა და საბანკო სექტორის გაძლიერებისათვის, მისი დანერგვა სასიცოცხლო აუცილებლობაა, მათ შორის საქართველოშიც.

Eculiarities of Introducing Regulatory Standards for Banking Supervision in Georgia and in Foreign Countries

V. Charaia

The last financial crisis was caused by many factors, but the main reasons were the following: dramatic change in the ability to create new lines of credit, which dried up the flow of money and slowed new economic growth and the buying and selling of assets. As a result global financial crisis of 2008 year has hurt millions of individuals, businesses, and financial institutions all over the world and also in Georgia. To prevent future crises Basel Commission on Banking Supervision has invented new scheme of recommendations called Basel III, which is very conservative and may cause some significant problems for the western banks.

What concerns the process of Basel III recommendations implementation in to the Georgian banking system, we could say that it will be usefull and will not cause any significant problems for the Georgian banks. Moreover, almost all Georgian banks do satisfy the main criterias for Basell III recommendations right now, but the future strengthening of Georgian banking system vitally requaries its implementation.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნარმანია დ.,გეთია შ., საქართველოს საბანკო სისტემის მდგომარეობა..., CIESR, ობ., 2009 წ;
2. Moorad Choudhry, An Introduction to Banking: Liquidity Risk and Asset-Liability..., Wiley, 2011;
3. Regulators poised to soften new bank rules, Finacial Times, September 5, 2011;
4. Results of the comprehensive quantitative impact study, BIS, December 2010;
5. „Basel III and European banking: Its impact, how banks might respond....“, McKinsey Analysis 2011;
6. seb-is miznebi <http://nbg.ge/index.php?m=327>;
7. BCBS, September 2010. <http://www.bis.org/press/p100912.pdf>

ვასტანები ჭრაში

8. 1. RuduSauri. sabanko da sakredito organizaciebis reinJineri, Tbilisi, 2012;
9. Basel III: Stronger Banks and a More Resilient Financial System, April 2011, pp. 1-12;
10. BBC, Donors pledge \$4.5bn to Georgia, 22 October 2008, UK;
11. BCBS, September 2010. <http://www.bis.org/press/p100912.pdf>;
12. P. Chabanel, Basel III Regulatory Update, Moody's Analytics 2012;
13. A. Goyal, Banks, Policy and Risks, ICRIER 2012. - www.icrier.org/pdf/Policy-Series-No-12.pdf
14. BCBS, September 2010. <http://www.bis.org/bcbs/index.htm>
15. Stefan Walter, 2011;
16. ECB, BNR, 2011 year;
17. Georgia and the IMF, Georgia: Letter of Intent, Memorandum of Economic..., 2012 year;
18. საქართველოს საგარეო ვალი. <http://24saati.ge/index.php/category/business/2012-04-03/27356>
19. სებ-ის წლური ანგარიში - 2012 წ;
20. სებ-ის წლური ანგარიში - 2010 წ;
21. Georgia and the IMF, Memorandum of Economic and Financial Policies... 2012;
22. seb, <http://www.nbg.gov.ge/index.php?m=339&n=newsid=1888>
23. Basel Committee on Banking Supervision 2011. <http://www.bis.org/bcbs/index.htm>
24. Walter W. Eubanks, 2010;
25. John C. Hull, Risk Management and Financial Institutions, John Wiley & Sons Ltd 2012;
26. seb www.nbg.gov.ge/uploads/.../nbg1.4.5.1capital-adequacy-geo.pdf
27. სებ წლიური ანგარიშები 2009 – 2011 წწ;
28. „Basel III and European banking: Its impact, how banks might respond, and the challenges of implementation.“ McKinsey Analysis 2011.

საწარმოთა აქტივების გაუფასერების რეგულირება

მარინა მაისურაძე
ივ. ჯავახიშვილის თსუ-ის
ასოცირებული პროფესორი

საწარმოს აქტივების, როგორც ფინანსური ანგარიშგების ერთ-ერთი ელემენტის აღიარება და აღნიშნულ ანგარიშგებაში ასახვა ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია ამ აქტივის გამოყენებით მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ზოგჯერ, შესაძლებელია, აქტივების გამოყენებისა და შენახვის დანახარჯებმა გადააჭარბოს მისგან მისაღებ ეკონომიკურ სარგებელს. ასეთ შემთხვევაში, საწარმო მუდმივად აკონტროლებს აქტივების შესაძლო გაუფასურებას, რის შედეგსაც ასახავს ფინანსურ ანგარიშგებაში.

აქტივების გაუფასურების საკითხებს არეგულირებს ბასს 36 – „აქტივების გაუფასურება“. ეს სტანდარტი ეხება საწარმოს კველა აქტივს, გარდა: სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების, სამშენებლო კონტრაქტების შედეგად მიღებული აქტივების, გადავადებული საგადასახადო აქტივების, დაქირავებულ მომუშავეთა დახმარებების შედეგად მიღებული აქტივების, რეალური ღირებულებით შეფასებული საინვესტიციო ქონების, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული იმ ბიოლოგიური აქტივების (რომელთა შეფასებაც ხდება გაყიდვის ხარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით), გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებული გრძელვადიანი აქტივებისა, რომელთა აღრიცხვა რეგულირდება ბასს-ით [1, გვ. 320].

მარინა გამიშვილი

ფასს-ის თანახმად, აქტივის გამოყენებით მომავალში მისაღები ეკონომიკური სარგებელი ყოველთვის უნდა აჭარბებდეს მის საბალანსო ღირებულებას, რაც ის თანხაა, რომლითაც აქტივი აღიარებულია დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხის გამოკლებით.

ყოველი ანგარიშგებითი პერიოდის ბოლოს, საწარმომ უნდა განსაზღვროს, არსებობს თუ არა მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. ასეთის არსებობის შემთხვევაში, საწარმო ვალდებულია შეაფასოს აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება. აქტივის საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს მის ანაზღაურებად ღირებულებას. აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი, ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის. აქტივის გამოყენებით მიღებული ეკონომიკური სარგებელი განსაზღვრავს ამ აქტივის გამოყენების ღირებულებას.

აქტივის გამოყენების ღირებულების გაანგარიშებაში უნდა აისახოს შემდეგი ელემენტები:

- იმ მომავალი ფულადი ნაკადების შეფასება, რომლის მიღებასაც საწარმო ვარაუდობს მოცემული აქტივიდან;

- აღნიშნული ფულადი ნაკადების მოსალოდნებლი სიდიდის ან მიღების დროის შესაძლო ვარიანტების საშუალო სიდიდეები (ლოდინები);

- ფულის დროითი ღირებულება, რომელიც წარმოდგენილია ურისკო მიმდინარე საბაზრო საპროცენტო განაკვეთით;

- აქტივისათვის დამახასიათებელი განუსაზღვრელობის მატარებელი ფასი.

აქტივის გამოყენების ღირებულების შეფასებაში ჩართული ფულადი ნაკადების გრძელვადიანი პროგნოზები ემყარება გონივრულად დასაბუთებულ დაშვებებს, რომელიც წარმოადგენს საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ გამოთვლილ იმ ეკონომიკური პირობების საუკეთესო შეფასებას,

ბუღალტრენი ადრისევა. კულტი

რომელიც იარსებებს აქტივის დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ამასთან, ბას-ის ოანახმად საწარმოს ხელმძღვანელობაში:

* უნდა შეაფასოს იმ დაშვებების დასაბუთებულობა, რომელსაც ეყრდნობა მის მიერ გამოთვლილი მიმდინარე ფულადი ნაკადების გრძელვადიანი პროგნოზები – ფულადი სახსრების ადრინდელ პროგნოზებსა და ფაქტობრივ ფულად ნაკადებს შორის განსხვავებების შემოწმების გზით;

* უნდა უზრუნველყოს იმის გარანტია, რომ დაშვებები, რომელსაც ეყრდნობა მიმდინარე ფულადი ნაკადების გრძელვადიანი პროგნოზები, შეესაბამება წარსული პერიოდების ფაქტობრივ შედეგებს, თუ ამის საჭიროებას შექმნის შემდგომი მოვლენების ან გარემოებების გავლენა, რაც არ არსებობდა მაშინ, როდესაც აღნიშნული ფულადი ნაკადები გამომუშავდა.

აქტივის გამოყენების ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული ფულადი ნაკადების პროგნოზები დაფუძნებული უნდა იყოს ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულ ყველაზე უახლეს ფინანსურ ბიუჯეტებზე – მოკლევადიან პროგნოზებზე. ფულადი ნაკადების გრძელვადიანი პროგნოზები გამორიცხავს ისეთ შემოსულ ან გასულ ფულად ნაკადებს, რომელთა წარმოშობა მოსალოდნელია: მომავალი რესტრუქტურიზაციისაგან, რომლის ვალდებულებაც საწარმოს ჯერ არა აქვს აღებული, ან აქტივის ეფექტიანობის (გამოყენების მაჩვენებლების) გაუმჯობესების ან ამაღლების შედეგად.

აქტივის გაუფასურება დამოკიდებულია რეალური ღირებულების შეფასების მეთოდზე:

1. თუ აქტივის რეალური ღირებულება მისი საბაზრო ღირებულებაა, მაშინ რეალურ ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის ერთადერთ განსხვავება მოცემული აქტივის გასვლასთან დაკავშირებული პირდაპირი დანახარჯებია.

მარინა მაისურაძე

2. ოუ აქტივის გასვლასთან დაკავშირებული დანახარჯები უმნიშვნელოა, მაშინ გადაფასებული აქტივის ანაზღაურებადი დირებულება აუცილებლად უახლოვდება ან მეტია მის გადაფასებულ დირებულებაზე (რეალურ დირებულებაზე). ასეთ შემთხვევაში, გადაფასების მოთხოვნების გამოყენების შემდეგ, ნაკლებსავარაუდოა, რომ გადაფასებული აქტივი გაუფასურებული იყოს და საჭირო არ არის ანაზღაურებადი დირებულებით შეფასება;

3. ოუ აქტივის გასვლასთან დაკავშირებული დანახარჯები არ არის უმნიშვნელო, გადაფასებული აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური დირებულება აუცილებლად ნაკლებია მის რეალურ დირებულებაზე. შესაბამისად, გადაფასებული აქტივი გაუფასურებული იქნება, ოუ აქტივის გამოყენების დირებულება ნაკლებია გადაფასებულ დირებულებაზე (რეალურ დირებულებაზე). ასეთ შემთხვევაში, გადაფასების მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ, საწარმო განსაზღვრავს გაუფასურებულია ოუ არა მოცემული აქტივი.

იმ შემთხვევაში, ოუ აქტივის რეალური დირებულება განისაზღვრება საბაზრო დირებულებისაგან განსხვავებულ საფუძველზე, იგი შესაძლოა მეტი ან ნაკლები იყოს მის ანაზღაურებად დირებულებაზე. აქედან გამომდინარე, გადაფასების მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ, საწარმო განსაზღვრავს მოსალოდნელია ოუ არა მოცემული აქტივის გაუფასურება.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული დანახარჯები პირდაპირაა დაკავშირებული აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გასვლასთან, ფინანსური დანახარჯებისა და მოგების გადასახადის გამოკლებით.

ბასს-ის თანახმად, აქტივის ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული წარმოადგენს აქტივების უმცირესი ჯგუფია, რომელიც მოიცავს მოცემულ აქტივს და წარმოქმნის

ფულად სახსრებს უწყვეტი გამოყენების შედეგად, რომელთა მიღება, უმეტესწილად, დამოკიდებული არ არის სხვა აქტივებიდან ან აქტივთა ჯგუფიდან ფულადი სახსრების მიღებაზე. აქტივის ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის განსაზღვრა მოითხოვს განსჯას. თუ ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა მოითხოვს განსჯას. თუ ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა შეუძლებელია ცალკეული აქტივისათვის, საწარმო ახდენს აქტივების უმცირესი ჯგუფის იდენტიფიცირებას, რომლის უწყვეტი გამოყენების შედეგად ფულადი სახსრების შემოსვლა, უმეტესწილად, დამოკიდებელია სხვა ფულადი სახსრების შემოსვლაზე.

მაგალითი: ავტობუსების კომპანია მუნიციპალიტეტთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ეწევა მომსახურებას. მას მოეთხოვება მინიმალური მომსახურების გაწევა ხუთ სხვადასხვა მარშრუტზე. თითოეული მარშრუტისათვის გამოყოფილი აქტივები და თითოეული მათგანიდან მიღებული ფულადი სახსრები შესაძლოა იდენტიფიცირებულ იქნეს ცალ-ცალკე. ერთ-ერთი მარშრუტი მუშაობს მნიშვნელოვანი ზარალით. რადგან საწარმოს არა აქვს რომელიმე მარშრუტის შეწყვეტის უფლება, უწყვეტი გამოყენების შედეგად იმ ფულადი სახსრების შემოღინების უმცირესი იდენტიფიცირებადი დონე, რომლის მიღება, უმეტესწილად, დამოკიდებული არ არის სხვა აქტივების ან აქტივთა ჯგუფიდან ფულადი სახსრების შემოღინებაზე, არის ხუთივე მარშრუტიდან მიღებული ფულადი სახსრები. თითოეული მარშრუტისათვის ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული მთლიანად აგრძობუსების კომპანიად.

ბასე-ის თანახმად, ყოველი ანგარიშგებითი პერიოდის ბოლოს, საწარმომ უნდა განსაზღვროს, არსებობს თუ არა მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. ასეთის არსებობის შემთხვევაში, საწარმო ვალდებულია შეაფასოს აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება. ასევე, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა მინიშნება გაუფასურებაზე, საწარმო ვალდებულია:

მარინა გამსურამე

1. ყოველწლიურად შეამოწმოს განუსაზღვრელი მომსახურების ვადის მქონე და ჯერ კიდევ გამოუყენებელი არამატერიალური აქტივები გაუფასურებაზე, მათი საბალანსო და ანაზღაურებადი ღირებულებების შედარების გზით. ასეთი შემოწმება შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერ დროს საანგარიშგებო წლის განმავლობაში იმ პირობით, რომ ეს მოხდება ყოველწლიურად ერთხა და იმავე დროს. სხვადასხვა არამატერიალური აქტივის შემოწმება გაუფასურებაზე შეიძლება სხვადასხვა დროს, თუ არამატერიალური აქტივის თავდაპირველი აღიარება ხდება მიმდინარე ანგარიშგებით წელს, მისი შემოწმება გაუფასურებაზე ხდება იმავე ანგარიშგებითი წელიწადის დასრულებამდე;

2. ყოველწლიურად შეამოწმოს საწარმოთა გაერთიანებასთან დაკავშირებით წარმოშობილი გუდვილი.

არამატერიალური აქტივის უნარის - მომავალში გამოიმუშავოს საკმარისი ეკონომიკური სარგებელი ისე, რომ მოხერხდეს საბალანსო ღირებულების დაფარვა - შეფასება, როგორც წესი, უფრო დიდ განუსაზღვრელობას ექვემდებარება, როდესაც აქტივი ჯერ გამოუყენებელია, ვიდრე მაშინ, როდესაც იგი გამოყენებადია. აქედან გამომდინარე, 36-ე სტანდარტი მოითხოვს, საწარმომ განახორციელოს, სულ ცოტა - ყოველწლიურად, ჯერ გამოუყენებელი არამატერიალური აქტივის საბალანსო ღირებულების შემოწმება გაუფასურებაზე [2, გვ. 250].

აქტივის შესაძლო გაუფასურების მაჩვენებლების არსებობის დადგენისას, საწარმომ უნდა გაითვალისწინოს შემდგინვებელი:

ა) ინფორმაციის გარე წყაროები:

- მოცემული პერიოდის განმავლობაში აქტივის საბაზო ღირებულება მნიშვნელოვნად შემცირდა იმასთან შედარებით, რაც მოსალოდნელი იქნებოდა დროის გასვლის ან ნორმალური გამოყენების შედეგად;

- მოცემულ პერიოდში ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვანი ცვლილებებს, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა საწარმოზე, ან ახლო მომავალში ექნება ადგილი ასეთ ცვლილებებს იმ ტექნოლოგიურ, საბაზო, ეკონომიკურ ან სამართლებრივ გარემოში, სადაც ფუნქციონირებს საწარმო, ან იმ ბაზარზე, რომლისთვისაც განკუთვნილია აქტივი;
- საბაზო საპროცენტო განაკვეთები ან ინვესტიციებზე უკუგბის საბაზო განაკვეთები მოცემულ პერიოდში გაიზარდა და მოსალოდნელია, რომ აღნიშნული ზრდა გავლენას მოახდენს აქტივის გამოყენების დირექტულების გაანგარიშებისას გამოყენებულ დისკონტის განაკვეთზე და მნიშვნელოვნად შეამცირებს მოცემული აქტივის აღდგენით დორექტულებას;
- ანგარიშგალდებული საწარმოს ნეტო აქტივების საბალანსო დირექტულება მეტია მის საბაზო კაპიტალიზაციაზე.

ბ) ინფორმაციის შიგა წეროები:

- მნიშვნელოვანი ცვლილებები, რამაც დადებითად იმოქმედა საწარმოზე, მოხდა მიმდინარე პერიოდში ან მოსალოდნელია მოხდეს ახლო მომავალში, აქტივის გამოყენების ხარისხსა და წესში ან სავარაუდო გამოყენებაში. აღნიშნული ცვლილებები მოიცავს კაპიტალ დანახარჯებს, რაც გაწეულ იქნა მოცემული პერიოდის განმავლობაში აქტივის გაუმჯობესების, მისი ოავდაპირველი სტანდარტული მწარმოებლურობის გაზრდის მიზნით, ან გადაწყვეტილებას იმ ოპერაციის შეწყვეტის ან რესტრუქტურიზაციის შესახებ, რომელსაც აქტივი განეკუთვნება;
- შიგა ანგარიშგების მიხედვით აქტივის ეკონომიკური მწარმოებლურობა გაიზარდა ან მომავალში გაიზრდება მოსალოდნელთან შედარებით [3, გვ. 323].

ბასხის თანახმად, აქტივის საბალანსო დირექტულება უნდა შემცირდეს მის ანაზღაურებად დირექტულებამდე

მარინა გამსურამა

მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის ანაზღაურებადი ლირკბულება ნაკლებია მის საბალანსო ლირებულებაზე. შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალია, რომლის აღიარება ხარჯის სახით უნდა მოხდეს სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი გადაფასებული თანხით აისახება ბუღალტრული აღრიცხვის სხვა საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (მაგალითად, ბასს 16-ით, „ძირითადი საშუალებები“ განსაზღვრული გადაფასების მოდელით). გადაფასებული აქტივის ნებისმიერი გაუფასურების ზარალი უნდა აღირიცხოს როგორც გადაფასების შემცირება ბასს 16-ის შესაბამისად. მოგებაში ან ზარალში აღიარდება იმ აქტივთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალი, რომელიც არ გადაფასებულია. თუმცა, გადაფასებული აქტივის გაუფასურების ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ოდენობით, რა სიდიდითაც გაუფასურების ზარალი არ აღემატება ამ აქტივთან დაკავშირებულ გადაფასების ნამეტის თანხას. ამგვარი გაუფასურების ზარალი ამცირებებს ამ აქტივთან დაკავშირებულ გადაფასების ნამეტს. თუ შეფასებული გაუფასურების ზარალის თანხა აღემატება შესაბამისი აქტივის საბალანსო დირებულებას, საწარმომ ვალდებულება უნდა აღიაროს მხოლოდ მაშინ, თუ ეს მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის სხვა საერთაშორისო სტანდარტით.

გაუფასურების ზარალის აღიარების შემთხვევაში, მასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადავაღებული საგადასახადო აქტივი ან ვალდებულება განისაზღვრება ბასს 12-ის, „მოგებიდან გადასახადები“ შესაბამისად, აქტივის კორექტირებული საბალანსო ლირებულების საგადასახადო ბაზასთან შედარების საფუძველზე .

დასასრულ, დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ საწარმოთა აქტივების გაუფასურებასთან დაკავშირებით, ყოველი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს საწარმომ უნდა განსაზღვროს არსებობს თუ არა მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. ასეთის არსებობის შემთხვევაში, საწარმო ვალდებულია შეაფასოს აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება. ასევე, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა მინიშნება გაუფასურებაზე, საწარმო ვალდებულია: ყოველწლიურად შეამოწმოს განუსაზღვრელი მომსახურების ვადის მქონე და ჯერ გამოუყენებელი არამატერიალური აქტივები გაუფასურებაზე, მათი საბალანსო და ანაზღაურებადი ღირებულებების შედარების გზით; ასევე, ყოველწლიურად შეამოწმოს საწარმოთა გაერთიანებასთან დაკავშირებით წარმოშობილი გუდვილი. საზგასასმელია, რომ აქტივის გამოყენებით მიღებული ეკონომიკური სარგებელი განსაზღვრავს ამ აქტივის გამოყენების ღირებულებას.

Regulating Depreciation of Company's Assets

M. Maisuradze

The article highlights the main issues of depreciation of a company's assets. It's noted that at the end of each reporting period a company should identify if there is any sign of depreciation of assets. In case there is some, the company is obliged to evaluate compensation value of the asset. In addition, regardless existence of depreciation possibility or not, the company should annually check the chance of depreciation of assets having indefinite useful life and the intangible assets not used yet, comparing their balance and compensation values. The goodwill derived regarding the merger of companies should be checked annually. It's noted that economic benefit gained from the use of the asset determines the value of using this asset.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბასს 36 აქტივების გაუფასურება. თბ., 2009;
2. ACCA 7. ფინანსური ანგარიშგება. ინგლისისა და უკრაინის ნაფიც სერტიფიცირებულ ბუღალტერთა ასოციაციის პროფესიული სერტიფიცირების სახელმძღვანელო. თბ., 2009;
3. ACCA 3. ფინანსური აღრიცხვა. ინგლისისა და უკრაინის ნაფიც სერტიფიცირებულ ბუღალტერთა ასოციაციის პროფესიული სერტიფიცირების სახელმძღვანელო. თბ., 2009;
4. ე.ხარაბაძე, ფინანსური აღრიცხვა (მე-2 დონე). თბ., 2012;
5. 6. კვატაშიძე, ა. ხორავა, ზ. გოგრიჭიანი, ფინანსური აღრიცხვა (მე-2 დონე). თბ., 2011.

აუდიტური კონცერტი: ისტორია,
თანამედროვე მძგორადობა და
განვითარების პროცესის საქართველოში

ჭოტა აღმისავა
ეპონომიკის აკადემიური დოქტორი

მატერიალური დოკუმენტების აღრიცხვას და შესაბამისი მონაცემების სისტორის შემოწმებას მსოფლიო პრაქტიკაში დიდი ხნის ისტორია აქვს. ცნობილია, რომ რომში, ძველი წელთაღრიცხვის 200 წელს, კვესტორები (სახელმწიფო ხაზინის გამგე, ხაზინადარი) იყვნენ ის თანამდებობის პირები, რომლებიც განაგებდნენ ფინანსურ და სასამართლო საქმეებს, აკონტროლებდნენ სახელმწიფო ბუღალტრების საქმიანობას. კვესტორები რომში აგზავნიდნენ ფინანსურ ანგარიშგებებს, რომლის ახსნა-განმარტებას ისმენდნენ მიმღებები (გამომცდელები). აქედან წარმოიშვა ცნება „აუდიტი“ (ლათინურად „audio“, რაც ქართულად ნიშნავს – „მას ესმის“, „მსმენელი“). ზოგადად, „აუდიტი“ აღნიშნავს ქმედებას, პროგრესს, შემოწმებას, პრაქტიკული დახმარების გაწევას საწარმოს ხელმძღვანელისა და ეკონომიკური სამსახურისათვის საქმის წარმოებაში, იურიდიულ სფეროში და სხვა. აუდიტურმა ორგანიზაციაში უნდა უზრუნველყოს წმინდათაწმინდა მოვალეობა – აუდიტის კონფიდენციალურობა და მოზიდოს სპეციალისტები დროებითი შეთანხმების საფუძველზე. ცნება „აუდიტისგან“ წარმოიშვა ტერმინი „აუდიტორი“, ანუ დამოუკიდებელი ბუღალტერი, კონტროლიორი, რევიზორი, ფინანსური კონტროლიდა სხვა სპეციალობის უფლებამოსილი პირი, ფინანსური შემოწმების ჩამტარებელი.

აუდიტის ისტორიულ სამშობლოდ აღიარებულია

ზორი ადგიგები

დიდი ბრიტანეთი, ინგლისურენოვან ქვეყნებში ცნობა აუდიტის შესახებ და ჩვენამდე მოღწეული ყველაზე ძველი სააღრიცხვო დოკუმენტია ინგლისისა და შოტლანდიის „სახაზინო არქივი“, რომელიც დათარიღებულია 1130 წლით და როგორც წესი, შეიცავს ინფორმაციას აუდიტური შემოწმების შესახებ. დიდ ბრიტანეთში, აუდიტი მთავრდებოდა აუდიტორის ანგარიშის მოსმენით.

მართალია, მსოფლიოში პირველ აუდიტურ შემოწმებად ითვლება 1631 წელს პოლანდიიდან ამერიკაში გაგზავნილი ბუდალტრის მიერ შემოწმებული კოლონიის მზარდი დაგალიანების შესახებ ინფორმაცია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აუდიტის სამშობლო დიდი ბრიტანეთია, ვინაიდან პირველი საკანონმდებლო აქტები იქ შეიქმნა. სააღრიცხვო ინფორმაციის ხარისხიანად შესრულებაზე მეთვალყურეობის მიზნით, ინგლისში შეიქმნა აუდიტური კონტროლის ინსტიტუტი. აუდიტორის თანამდებობის შემოღება განაპირობა ანგარიშგების სისტორის გარანტიის აუცილებლობაში.

აუდიტორები პირველად მოიხსენიება XIII ს. ბოლოს (1299 წ.), ხოლო სახელმწიფო საშუალებების აუდიტი ინგლისში XIV საუკუნიდან უმაღლესი დამოუკიდებელი აუდიტური ორგანოს სახით ჩამოყალიბდა. ინგლისის მეფე ედუარდ II-მ 1324 წლის 24 მარტს დანიშნა პირველი სამი სახელმწიფო აუდიტორი, მათგან ერთ-ერთი იყო ჯონ დე პაიკესლე. მეფის ბრძანებაში აუდიტორების დანიშნის შესახებ ნათქვამი იყო, რომ აუდიტორი მოწოდებულია: „... იკითხოს, უსმინოს და აიღოს ყველა ანგარიში, რომლებიც შემოღებული იყო და რომლებიც შემოღებული იქნება პროვინციებში... აკეთოს და აღნიშნოს ყველაფერი, რაც აუდიტორებმა უნდა აკეთონ ანგარიშებთან“ [1, გვ.13]. აუდიტორებისადმი ეს პირველი მოთხოვნები შენარჩუნებულია დღემდე. არსებობს მრავალი ისტორიული მოწმობა, რაც ადასტურებს აუდიტორების აქტიურ საქმიანობას მთელი შუასაუკუნეების მანძილზე.

თუმცა, აუდიტის ისტორიის მკვლევართა აზრით, აუდიტის ისტორიული ფესვები უნდა ვეძიოთ უძველეს წარსულში.

ცნობილი ამერიკელი მეცნიერი რობერტ მონტგომერი თვლის, რომ „ანგარიშგების შედგენის პრაქტიკა სათავეს იღებს დაახლოებით ძვ. წელთაღრიცხვის 4000 წლიდან, როდესაც ახლო აღმოსავლეთის უძველესმა ცივილიზაციებმა დაიწყეს მაღალორგანიზებული სახელმწიფოების შექმნა და სამეცნიერო საქმიანობის მოწევრიგება“ [1, გვ.13].

სახელმწიფოების შექმნამ მოითხოვა მატერიალური შემოსავლების და გასავლების აღრიცხვა, გადასახადების აკრება. ამ საქმიანობაში აღგილი რომ არ ჰქონდა მოტყუებას და საერთოდ დამახინჯებას, საჭირო გახდა კონტროლისა და აუდიტის შემოღება. ამის შესახებ საინტერესოა მონტგომერის მოსაზრება: „შინაგანი კონტროლის სხვადასხვა ფორმა აღწერილია ბიბლიაში, რომლის შინაარსი... მოიცავს პერიოდს ძველი წელთაღრიცხვის 1800 წლიდან ახალი წელთაღრიცხვის 95 წლამდე“ [1, გვ25]. კონტროლის შემოღების ლოგიკური დასაბუთებაა ის, რომ მოხელეს თუკი მიეცემოდა მოპარვის საშუალება, იგი ისარგებლებდა ამ შესაძლებლობით. ბიბლიაში განხილულია ქონების ორმაგი დაცვის საკითხი - საქმის მცოდნე და პატიოსანი მოხელეების (ჩინოვნიკების) დაქირავების მეშვეობით.

ჩინეთში, ჩუნუქ დინასტიის ეპოქაში (1122-256წ. ჩვ. წელ-თაღრიცხვამდე), აღრიცხვის სახელმწიფო სისტემა მოიცავდა საფუძვლიანად დამუშავებულ ბიუჯეტს და ყველა სამთავრობო დეპარტამენტის აუდიტს. ათენში „ძვ. წელთაღრიცხვის V ს-ში, „სახალხო კრება“ აკონტროლებდა სახელმწიფოს ყველა შემოსავალ-გასავალს, ხოლო ქვეყნის ფინანსურ სისტემაში შედიოდნენ სამთავრობო აუდიტორები, რომლებიც ამოწმებდნენ თანამდებობის პირთა დოკუმენტებს მათი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ. კერძო სექტორში ქონების მეპატრონეები თვითონ ატარებდნენ თავიანთი ან-

გარიშგების აუდიტს.

რომში, ჩვ. წელთაღრიცხვამდე III ს-ში, რომაელი მმართველები სახაზინო მოხელეებს (ჩინოვნიკებს) ავალებდნენ პროვინციების ბუღალტრულ კონტროლს. იქ სახელმწიფო ფინანსები ექვემდებარებოდა სენატის კონტროლს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტს, ხაზინადრის მეთვალყურეობით, ამოწმებდა აუდიტორთა შტატი. რომაელებმა დაამუშავეს შემოწმებისა და ურთიერთკონტროლის რთული სისტემა. ძველ ეგვიპტეში იყვნენ სახელმწიფო მოხელეები, რომლებიც ერთმანეთს უთავსებდნენ აღრიცხვის, მართვის და კონტროლის ფუნქციებს. ძველად დიდ პრიტანეთში ორ ტიპის აუდიტი ტარდებოდა. პირველი ტიპის აუდიტი ტარდებოდა ქალაქებში საჯაროდ და მას მმართველი თანამდებობის პირები და მოქალაქეები ესწრებოდნენ. აუდიტი მთავრდებოდა აუდიტორის ანგარიშის მოსმენით. მეორე ტიპის აუდიტი წარმოადგენდა უმსხვილესი მამულების ფინანსურ მმართველთა საგადასახადო ანგარიშების დეტალურ შემოწმებას „დებეტის და კრედიტის“ მიხედვით, რომელიც მთავრდებოდა „აუდიტორული დეპლარაციით“, ე. ი. ზეპირი ანგარიშებით მამულის მეპატრონისა და მმართველთა საბჭოს წინაშე. აუდიტის ორივე ტიპი, დიდ ბრიტანეთში თითქმის მე-VIII ს-მდე მოქმედებდა.

XIV ს-ის დასაწყისში აღიარებულ იქნა აუდიტის პრინციპები: პატიოსნება, კომპეტენტურობა, წინდახედულება, რაც დღემდე მოქმედებს.

XVIII ს-ის დასაწყისიდან დაიწყო აუდიტორთა შესახებ პირველი სპეციალური ცნობარების გამოცემა. XIX ს-ის მეორე ნახევარში შეიქმნა აუდიტორთა არასახელმწიფოებრივი გაერთიანებები, მათ შორის პირველი – შოტლანდიაში 1854 წელს. მოგვიანებით, ასეთი ორგანიზაციები ჩამოყალიბდა ინგლისში, ამერიკაში, კანადაში და ა.შ. ინგლისურენოვან ქვეყნებში ეს ორგანიზაციები დღემდე 156

არეგულირებს აუდიტორულ საქმიანობას. XIX ს-ის მეორე ნახევარში პროფესიონალი აუდიტორი გახდა საქმიანი სამყაროს ორგანული ნაწილი. ამავე პერიოდში აშშ-ში შეიქმნა როგორც შინაგანი, ასევე გარეგანი, ანუ დამოუკიდებელი და სახელმწიფო აუდიტორების სამსახურები. XX ს-ში აუდიტორულმა საქმიანობამ არსებითი ცვლილებები განიცადა. 30-იან წლებში გაიზარდა მოთხოვნა აუდიტორებზე, ასევე აუდიტური შემოწმების ხარისხის მიმართაც. ამით აუდიტი მძლავრ იარაღად გადაიქცა თაღლითებთან ბრძოლის საქმეში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაიზარდა საზოგადოებრივი ინტერესი აუდიტორთა მოვალეობის და საქმიანობის მიმართ, თითქმის ყველა ქვეყანაში შეიქმნა პროფესიონალთა სხვადასხვა ინსტიტუტი განსხვავებული სახელმწოდებებით. მაგალითად, გერმანიაში აუდიტორი განისაზღვრა, როგორც თავისუფალი პროფესია, თუმცა, მათ არ ესხებოდათ პასუხისმგებლობა სახელმწიფოს წინაშე. ინგლისში აუდიტორს უწოდებდნენ ფინანსური ანგარიშგების უტყუარობის კონტროლის სფეროში დასაქმებულ ნებისმიერ სპეციალისტს. დღეისთვის საფრანგეთში, დამოუკიდებელი საფინანსო კონტროლის სფეროში, მოქმედებს ორი პროფესიული ორგანიზაცია: ბუდალტერ-ექსპერტების და საკონსულტაციო მომსახურებით ამ სფეროში. აშშ-ში ამ საქმიანობას ახორციელებს დიპლომირებული საზოგადოებრივი ბუდალტერი.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მაკონტროლებელი ორგანოების სახელმწოდება განსხვავებულია ერთმანეთისაგან. ბევრ ინგლისურენოვან ქვეყანაში ბუდალტრული აღრიცხვის სპეციალისტებს უწოდებენ „პრივილეგირებულ ბუდალტრებს“, აშშ-ში – „მსაჯულ ბუდალტრებს“ ან „უმაღლესი კვალიფიკიციის დიპლომირებულ ბუდალტრებს“, საფრანგეთში – „ბუდალტერ-ექსპერტებს“ და „წიგნების (დავთრების) კონტროლიორს“ (2,გვ 45).

საზღვარგარეთის ქვეყნებში ფინანსური კონტროლის

ზოგიერთ აღმიმშვილი

წამყვანი ფორმაა დამოუკიდებელი აუდიტი, რომელსაც ახორციელებენ ფართო პროფილის პროფესიონალები. აუდიტური ფირმები იქ მრავლადაა, ხოლო საქმიანობა იმდენად გაფართოებულია, რომ ამან გამოიწვია საერთაშორისო აუდიტური ფირმების შექმნა.

აუდიტის განვითარებას დღემდე მეცნიერები ყოფენ ორ ეტაპად: პირველ ეტაპად მიჩნეულია XIX ს-ის მეორე ნახევრიდან XXI-ის მეორე ნახევრამდე პერიოდი. აღნიშნული პერიოდის საწყისია 1853 წ., როდესაც შოტლანდიაში ოფიციალურად დაფუძნდა ედინბურგის აუდიტორთა ინსტიტუტი. მეორე ეტაპია XX ს-ის მეორე ნახევრიდან (1950 წლიდან) დღემდე განვლილ პერიოდი, როცა ჩამოყალიბდა უმსხვილესი ტრანსეროვნული აუდიტური საკონსულტაციო ფირმები - სხვადასხვა ქვეყანაში მრავალრიცხოვანი ფილიალების ქსელით.

საქართველოს მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე, უნდა ვივარაუდოთ, რომ მაღალგანვითარებული ეკონომიკა და აღრიცხვა-კონტროლის სამსახური ჰქონდა მაგრამ, ამის შესახებ წერილობითი წყროების მწირი ინფორმაციაა შემორჩენილი. საქართველოში ბუდალტრული აღრიცხვისა და საკონტროლო-სარევიზიო სამსახურის როლი და მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა XXI-ის 20-იან წლებში, როცა ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა. დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან (29.08.1918) ერთ თვეში საქართველოს ეროვნულმა საბჭოო და საქართველოს მთავრობამ გამოსცესკანონი – „სახელმწიფო კონტროლის თანამდებობის დაარსების“ შესახებ. საქართველოს სახელმწიფო კონტროლიორის (მინისტრის) თანამდებობაზე დაინიშნა გამოჩენილი მეცნიერ-ეკონომისტი და საზოგადო მოღვაწე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი, პროფესორი ფილიპე გოგიაშვილი, რომელიც ამ თანამდებობაზე 1918-1920 წლებში მოღვაწეობდა.

საქართველოს სახელმწიფო კონტროლს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქვეყნის ეკონომიკური მდგრამარეობის გაუმჯობესების საქმეში. ამაზე მიუთითებს ის, რომ საქართველოს პარლამენტმა და საქართველოს მთავრობამ მოკლე დროში (6.12.1918) მიიღო კანონი „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლის შესახებ“, რომლის საფუძველზე დამტკიცდა „დებულება სახელმწიფო კონტროლისა და მისი უწყების საგანთაოვის“ და „რევიზიის წესდება“. სახელმწიფო კონტროლისა და რევიზიის შესახებ კანონები აისახა 1921 წლის 21 ოქტომბერის საქართველოს კონსტიტუციაში.

საქართველოში სახელმწიფო კონტროლს და რევიზიას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა საბჭოთა კავშირის არსებობის დროსაც. განვლილი პერიოდის გამოცდილება უნდა მივიღოთ გამოცდილების სახით და საუცველესო ნიშანთვისებები განვავითაროთ გაუმჯობესების მიმართულებით, რომ წარმატებას მივაღწიოთ ეკონომიკის სფეროში. საქართველოში, XX ს-ის 90-იან წლებამდე, მხოლოდ კონტროლის და რევიზიის ინსტიტუტი არსებობდა. 90-იან წლებიდან ერთი ეკონომიკური სისტემის მეორეთი შეცვლამ გამოიწვია საკუთრების სხვადასხვა ფორმის საწარმოების შექმნა. ამ ფორმებს უნდა შესაბამებოდეს კონტროლის და რევიზიის სახეობაც, რაც უნდა ითვალისწინებდეს სახელმწიფო და კერძო მეწარმის ინტერესებსაც და ორივე მხარისთვის იყოს მისაღები. მეწარმების ახალ ფორმებს ვერ მართავ ძველი მეთოდებითა და ხერხებით, ამიტომ ვიყენებოთ ახალი შინაარსით გამდიდრებულ ეკონომიკურ ცნებებსა და ტერმინებს, რომელთა რიცხვს მიეკუთვნება აუდიტი და აუდიტორი.

საქართველოში აუდიტორული სამსახურების შექმნა, ინტენსიურად დაიწყო, XX ს-ის 90-იან წლებიდან და მოკლე პერიოდში მნიშვნელოვანი შედეგია მიღწეული. მაგალითად, საერთაშორისო გამოცდილების გამოყენების საფუძ-

፳፻፲፭ ዓ.ም

შემუშავდა პირველი საკანონმდებლო დოკუმენტები. დღეისათვის მოქმედებს ათეულობით აუდიტური ფირმა და ინდივიდუალური აუდიტორი და მაინც, საქართველოში თანამედროვე აუდიტის ცივილილიზებული წესების ჩამოყალიბების ათვლის წერტილით შეიძლება ჩაითვალოს 1995 წ. 7 თებერვალი, როდესაც საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს რესპუბლიკის კანონი „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ და ფუნქციონირებას შეუდგა საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტური საქმიანობის საბჭო, რომელიც შეიქმნა საქართველოს პარლამენტის 1995 წლის 30 ივნისის დაგენილების - „საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს შესახებ“ - საფუძვლით.

თანამედროვე საბაზო ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისი აუდიტური მომსახურების შესახებ ახალი კანონი მიიღო საქართველოს პარლამენტმა 2012 წლის 29 ივნისს - „ბუღალტრულის აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“, რომელიც ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე. აღნიშნული კანონით განსაზღვრულია აუდიტის ჩატარების სამართლებრივი საფუძვლები და მისი ჩატარების უფლებამოსილების ქრონიკირები. აგრეთვე, სავალდებულო და საინიციატივო აუდიტის ჩატარების წესი. ამავე კანონით გათვალისწინებულია ის, რომ აუდიტორი ვალდებულია პროფესიული მომსახურების განხორციელებისას დაიცვას პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსი. ამას საფუძვლად უდევს აუდიტური საქმიანობის საბჭოს მიერ დამტკიცებული - „აუდიტორის ეთიკის კოდექსი“, რომელიც შეიცავს ზოგად ეთიკურ პრინციპებს, მიზნებს და წესებს. აუდიტორმა პროფესიული მომსახურების განხორციელებისას უნდა დაიცვას მიღებული ინფორმაციის საიდუმლოება.

საქართველოში აუდიტის ორგანიზაცია და პრაქტიკა
მსოფლიოში დაგროვილ გამოცდილებას ემყარება, მაგრამ
160

აუდიტური საქმიანობის სრულყოფისათვის ჯერ კიდევ დიდი სამუშაოა ჩასატარებელი.

საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლის პროცესმა გამოიწვია მაკონტროლებელი ორგანოების ახალი ფენის შექმნა. კერძოდ, აუდიტორები ამოწმებენ საწარმოს ფინანსურ ანგარიშებას, მის უტყუარობასა და შესრულებული სამეურნეო ოპერაციების კანონიერებას. აგრეთვე, მრჩევლებისა და კონსულტაციების ფუნქციებსაც ასრულებენ. აუდიტორული საქმიანობა ის უნიკალური ინსტრუმენტია, რომელსაც ძალუძს დაეხმაროს განსხვავებული პროფილისა და იურიდიული სტატუსის მქონე საწარმოებს. ამჟამად აუდიტი შექრილია თითქმის ყველა სფეროში, რამაც გამოიწვია აუდიტური საქმიანობის მომსახურების სახეობითი კლასიფიკაცია. დღისათვის აუდიტის დაჯგუფების რამდენიმე ვარიანტია ცნობილი. კლასიფიკაციის ერთ-ერთ ვარიანტს საფუძვლად უდევს სამი კრიტერიუმი:

1. შემოწმების მწარმოებლის სუბიექტის მიხედვით შიგა აუდიტი წარმოებს ორგანიზაციის შიგნით სპეციალური, დამოუკიდებელი სტრუქტურული ქვედანაყოფის საშუალებით (აუდიტორის მიერ). გარე აუდიტი კი ხორციელდება გარეშე აუდიტური ორგანიზაციების ან ინდივიდუალური აუდიტორების მიერ;

2. საგადაღებულო პერიოდული შემოწმების მოთხოვნის მიხედვით, სავალდებულო აუდიტი ტარდება სახელმწიფოს კანონის შესაბამისად. საინვესტიციო, ანუ ნებაყოფლობითი აუდიტი წარმოებს საწარმოს მესაკუთრის ინიციატივით;

3. აუდიტის ობიექტის მიხედვით: ა) საერთო აუდიტი; ბ) პანკის და სხვა საკრედიტო ორგანიზაციის აუდიტი; გ) სადაზღვევო კომპანიების აუდიტი; დ) ბირჟების, საინვესტიციო და სახელმწიფო, არასაბიუჯეტო ფონდების აუდიტი.

საერთაშორისო პრაქტიკაში განასხვავებენ, აგრეთვე, აუდიტური საქმიანობის სახეობითი კლასიფიკაციის შემდეგ ფორმებს:

პირველ აღმიშვილი

ა) ოპერატორიული აუდიტი – სამეწარმეო სისტემის ფუნქციონირების ნებისმიერი ნაწილის შესწავლა მისი ეფექტურობის შემოწმების მიზნით;

ბ) შესაბამისობის აუდიტი – დაცულია თუ არა სამეწარმეო სისტემაში ზემდგომი ორგანოების მიერ დაწესებული ნორმატიული დოკუმენტების წესები;

გ) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რაც საკუთრივ, თვით ზოგადი აუდიტია.

ცნობილია, აგრეთვე, აუდიტის სახეობითი კლასიფიკაციის შემდეგი სქემა:

1. ფინანსური აუდიტი – ეს არის ბუღალტრული ბალანსისა და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაციის ობიექტურობის შემოწმება;

2. შეთანხმებული, ანუ რეგულარული აუდიტი წარმოებს საწარმოს ხელმძღვანელობის მოთხოვნით;

3. მმართველობითი აუდიტი გამოიყენება მმართველობითი საქმიანობის ხარისხის შესამოწმებლად;

4. საზოგადოებრივი აუდიტი წარმოებს დიდი მოცულობის ინფორმაციის შესაკრებად.

ბუღალტერთა საერთაშორისო საბჭომ ჩამოაყალიბა აუდიტის საერთაშორისო პრაქტიკის კომიტეტი, რომელიც საბჭოს სახელით შეიმუშავებს და გამოსცემს სტანდარტებს და დებულებებს აუდიტის მომსახურების შესახებ. მაგრამ, დოკუმენტების შემუშავება და დანერგვა საქმარისი არ არის მაღალხარისხიანი მომსახურებისთვის, ამიტომ საბჭო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს აუდიტორების და აუდიტური ფირმების საქმიანობის ხარისხის კონტროლს.

ამჟამად აუდიტური საქმიანობის შესრულების ხარისხის კონტროლი რეგულირდება ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის საბჭოს 1992 წლის ივლისის დადგენილებით – „აუდიტის და მასთან დაკავშირებული მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის“ და „აუდიტის საერთაშორისო

სტანდარტის – 220 აუდიტორული საქმიანობის ხარისხის კონტროლის“ საფუძველზე [3, გვ15]

დღეისთვის საქართველოში აუდიტური საქმიანობის განხორციელების სამართლებრივ საფუძვლების განსაზღვრავს და აწესრიგებს საქართველოს კანონი – „ბუდაპეტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშების აუდიტის შესახებ“. ამ კანონით, სხვა საკითხებთან ერთად, განსაზღვრულია აუდიტური ფირმის მუშაობის ხარისხის კონტროლის სისტემა, რაც, ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად აუდიტორის მიერ დადგენილი წესებისა და პროცედურების ერთობლიობაა. აუდიტორის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგს ახორციელებს ის აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაცია, რომელშიც გაწევრიანებულია ეს აუდიტორი. ხარისხის კონტროლის შემოწმების პროგრამა ითვალისწინებს ინფორმაციის კონფიდენციალურობას, შემოწმებულთა დამოუკიდებლობას და ობიექტურობის გარანტიას, შემოწმებულს აქვს სათანადო ცოდნა, კვალიფიკაცია და სპეციალური გამოცდილება და ა.შ.

საქართველოში, ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებამ მოითხოვა ეკონომიკური საქმიანობის და სხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო სამსახურების მოქმედების აუდიტური კონტროლის ხარისხის არსებული სისტემის სრულყოფა. ამ მიზნით, 2012 წელს საქართველოში არსებული კონტროლის პალატის ნაცვლად შეიქმნა სახელმწიფო აუდიტის სამსახური. ახალი უწყების შექმნის ძირითადი მიზანია სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი ორგანიზაცია-დაწესებულებების საქმიანობის ეფექტურად და სწორად მართვა-გამგეობა, ასევე, არასახელმწიფოებრივი (არასამთავრო) და პარტიული ორგანიზაციების შემოსავალ-გასავლის მიზნობრივ გამოყენებაზე კონტროლის სისტემის მონიტორინგის გაძლიერება, აგრეთვე, დამოუკიდებელი კერძო

ჭორი აღმაშენებლი

სექტორის (კომერციული) საწარმოების კონომიკური მუშაობის (საქმიანობის) შედეგების მიხედვით ბიუჯეტის კუთვნილი გადასახადების გაანგარიშება და დროულად შეტანა.

ეკონომიკური საქმიანობის აუდიტური კონტროლი უნდა ჩატარდეს შემდეგი თანმიმდევრობით: წინასწარი (პერსპექტიული); მიმდინარე (ოპერატიული); შემდგომი (ფაქტობრივი) და დოკუმენტური (შემოწმება). ეკონომიკური საქმიანობის აუდიტური კონტროლი არ უნდა ატარებდეს ერთჯერად, კამპანიურ ხასიათს, არამედ ის უნდა მიმდინარეობდეს თანმიმდევრულად და განუწყვეტლივ.

აუდიტური კონტროლის დამაგვირგვინებელია ეკონო-
მიკური საქმიანობის ფაქტობრივი შედეგის ფინანსური ან-
გარიშგების დოკუმენტური შემოწმება და დასკვნის გაკეთება.

საქართველოს დღევანდელი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის ერთ-ერთი მიზეზია მწყობრი და გამართული მაკონტროლებელი სისტემის არარსებობა. დღეს მოქმედი კონტროლის სისტემა ძირიფესვიან რეორგანიზაციას მოითხოვს. სახელმწიფო სექტორში არსებულ კონტროლის სისტემას არ შეუძლია იმ მოთხოვნათა დაგმაყოფილება, რომელსაც კერძო მეწარმეობის საწარმოები უყენებს შემმოწმებელ სამსახურებს. პერსპექტივაში, სავარაუდოა დამოუკიდებელი აუდიტურო სამსახურები გახდეს შემოწმების უნივერსალური და წამყვანი ფორმა. აუდიტურმა კონტროლმა უნდა შეითავსოს კონტროლის და რევიზიის ფუნქციები, როგორც კერძო სექტორის საწარმოებში, ასევე საერთო სახელმწიფო სექტორის საწარმოებსა და ორგანიზაცია-დაწესებულებებში.

აუდიტური შემოწმებისას დამოკიდებელი აუდიტორები ძირითადად ორ ფუნქციას ასრულებენ: პირველი – ეს არის ფინანსური ანგარიშგებით წარმოდგენილი ინფორმაციის ჭეშმარიტებისა და არითმეტიკული სიზუსტის მოწმობათა მაღალკვალიფიციური შემკრებისა დაშემფასებლის ფუნქცია. აუდიტორის მეორე ფუნქციაა ფინანსური ანგარიშგების შე-

ფასებისა და გაშიფვრების შემოწმება, თუ რამდენად შეესაბამება ისინი აღრიცხვის საერთოდ მიღებულ პრინციპებს. აუდიტური კონტროლის ძირითადი მიზანია საწარმოს სამეწარმეო საქმიანობის ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებასა და ანგარიშგების შედგენაზე მეთვალყურეობა მისი მოქმედ ნორმატიულ დოკუმენტებთან შესატყვისობის მისაღწევად და საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ უტყუარი და ობიექტური ინფორმაციის მიღება. აუდიტის დამატებითი მიზანია კლიენტისთვის შიგა კონტროლის სისტემის სტრუქტურასა და მის საიმედოობაზე ინფორმაციის მიწოდება.

ამრიგად, ფინანსური ანგარიშგების აუდიტური შემოწმების მიზანია ობიექტურად წარმოაჩინოს საწარმოთა ფინანსური მდგომარეობა და სამეწარმეო საქმიანობის ანგარიშგება, აგრეთვე, ფულადი საშუალებების მოძრაობა საერთოდ მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების შესატყვისად.

აუდიტური შემოწმების ჩატარების მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელია: აუდიტური შემოწმების მაღალხარისხიანად ჩატარება; აუდიტური ფირმების კომპიუტერუბით აღჭურვა; აუდიტური ფირმების მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტება, კერძოდ, კეთილსინდისიერი, კანონდამცავი და საქმისადმი ერთგული ადამიანებით, რომელთა მეშვეობითაც გაეწევათ კლიენტებს კვალიფიციური დახმარება; აუდიტურმა ფირმამ თავისი საქმიანობის შედეგით უნდა უზრუნველყოს სათანადო მოგების მიღება.

საქართველოს აუდიტური კონტროლის ჩატარების გამოცდილება მექანიზრებით არ მიუღია. ამიტომ, უცხოური ქვეყნების პრაქტიკის გაზიარების მიზნით, საჭიროა მისი საერთაშორისო სტანდარტების და დებულებების არამარტო პირდაპირ გადმოდება, არამედ მის საფუძველზე ორიგინალური ეროვნული ნორმატიული დოკუმენტების შემუშავება და ქვეყნის ეკონომიკასთან შესატყვისობაში მოყვანა. ნორ-

ჭირიერ აღმიშვილი

მატიული და ეკონომიკური დოკუმენტები ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს, როგორც ეს ამჟამად ბუღალტრულ აღრიცხვაშია.

აუდიტურმა კონტროლმა სამეწარმეო საქმიანობაში ნაკლოვანებების აღმოფხვრის გზები უნდა უჩვენოს, იგი უნდა დაეხმაროს ხელმძღვანელობას სწორი ორიენტაციის აღებაში და კონკურენციულ ბრძოლაში გაამარჯვებინოს. საწარმოებში აუდიტორი უნდა იყოს, აგრეთვე, კარგი ეკონომისტი, მენეჯერი და იურისტიც.

დღესდღეობით, ფინანსური კონტროლის ორგანოებიდან, ყველაზე მისაღები ფორმაა აუდიტური კონტროლის სისტემა, რომელსაც პროფილაქტიკური დანიშნულება აკისრია.

ამჟამად არსებული ეკონომიკური სისტემის მეწარმეები თვითონ უნდა იყვნენ დაინტერესებული აუდიტორების მოწვევით, რათა ნათელი გახდეს სამეწარმეო საქმიანობასა და ფინანსურ ურთიერთობებში არსებული ხარვეზები.

დღესდღეობით, მეწარმეებს ჯერ კიდევ არ სჯერათ აუდიტური კონტროლის სიკეთის და ამ საქმიანობას ისევ ძველ რევიზორ-კონტროლიორებად აღიქვამენ, ამავე დროს, აუდიტური დასკვნების შედეგებს არც საგადასახადო ორგანოები ითვალისწინებენ. ამიტომ, აუდიტურ საქმიანობას ზედმეტად თვლის მეწარმეების უმეტესობა , რაც არასწორი შეხედულებაა აუდიტური კონტროლის შესახებ. საწარმოებისათვის აუდიტორული კონტროლი ისეთ როლს ასრულებს, როგორც მოსახლეობისათვის – „ოჯახის უქიმი“. ამიტომ აუდიტორსა და მეწარმეს შორის უნდობლობის ფაქტორის მოქმედება უნდა აღმოიფხვრას.

აუდიტური სამსახური საბაზრო მექანიზმის აუცილებელი და უმნიშვნელოვანესი ელემენტია სამეწარმეო საქმიანობის სწორი მიმართულებით წარმართვის ერთ-ერთი საშუალებაა.

აუდიტორისა და კლიენტის ურთიერთობა ემყარება ურთიერთგაგებასა და კეთილგანწყობას. აუდიტორი გამოდის თავისი კლიენტის თანაშემწის, მრჩევლისა და დამცველის როლში. კლიენტი შეიძლება მოქმედებდეს უმართებულოდ და კანონსაწინააღმდეგოდ, მაგრამ აუდიტორი ვალდებულია ყველაფერი ეს განუმარტოს მას და დროულად მისცეს ოჩევები.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს აუდიტური კონტროლის სამსახურის გაძლიერებისა და გაუმჯობესების მიზნით, 2012 წელს გატარდა მთელი რიგი ლონისძიება, კერძოდ, საქართველოს (სახელმწიფო) კონტროლის პალატა გარდაიქმნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ორგანოდ (უწყებად) და მიღებულ იქნა საქართველოს ახალი კანონი “ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ” (2012 წ. 29 ივნისი).

საქართველოს ეკონომიკის მართვის სისტემაში განხორციელებულმა გარდაქმნებმა სათანადო შედეგი რომ გამოიღოს, მიზანშეწონილია შემდეგი პრობლემების მოგვარება: პირველ რიგში, უნდა შეიქმნას საქართველოს კანონი “სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ”, რომელშიც დადგენილი იქნება უწყების აგების სტრუქტურა, კერძოდ, განსაზღვრული იქნება აუდიტური შემოწმების ობიექტები: საბიუჯეტო ორგანიზაცია-დაწესებულებები, სახელმწიფო საწარმოების, ორგანიზაცია-დაწესებულებების საქმიანობა, არასახელმწიფო (კერძო, კომერციული) სამეწარმეო საქმიანობა, სხვა საქმიანობები და ა.შ; უნდა შემუშავდეს და გამოიცეს ორგანული კანონი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ აუდიტური კონტროლის ჩატარების შესახებ, სადაც მოცემული იქნება მისი მიზანი, ფუნქციები, ამოცანები, მეთოდიკა, მეთოდოლოგია, ხერხი, როლი და ადგილი ეკონომიკურ საქმიანობაში, აგრეთვე, უფლება-მოვალეობა და პასუხისმგებლობა ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა უნდა განახორციელოს აუდიტური კონტროლი მთელი ქვეყნის მასშტაბით, ყველა დარგში და ის პერსპექტივაში უნდა გახდეს ერთადერთი მაკონტროლებელი ორგანო საქართველოში. ამიტომ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უწყებაში უნდა გამოიყოს ორი მიმართულება: ერთი – ეკონომიკური საქმიანობის აუდიტური კონტროლი, და მეორე – არაეკონომიკური საქმიანობის აუდიტური კონტროლი, ხოლო თითოეულმა მიმართულებამ გამოყოს პროფილის შესაბამისი სექტორები. ამავე დროს, უნდა შემუშავდეს აუდიტური კონტროლის ჩატარების ეროვნული სტანდარტები და სხვა ნორმატიული დოკუმენტები. დამოუკიდებელ აუდიტორს უნდა ჰქონდეს სერთიფიკატი და არ უნდა მუშაობდეს შესამოწმებელ საწარმოში და არ უნდა იყოს მისი დამფუძნებელი ან აქციონერი.

“ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშების აუდიტის შესახებ” მიღებული ახალი კანონის შესაბამისად, რეორგანიზებულ უნდა იქნეს ამჟამად მოქმედი სამსახურები. ვფიქრობთ, ქვეყნის ეკონომიკის ეფექტიანად მართვისათვის, საჭროა შეიქმნას მისი ხერხემალი – ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტისა და ეკონომიკური ანალიზის მართვის ერთიანი სისტემა სამინისტროს კომიტეტის ან პალატის სახით, რომელიც გააქრთიანებს როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორის საწარმო-ორგანიზაციების ამ ეკონომიკურ სამსახურებს. ამისათვის, სამინისტროში (კომიტეტში) უნდა შეიქმნას ორი მიმართულება: სახელმწიფო და კერძო სექტორის, ხოლო თითოეული დაიყოს სამ-სამ განყოფილებად, კერძოდ: ბუღალტრულ აღრიცხვად, აუდიტურ კონტროლად და ეკონომიკურ ანალიზად. თითოეულმა განაყოფმა უნდა მოიცვას ყველა მხარე (სახელმწიფო, საბიუჯეტო, არასამთავრობო და კერძო სექტორის) საწარმოების ბუღალტრული აღრიცხვა, აუდიტური კონტროლი და ეკონომიკური ანალიზი.

ასეთი წესით, ერთ სისტემაში ქვეყნის მასშტაბით ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტური კონტროლის და ეკონომიკური ანალიზის მოქცევა, სრულ სურათს მოგვცემს მოლიანად ქვეყანაში არსებულ ფინანსურ მდგომარეობაზე. ამით აღმოიფხვრება დაქსაქსულობა, გაუგებრობები, წინააღმდეგობები და სხვა გაურკვევლობა. ამით გაიაფლება საქმის წარმოება, მისი მართვის სისტემა და მენეჯმენტი.

აღნიშნული რეორგანიზაცია უზრუნველყოფს ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტური კონტროლის და ეკონომიკური ანალიზის, წარმოების მართვის ოპერატიულობას, ინფორმაციის გამჭირვალობას, ეკონომიკური მონაცემებისა და მაჩვენებლების სიზუსტეს, სამუშაო დროის დაზოგვას, ეკონომიკური რესურსების ეკონომიას, ფინანსური ანგარიშგების რეალობას და სხვა ტექნიკურ- ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობებებას.

აღსანიშნავია, რომ სტანდარტების შემუშავებასთან დღეისთვის, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები შემოღებულია მსოფლიოს 72 ქვეყანაში, ხოლო 54 ქვეყანამ შეიძულება ეროვნული სტანდარტები საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე. ამჟამად საქართველოში, მოქმედებს ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საერთაოშორისო სტანდარტები, თუმცა, ჩვენი აზრით, საქართველოს ეკონომიკის თავისებურებებიდან გამომდინარე, საჭიროა საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების გამოცდილების საფუძველზე, უახლოეს მომავალში შემუშავდეს ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტური კონტროლის წარმოების ეროვნული სტანდარტები, რაც კიდევ უფრო სრულყოფს ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის წარმოების მეთოდებსა და პრაქტიკას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მონტეგომერი. აუდიტი. თბ.: „ფინანსები“, 1997;
2. ქურნ.”ბუღალტრული აღრიცხვა”, №12 –2011; 5; 6 –2012;
3. ქურნ.” უდიტი, აღრიცხვა, ფინანსები”, №3 , №5, №6 – 2000; №1, №2, №11–2001;
4. ქურნ. “გადასახადები და აღრიცხვა”, №11 -2005;
5. საბაზო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პროცესების საქართველოში, შრომების კრებული, ტ.III, თბ.,1997;
6. საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“, თბ., 2012 წლის 29 ივნისი;
7. ა.შერემეტი ვ.სული. აუდიტის საფუძვლები, თბ, 1998;
8. Пупко Г.М. Аудит и ревизия, 2-е издание, М., 2004.

**Audit Control: History, Current Situation and Development
Perspectives in Georgia**

Ch. Adeishvili

The article shortly reviews the development of audit control worldwide. The development of control and audit in Georgia since 19th-20th centuries till the present time is discussed. The current situation of audit control in Georgia is discussed and the author's suggestions are made regarding its future development.

ქართველი ეკონომისტის ლიტვაში გამოწვევებული კლავიატური სტატიის შესახებ

03 იანვარი 2010
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
ვლადიმერ (ლადო) პაპაშვილი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ლიტვაში გამომავალმა უურნალმა “Intellectual Economics” 2012 წლის მე-4 ნომერში დაბეჭდა ინგლისურენოვანი სტატია “The Influence of Optimal Tax Burden on Economic Activity and Production Capacity” (ოპტიმალური საგადასახადო ტკიროს გავლენა ეკონომიკურ აქტიურობასა და წარმოებრივ სიმძლავრეზე) [1], რომლის ავტორად მოიხსენიება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი გიორგი აბუსელიძე. სტატიამ ჩვენი უურადღება მაშინვე მიიქცია ორი გარე მოების გამო: ერთი, რომ სათაურში დასმული პრობლემა ჩვენი სამეცნიერო ინტერესების სფეროში ექცევა და მის შესახებ არაერთი ნაშრომი გვაქვს შექმნილი და გამოქვეყნებული როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში; მეორე, ქართველი ეკონომისტები, სამწუხაროდ, იშვიათად ვახერხებთ საერთაშორისო არენაზე ჩვენი სამეცნიერო საქმიანობის შედეგების გატანას, ამიტომ, ყოველი ასეთი მცდელობა სასიამოვნო სიურპრიზად აღიქმება და ბუნებრივად ჩნდება მისი გაცნობის ინტერესი.

უნდა გადიაროთ, რომ გ. აბუსელიძის სტატია ჩვენთვის მართლაც სიურპრიზი აღმოჩნდა, ოდონდ არასასიამოვნო, რადგანაც იგი მეცნიერული არაკეთილსინდისიერების ყოველგვარ ზღვარს სცილდება. ამ უკანასკნელში რომ დარწმუნდეს ჩვენი მკითხველი, გავაანალიზოთ ზოგიერთი რამ აღნიშნული

სტატიიდან, რომლის ფორმალური სტრუქტურა უურნალისათვის მისაღებ სტანდარტულ ჩარჩოშია მოქცეული და შედგება რეზიუმის, შესავლის, ლიტერატურის მიმოხილვის, კვლევითი ნაწილის და დასკვნებისა და რეკომენდაციებისგან.

დავიწყოთ რეზიუმით. ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რომ რეზიუმეში მოკლედ უნდა იყოს გადმოცემული თუ რას ეხება ნაშრომი და რა არის მასში ავტორის მიერ გაკეთებული. ჩვენი თავდაპირველი გაოცება გამოიწვია სწორედ იმ ფაქტმა, რომ აღნიშნულის ნაცვლად რეზიუმის სახით გაძუსელიძის სტატიას წამდლვარებული აქვს ორი აბზაცი ჩვენი ერთ-ერთი სტატიის [2-4] დასაწყისიდან. ეს სტატია თავის დროზე მივუძღვებით საგადასახადო ტეირთის შეფასების ორი სახეობის – გარდაქმნის ტიპის მოდელის და ქცევითი ტიპის მოდელის ანალიზს. პირველი მათგანი ეპუთვნის საგადასახადო ტეირთის ცნობილ მეცნიერებას ევგენი ბალაცკის, ქცევითი მოდელი კი ჩვენ მიერ შემოთავაზებული კონსტრუქციაა. ორივე მოდელი საშუალებას იძლევა შეგაფასოთ ე.წ. პირველი და მეორე გვარის ფისკალური წერტილები, რომელთა ცნებაც სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიღო ევგენი ბალაცკიმ. ჩვენს სტატიაში დასაბუთებულია, რომ, რადგანაც საგადასახადო ტეირთი გარდაქმნის მოდელში რესურსების გამოყენების ტექნოლოგიისა და ეფექტიანობის განმსაზღვრელი ფაქტორია, ხოლო ჩვენ მიერ შემოთავაზებულ ქცევით მოდელში – რესურსების გამოყენების მოცულობის და ეკონომიკური აქტიურობის დონის განმსაზღვრელი ფაქტორი, ამიტომ ლაფერის ცნობილ კონცეფციას მხოლოდ ქცევითი მოდელიდან მიღებული წერტილები შეესაბამება. ამ შედეგზე რომ მივსულიყავით, სტატიის შესავალი ნაწილი შემდეგი ტექსტით დავიწყეთ:

”განსაკუთრებულ დასაბუთებას არ საჭიროებს ის გარე მოება, რომ გადასახადების გარეშე თანამედროვე სახელმწიფო ფოსა და საზოგადოების არსებობა შეუძლებელია. ამავე დროს, აღიარებულია, რომ დაბეგვრა გავლენას ახდენს მოხმარებასა და დაზოგვაზე, ინვესტირებაზე, მოთხოვნასა და მიწოდებაზე,

ფასწარმოქმნაზე, ბაზრების მაშტაბებზე და ა.შ [5-6]. ეს კულაფერი, საბოლოოდ, პირდაპირი და ირიბი სახით წარმოქმნის მოცულობაზე და ბიუჯეტის შემოსავლების სიდიდეზე აისახება.

გამოშვების მოცულობასა და ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებზე საგადასახადო ტკირთის ზემოქმედება შეიძლება ორი განსხვავებული გზით განხორციელდეს. ერთი მხრივ, აგრეგირებული საგადასახადო ტკირთი ზემოქმედებს წარმოქმნის ტექნოლოგიასა და რესურსების გამოყენების ეფექტიანობაზე და ამ სახით გავლენას ახდენს გამოშვების მოცულობასა და ბიუჯეტის შემოსავლებზე; მეორე მხრივ, საგადასახადო ტკირთის ცვლილება ზემოქმედებს ეკონომიკური რესურსების გამოყენების მოცულობაზე და განაპირობებს წარმოქმნისა და ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას ან შემცირებას რესურსების წარმოქმნაში ჩართულობის ცვლილების შესაბამისად”.

ეტყობა ბატონ აბუსელიძეს ტექსტის ეს ნაწილი იმდენად მოეწონა, რომ მცირეოდენი ცვლილებით და დამახინჯებით (სავარაუდოდ თარგმანის გავლენის შედეგად) რეზიუმეში ასახა. მოვიყენოთ მისი რეზიუმის სრული ვარიანტი შესაბამისი თარგმანით. გ. აბუსელიძე წერს:

“Abstract. That the modern state couldn’t exist without taxes is something that doesn’t need to be argued to society. It is also acknowledged that tax burden influences not only the budget revenues, but investments, demand and supply, prices and others. All this has direct as well as indirect influence on the economic activity and production capacity. In the concept of tax burden the important fact is the connection of tax burden with the economic activity and production capacity. The influence of tax burden on budget tax revenues and production capacity can be realized in two different ways. On the one hand, tax burden influences production technologies, effective usage of resources that accordingly will be depicted on the production capacity and, on the other hand, the change of tax burden influences budget tax revenues that will be depicted on the economic activity.

რეზიუმე. ის, რომ თანამედროვე სახელმწიფოს არ შეუძლია გადასახადების გარეშე არსებობა, არის ის, რის დასაბუთებას არ საჭიროებს საზოგადოება. ამავე დროს, აღიარებულია, რომ საგადასახადო ტვირთი გავლენას ახდენს არა მარტო ბიუჯეტის შემოსავლებზე, არამედ, აგრეთვე, ინვესტიციებზე, მოთხოვნასა და მიწოდებაზე, ფასებზე და ა.შ. ყოველივე ამას როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი გავლენა აქვს საქმიან აქტიურობასა და წარმოების შესაძლებლობაზე. საგადასახადო ტვირთის კონცეფციაში მნიშვნელოვანი ფაქტია კავშირი საგადასახადო ტვირთსა და საქმიან აქტიურობასა და წარმოების შესაძლებლობას შორის. წარმოების შესაძლებლობაზე და ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებზე საგადასახადო ტვირთის გავლენა შეიძლება ორი განსხვავებული გზით განხორციელდეს. ერთი მხრივ, საგადასახადო ტვირთი ზემოქმედებს წარმოების ტექნოლოგიაზე, რესურსების გამოყენების ეფექტიანობაზე და ამ სახით გავლენას ახდენს წარმოების შესაძლებლობაზე; მეორე მხრივ, საგადასახადო ტვირთის ცვლილება ზემოქმედებს ბიუჯეტის შემოსავლებზე და აისახება საქმიან აქტიურობაზე”.

უნდა აღვინიშნოთ, რომ გ. აბუსელიძის სტატიაში გადმოცემული ტექსტის შინაარსთან, თუ არ გავითვალისწინებთ გამოყენებული ტერმინების მსგავსებას, ამ სახის რეზიუმეს პრატიტიკულად არაფერი საერთო არ გააჩნია.

ვინაიდან ჩექებს მიზანს არ წარმოადგენს გ. აბუსელიძის სტატიაში მოცემული ყველა ასპექტის განხილვა – ეს ძალიან შორს წაგიყვანს – გამოვტოვებო სტატიის იმ პარაგრაფებს, რომელთა სათაურებია შესავალი და ლიტერატურის მიმოხილვა (თუმცა, არ შეგვიძლია არ აღვნიშვოთ, რომ ამ სახელწოდების სათაურის არსებობის მიუხედავად, სტატიაში რეალურად ლიტერატურის მიმოხილვას ადგილი არა აქვა) და გადავალოთ ე.წ. ძალაუფითი ნაწილის დასასიათებაზე.

სამწუხაოდ, იმის ნაცვლად, რომ გ. აბუსელიძეს აქ სა-კუთარი კვლევის რაიმე შედეგი მოეფანა, თითქმის მთლიანად შემოიფარგლა კარგად ცნობილი მასალის აღწერით. ამასთან, ამ მასალის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც გადასახადების

ეკონომიკურ სუბიექტებზე (მწარმოებლებსა და მომხმარებლებზე) გადაკისრებას ეხება, აღვეულია ეკონომიკის ცნობილი სახელმძღვანელოებიდან, ხოლო ტექსტის პირველი ოთხი აბზაცი კი თითქმის მთლიანად კვლავ ერთ-ერთი ჩვენი სტატიიდან [7] ან წიგნიდან [8, გვ. 38-40] არის ამოგლეჯილი და მითვისებული, მცირეოდენ დამახინჯებული (სავარაუდოდ თარგმანის გამო¹) ფორმით. კერძოდ, აღნიშნულ სტატიაში განხილულია ერთობლივი გამოშვების (Y) საშუალო საგადასახადო განაკვეთზე (t) დამოკიდებულების ფუნქცია $Y = Y(t)$, რომელიც, მიწოდების ეკონომიკური თეორიის ფარგლებში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ზრდადია, როცა საშუალო საგადასახადო განაკვეთის მნიშვნელობა 0-დან გარდებულ, მაგალითად, $t^*, , 0 < t^* < 1$ დონეზე იზრდება და კლებადია t -ს ცვლილების მომდევნო ($t^*, 1]$ შუალედში. ამ მოსაზრების ჩვენებული დასაბუთება შემდეგი სახითაა ჩამოყალიბებული.

„საშუალო საგადასახადო განაკვეთთან მიმართებაში ერთობლივი გამოშვების ფუნქციის აქ აღნიშნული თავისებურება დადგებითად და უარყოფითად მოქმედი ეფექტების ჯამის საშუალებით შეიძლება ავხსნათ. შემდეგ ში დადგეთს ეუწოდებთ ეფექტს, რომელიც გადასახადის გადიდებისას ეკონომიკური აქტიურობისა და ერთობლივი გამოშვების ხელშემწყობია, ხოლო შემცირებისას - ხელშემწლელი ხდება. შესაბამისად, უარყოფითს მივაკუთვნებთ ეფექტებს, რომლებიც ეკონომიკურ აქტიურობასა და ერთობლივ გამოშვებას გადასხადების გადიდებისას ამცირებს, შემცირებისას კი ზრდის.

დადგებითი ეფექტების ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ ეკონომიკური გარემოს (ან სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის) შექმნის ეფექტი და შემოსაგლების ეფექტი. ეკონომიკური გარემოს შექმნის ეფექტი გულისხმობებს, რომ საშუალო

¹ამ გარემოებას კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამო იმის გამო, რომ სტატიის მთლიანი ტექსტის ცალკეული წინადადებები ინგლისურად იმდენად გაუმართავია, რომ ზოგჯერ ზუსტი შინაარსის გამოტანა შეუძლებელია.

საგადასახადო განაცხეთის ზრდა აფართოებს სახელმწიფოს ფინანსურ შესაძლებლობას და იგი უპეტებად ასრულებს მასზე დაკისრებულ ეკონომიკურ ფუნქციებს. ეს ეფექტი ერთობლივ მიწოდებაზე დადგებითად აისახება, რადგანაც გაზრდილი საგადასახადო შემოსავლების პირობებში, ჯერ ერთი, იზრდება საკუთრივ სახელმწიფო სექტორის მხრიდან მიწოდება მის მიერ მეტი პროცენტისა და მომსახურების შექმნის გზით და, მეორე, სახელმწიფო აუმჯობესებს ბიზნეს-გარემოს, რაც მაღაზე მხიშვნელოვანია ქრისტიანული სექტორის ერთობლივი მიწოდების გადიდების ხელშეწყობისათვის. შემოსავლების ეფექტი ახასიათებს ინდივიდების ქცევაზე გადასახადების პირდაპირ ზემოქმედებას. ე. ატკინსონის და ჯ. სტიგლიცის მიხედვით, შემოსავლების ეფექტი წარმოქმნება იმის გამო, რომ გადასახადების ამოღება ინდივიდების შემოსავლების შემცირებას იწვევს, ისინი რეალურად დარიბდებიან და იძულებული არიან გადადონ პენსიაზე გასვლის დრო, სამუშაო დროის გაზრდის ხარჯზე შეამცირონ თავისუფალი დრო და ა.შ. [5, გვ. 48-49]. ასეთი ლოგიკიდინ გამომდინარე შემოსავლის ეფექტი გადასახადების გადიდებისას ეკონომიკური აქტიურობის ამაღლების ხელშეწყობად გვევლინება.

უარყოფითი ანუ საგადასახადო ტკირთის ეფექტების ჯგუფს მიეკუთვნება ჩანაცვლების ეფექტი და ფინანსური ეფექტი². გადასახადებითან მიმართებით ჩანაცვლების ეფექტის არსებობა იმითაა განპირობებული, რომ ყველა სახის საქმიანობა დაბეგვრას არ ექვემდებარება და ის რაც იბეგრება, როგორც წესი, იბეგრება სხვადასხვა განაცვეთით. როდესაც გადასახადები იზრდება, ჩანაცვლების ეფექტის გავლენის შედეგად ეკონომიკური საქმიანობა დაბეგვრადი სფეროდან არადაბეგვრად სფეროში ან მაღალი გადასახადების სფეროდან დაბალი გადასახადების სფეროში გადადის. ინდივიდები აქტიურად ეძებენ და ხშირ შემთხვევაში პოულობენ გზებს, რომლითაც შესაძლებელია გადასახადების მთლიანად ან ნაწილო-

² ეს ორი ეფექტი შემოსავლის ეფექტთან ერთად გადასახადების მირითად მასასიათებლებიადაა განხილული ატკინსონისა და სტიგლიცის ზემოთ აღნიშნულ წიგნში [5, გვ. 48-49].

ბრივ თავიდან აცილება. გადასახადებიდან თავის დაღწევის ამ გზებს ეკონომიკური აქტიურობის შემცირებამდე მიუყავართ. ასეთივე შედეგი მიიღება ფინანსური ეფექტის შედეგადაც. ეს ეფექტი მაშინ წარმოიშვება, როცა ერთი და იგივე საქმიანობა სხვადასხვა ფორმით შეიძლება ანაზღაურდეს და, შესაბამისად, დაბეგვრის განაკვეთიც შეიძლება სხვადასხვა იყოს. ამ ეფექტის გამოვლენის ქლასიკური მაგალითია შემთხვევა, როდესაც გაზრდილი გადასახადების თავიდან ასაცილებლად სამეცნიერებელ სუბიექტებს შორის ნაღდი გადახდების გამოყენება და «ჩრდილოვან» ეკონომიკაზე გადასვლა ხორციელდება.”

მოდით, გნახოთ ამ ტექსტის აბუსელიძისეული ვერსია ჯერ ინგლისურად, შემდეგ კი ქართულ თარგმანში. ბატონი აბუსელიძე თავისი სტატიის მე-3 პარაგრაფს ასე იწყებს:

“3. Survey. In respect to taxation pressure, peculiarities of economic activeness and output may be explained by means of the balancing of positive and negative effects. Hereinafter the effects promoting growth of economic activeness and output in case of increase of taxation pressure and those preventing such growth in case of decrease of taxation pressure is called “positive”, and vice versa: the effects preventing growth of economic activeness and output in case of increase of taxation pressure and those promoting such growth in case of decrease of taxation pressure is called “negative.”

The group of positive effects may include the effect of creation of economic environment (or economic ability of state) and the effect of benefits. The effect of creation of economic environment supposes that the growing of taxation pressure up to the optimal level – 38,2% (Abuselidze, 2005) – extends the financial abilities of the state and performs its economic function better (please see the Abuselidze curve).

This effect is positive for output, as in conditions of growing tax revenues, first of all supply from the public sector itself grows by means of creation of more public wealth and services, and, secondly, the state improves business environment, which is very important for promotion of growth of economic activeness in private sector. The effect of benefits

defines direct influence of taxes on individuals' behaviour. So, the effect of benefits promotes economic activeness in case of growing of taxation pressure up to the optimal level.

The group of negative effects includes the effect of replacement and financial effect. Existence of the effect of tax replacement is provided with that some kinds of business are not taxable, besides those taxable are liable to various rate taxes. When tax rates grows over the optimal pressure, the result is the effect of the replacement of business transfers from taxable spheres to tax-free spheres or from the spheres of heavy taxes to the spheres of lower taxes. Individuals actively seek and often find ways to avoid taxes partly or wholly. Such ways of avoiding taxation lead to reduction of budget revenues (Abuselidze, 2005). The same result is received resulted financial effect. This effect originates when the same business may be compensated in various forms and correspondingly the rate may vary. A classic example of the influence of this effect is the case when for the purpose of avoiding grown tax the business entities shift taxes onto each other and transfer to shadow economy.

3. გვლევა. საგადასახადო წნებითან მიმართებაში ეკონომიკური აქტიურობისა და გამოშვების თავისებურებები დადგეთად და უარყოფითად მოქმედი ეფექტების დაბალანსების საშუალებით შეიძლება ავեსნათ. შემდეგში “დადებითს” ვუწოდებთ ეფექტს, რომელიც საგადასახადო წნების გადიდებისას ეკონომიკური აქტიურობისა და ერთობლივი გამოშვების ზრდის ხელშემწყობია, ხოლო შემცირებისას ხელშემშლელი ხდება. პირიქით, “უარყოფითს” მივაკუთვნებთ ეფექტებს, რომლებიც ეკონომიკურ აქტიურობასა და გამოშვებას საგადასახადო წნების გადიდებისას ამცირებს, შემცირებისას კი ზრდის.

დადებითი ეფექტების ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ ეკონომიკური გარემოს (ან სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის) შექმნის ეფექტი და სარგებლის ეფექტი. ეკონომიკური გარემოს შექმნის ეფექტი გულისხმობს, რომ საგადასახადო წნების ზრდა ოპტიმალურ დონემდე – 38,2% (აბუსელიძე, 2005) აფართოებს სახელმწიფოს ფინანსები შესაძლებლობას და იგი

უპეტესად ასრულებს მასზე დაკისრებულ ეკონომიკურ ფუნქციებს (გთხოვთ იხილოთ აბუსელიძის მრუდი).

ეს ეფექტი დადგებითად აისახება გამოშვებაზე, რადგანაც გაზრდილი საგადასახადო შემოსავლების პირობებში, ჯერ ერთი, იზრდება საძუთოი სახელმწიფო სექტორის მხრიდან მიწოდება მის მიერ მეტი პროდუქტისა და მომსახურების შექმნის გზით და, მეორე, სახელმწიფო აუმჯობესებს ბიზნეს-გარემოს, რაც ძალზე მნიშვნელოვანია კერძო სექტორის ერთობლივი მიწოდების გადიდების ხელშეწყობისათვის. სარგებლის ეფექტი ახასიათებს ინდივიდის ქცევაზე გადასახდების პირდაპირ გავლენას. შესაბამისად, საგადასახადო წესის ოპტიმალურ დონემდე ზრდის შემთხვევაში სარგებლის ეფექტი ხელს უწყობს ეკონომიკური აქტიურობის ზრდას.

უარყოფითი ეფექტების ჯგუფს მიეკუთვნება ჩანაცვლების ეფექტი და ფინანსური ეფექტი. გადასახადებთან მიმართებით ჩანაცვლების ეფექტის არსებობა იმითად განპირობებული, რომ ყველა სახის საქმიანობა დაბეგვრას არ ექვემდებარება და ის რაც იბეგრება, როგორც წესი, იბეგრება სხვადასხვა განაკვეთით. როგორც საგადასახადო განაკვეთი ოპტიმალური წესის ზევით იზრდება, ჩანაცვლების ეფექტის გავლენის შედეგად ეკონომიკურ საქმიანობა დაბეგვრადი სფეროდან არადაბეგვრად სფეროში ან მაღალი გადასახადების სფეროდან დაბალი გადასახადების სფეროში გადადის. ინდივიდები აქტიურად ეძებენ და ხშირ შემთხვევაში პოულობენ გზებს, რომლითაც შესაძლებელია გადასახადების მთლიანად ან ნაწილობრივ თავიდან აცილება. გადასახადებიდან თავის დაღწევის ამ გზებს საბიუჯეტო შემოსავლების შემცირებისაკენ მივყავართ (აბუსელიძე, 2005). ასეთივე შედეგი მიიღება ფინანსური ეფექტის შედეგადაც. ეს ეფექტი მაშინ წარმოიშვება, როცა ერთი და იგივე საქმიანობა სხვადასხვა ფორმით შეიძლება ანაზღაურდეს და, შესაბამისად, დაბეგვრის განაკვეთიც შეიძლება სხვადასხვა იყოს. ამ ეფექტის გამოვლენის კლასიკური მაგალითია შემთხვევა, როგორც გაზრდი-

ლი გადასახადების თავიდან ასაცილებლად კომპანიები გადასახადებს ერთმანეთში ცვლიან და გადადიან ჩრდილოვან ეკონომიკაში”.

როგორც ვხედავთ, მოყვანილი ტექსტი იმდენად უმნიშვნელოდ განსხვავდება ჩვენი ტექსტისაგან, რომ რაიმე კომენტარის გაკეთება ზედმეტია. მაგრამ, ამის მიუხედავად, მკითხველის ყურადღება რამდენიმე გარემოებას გვინდა მივაძყროთ. პირველი უკავშირდება იმას, რომ აბუსელიძემ არაფრად ჩაგვაგდო არა მარტო ჩვენ, არამედ, აგრეთვე, ცნობილი მეცნიერები ა. ატკინსონი და ჯ. სტიგლიცი და მათ ნაშრომზე ჩვენს ტექსტში არსებულ მითითებებს გვერდი აუარა. თუმცა ადსანიშნავია, რომ აბუსელიძის სტატიის ბოლოს დართულ ლიტერატურის ჩამონათვალში ა. ატკინსონისა და ჯ. სტიგლიცის აღნიშნული წიგნი [5], თითქოსდა, გამოყენებული გვერდების მითითებითა წარმოდგენილი. ამ ფაქტს ხაზს უსვამთ იმიტომ, რომ ა. ატკინსონისა და ჯ. სტიგლიცის ციტირებისას ზემოთ მოყვანილ აბზაცებში ჩვენ მიერ შეცდომით 47 და 48 გვერდის ნაცვლად, მითითებულია 48-49 გვერდი. გვერდების ზუსტად ასეთივე არასწორი მითითებაა მოცემული აბუსელიძის მიერ.

მეორე, თუ მიაქციოთ ყურადღება ჩვენი ტექსტისაგან აბუსელიძის ტექსტის მოყვანილი ნაწყვეტი, თუ თარგმანის თავისებურებას არ მივიღებთ მხედველობაში, ძირითადად იმით განსხვავდება, რომ ამ უკანასკნელში ავტორი ორჯერ მოიხსენიებს თავის გვარს – ერთ შემთხვევაში “საგადასახადო წესის ოპტიმალური დონის – 38,2%-ის” დამდგენ ავტორად, მეორე შემთხვევაში “აბუსელიძის მრულის” ავტორად. გვინდა დავადასტუროთ, რომ როგორც მოყვანილი პროცენტული რიცხვი, ასევე “მრული” (უფრო სწორად, ტეხილი და არა მრული, როგორც ამას თვითონ გ. აბუსელიძე უწოდებს) ნამდვილად გ. აბუსელიძის “ნააზრევია” და მის კუთვნილებასთან დაკავშირებით არავითარი პრეტენზია არ გაგვაჩნია (ლმერთმა დაგვიფაროს ასეთი უაზრობისაგან!). ყურადღების გამახვილება აქ სხვა რამეზე გვინდა. საქმე ისაა, რომ რიცხვიც და “მრუ-

დიც” აბუსელიძეს ჯერ კიდევ 2005 წელში გამოქვეყნებულ თავის სტატიაში [9] აქვს მოყვანილი ყოველგვარი რეალური ეპონომიკური დასაბუთების გარეშე. მათემატიკაში კარგად ცნობილი ოქროს კვეთის შეფარდება, რომელიც მთელის ორ ერთმანეთის არატოლ 0,382 და 0,618 ნაწილებად დაყოფას გულისხმობს (რომლის დროსაც დიდი ნაწილის მთელთან შეფარდება ემთხვევა მცირე ნაწილის დიდთან შეფარდებას), გ. აბუსელიძის აზრით საფუძვლად უნდა დაედოს ოპტიმალური საგადასახადო ტეიროტის მნიშვნელობის დადგენას, ანუ ასეთ განაკვეთად უნდა ავირჩიოთ 0,382 (ანუ 38,2%). მაგრამ ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთის მნიშვნელობად 0,382-ის მხოლოდ იმიტომ არჩევა, რომ იგი მათემატიკაში ცნობილი რიცხვია, აშკარად დაუშვებელია. არანაკლებ ცნობილ რიცხვს წარმოადგენს, მაგალითად, ნატურალური ლოგარითმის ფუძე, ანუ ნეპერის რიცხვი e , ან კიდევ წრეწირის სიგრძის მის დიამეტრთან შეფარდების აღმნიშვნელი რიცხვი π . სხვათაშორის, ამათგან პირველის შებრუნებული 0,368-ს უდრის, მეორეს შებრუნებული კი 0,318-ს. ბუნებრივია ვიკითხოთ, ოპტიმალურ საგადასახადო განაკვეთის მნიშვნელობად რატომ უნდა ავიღოთ 38,2% და არა 36,8% ან 31,8%, მით უმეტეს, რომ ამათგან უკანასკნელი (31,8%) ძალიან ახლოს არის, მაგალითად, აშშ-ში არსებულ საშუალო საგადასახადო განაკვეთთან? ამ კითხვაზე მარტივი პასუხი არსებობს: ეკონომიკისთვის “ლამაზი” მათემატიკური კანონზომიერებების, აბსტრაქციების, განსაკუთრებული თვისების მქონე რიცხვების, მიმდევრობების და ა.შ. ხელოვნურად თავს მოხვევა, როგორც ამას გ. აბუსელიძე გვთავაზობს, დაუშვებელია. ყველა ეკონო-მისტმა იცის, და ეს ალბათ აბუსელიძემაც უნდა იცოდეს, რომ ეკონომიკა, სხვა ყველაფერთან ერთად, სოციალური სისტემაა და მისი რაოდენობრივი და თვისებრივი მახასიათებლები ამ სისტემაში ჩართულ სუბიექტთა ქცევით, მათი კონკრეტული იმანენტური თვისებებით, ტრადიციებით, ჩვევებით, გარემოთი და ა.შ. განისაზღვრება, რომელიც მუდმივად იცვლება. აქედან გამომდინ-

არე, ჩვენ თუ გვინდა, მაგალითად, ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთის განსაზღვრა, მაშინ განყენებული მოდელის ან რიცხვის ნაცვლად უნდა განვიხილოთ და შევაფასოთ ისეთი მოდელი, რომლის სტრუქტურა და თვისებები კონკრეტულ ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებისა და მოვლენების ადეპტაციური ასახვა იქნება.


მესამე, როდესაც გმსჯელობთ საგადასახადო ტვირთის მნიშვნელობასა და როლზე, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ ე.წ. წარმოებრივი და ფისკალური მრუდები. წარმოებრივი მრუდი შეესაბამება ერთობლივი გამოშვების ფუნქციას

$Y = Y(t)$, რომელიც ახასიათებს საგადასახადო ტვირთის ცვლილების გავლენას მთლიან გამოშვებაზე, მაშინ როცა ფისკალური მრუდი შეესაბამება ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ფუნქციას $T = T(t)$ და აღწერს საგადასახადო ტვირთის ცვლილების გავლენას ბიუჯეტის შემოსავლების სიდიდეზე. არაერთი გამოკვლევით დასაბუთებულია, რომ ეს ორი ფუნქცია და, შეესაბამისად, მრუდი, როგორც წესი, თავის მაქსიმუმს საგადასახადო ტვირთის სხვადასხვა მნიშვნელობაზე აღწევს, ამასთან, მაქსიმალური ფისკალური ეფექტი (საბიუჯეტო შემოსავლების მაქსიმუმი) საგადასახადო ტვირთის უფრო მაღალი მნიშვნელობის პირობებში მიიღწევა, ვიდრე მაქსიმალური საწარმოო ეფექტი (მაქსიმალური ერთობლივი გამოშვება). ზემოთ მოყვანილ ჩვენს ტექსტში, რომელიც ასე პირწმინდად აქვს გ. აბუსელიძეს გადმოღებული, მსჯელობაა ერთობლივი გამოშვების მრუდზე (შეესაბამისად ფუნქციაზე) და იმ შესაძლო ოთხ ეფექტზე რაც მის სახესა და თვისებებს განაპირობებს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ გ. აბუსელიძე ერთმანეთში ურევს წარმოებრივ და ფისკალურ მრუდებს, რადგანაც იგი “თავის” ტექსტში მსჯელობს გამოშვების მრუდსა და იმაზე, თუ როგორ ახდენს საგადასახადო ტვირთის ცვლილება გავლენას ეკონომიკურ აქტიურობასა და გამოშვების მოცულობაზე და “გვთხოვს ვიხილოთ აბუსელიძის მრუდი”, რომელიც ფისკალური მრუდია (უფრო სწორედ, ტეხილია).

უნდა აღვნიშნოთ, რომ ყოველივე ზემოთ თქმულის მიუხედავად, გ. აბუსელიძის მეცნიერულ კეთილსინდისიერებაზე მსჯელობას ჩვენ, სავარაუდოდ, ამდენ ყურადღებას არ დაუთმობდით, რომ არა მის სტატიაში მოცემული ეწ. “დასკვნები და რეკომენდაციები”, რასაც არაფერი საერთო არა აქვს სტატიის წინა ნაწილებთან და მთლიანად გადაღებულია ერთ-ერთი ჩვენი სტატიდან ან წიგნიდან. ჩვენი აღშფოთების მიზეზი გასაგები რომ გახდეს, გვინდა ძალიან მოკლე შესავალი გავაკეთოთ.

ჯერ კიდევ XX საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს, ერთ-ერთმა ჩვენგანმა წამოაყენა ლაფერ-კეინზიანური სინთეზის იდეა [10]. მოგვიანებით ამ იდეას შემდგომ სრულყოფას, შესაბამისი მოდელის აგებას და გამოკვლევას მიუუძღვენით რამდენიმე სტატია [11-15] და წიგნი [8]. ამ პუბლიკაციებში მივედით დასკვნამდე, რომ ეკონომიკაში გადასახადების როლის სრულფასოვანი ახსნა და კეინზიანური და ლაფერის (მიწოდების ეკონომიკის წარმომადგენლის) თეორიების ცალმხრივობის გადალახვა შესაძლებელია მაკროეკონომიკური წონასწორობის მოდელის განხილვის საფუძველზე, რომელიც ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების ფუნქციებისაგან შედგება. მაგრამ, ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების სტანდარტული მოდელისაგან განსხვავებით, ეს ფუნქციები განხილულ უნდა იქნეს არა ფასების დონისა და გამოშეების მოცულობის საკორდინატო ღერძების სიბრტყეზე, არამედ საგადასახადო განაკვეთისა (t) და გამოშეების მოცულობის (Y) საკორდინატო ღერძების სიბრტყეზე. ამასთან, დავასაბუთეთ, რომ ასეთი მოდელის პირობებში ერთობლივი მოთხოვნის მრუდი, იმისდა მიხედვით, თუ როგორი შესაბამისობა არსებობს მოხმარებისადმი ზღვრულ მიდრეკილებას b -ს და სახელმწიფო შესყიდვებისადმი ზღვრულ მიდრეკილებას g -ს შორის, შეიძლება იყოს კლებადი ან ზრდადი საშუალო საგადასახადო განაკვეთის მიმართ. ყოველივე ამის შედეგად ავაგეთ და გაგანალიზეთ მაკროეკონომიკური წონასწორობის

მოდელი როგორც ფორმალურ-მათემატიკური ჭრილით, ასევე შესაბამისი გრაფიკული ილუსტრაციების გამოყენებით. ამ ილუსტრაციების საფუძველია გრაფიკული მოდელი (იხ. ნახ. 1), რომელიც გვიჩვენებს, რომ მოცემული ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდებისთვის ლაფერ-კეინზიანური სინთეზის მოდელში შეიძლება არ არსებობდეს ან შეიძლება არსებობდეს წონასწორული საშუალო საგადასახადო განაკვეთის ერთი ან ორი მნიშვნელობა.




ნახ. 1. წონასწორობა ლაფერ-კეინზიანური სინთეზის პირობებში

გრაფიკულ ილუსტრაციებს განსაკუთრებით გვინდა გავუსვათ ხაზი, ვინაიდან გ. აბუსელიძეს ის ეტყობა ძალიან მოეწონა (თუმცა, სამწუხაროდ, ბოლომდე ვერ გაიგო მათი დანიშნულება) და ტექსტის გარდენულ ფრაგმენტთან ერთად საკუთარ შემოქმედებად გამოაცხადა. მოვიყვანოთ ჩენი ტექსტის ეს ფრაგმენტი სტატიიდან [7], რომელიც გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალში გ. აბუსელიძეს სხვათაშორის აქვს მითოთებული.

მკითხველისათვის მოყვანილი ფრაგმენტის შინაარსი გასაგები რომ იყოს, აღვნიშნავთ, რომ იგი ლაფერ-კეინზიანური სინთეზის ჩვენ მიერ შემოთავაზებული მოდელის პირობებში აღწერს მაკროეკონომიკური წონასწორობის აღდგენის ერთერთ სცენარს, როცა წონასწორობის დარღვევას განაპირობებს ერთობლივი მოთხოვნის ცვლილება.

“იმის გასარდებებად, თუ როგორ მყარდება მოყვანილი მოდელის პირობებში საქონლის ბაზის წონასწორობა, მივმართოთ ნახ. 2-ზე წარმოდგენილ შემთხვევებს. საწყის ეტაპზე ჩავთვალოთ, რომ მოცემული $Y^S(t)$ და $Y^D(t)$ წირებისთვის წონასწორობა F წერტილში არსებობს და მას t_1 საშუალო საგადასახადო განაკვეთი შეესაბამება. კოქვათ, გარდებული მიზეზების გამო ავტონომიური ხარჯები რაიმე ΔA სიდიდით გაიზარდა. სხვა თანაბარ პირობებში ეს ცვლილება გამოიწვევს ერთობლივი მოთხოვნის გაზრდას და შესაბამისი მრუდის გადააღვილებას ახალ $Y_1^D(t)$ მდგომარეობაში ნახ. 2-ზე ნაჩვენები სახით.



ნახ. 2 წონასწორობის აღდგენა ერთობლივი მოთხოვნის ცვლილების პირობებში

ენიადან საშუალო საგადასახადო განაკვეთი თვით-რეგულირებას მხოლოდ ნაწილობრივ უქვემდებარება, ამიტომ, თუ დაკუშვებთ, რომ ერთობლივი მიწოდების ზემოთ განხილული თეორია სამართლიანია, მაშინ შექმნილ სიტუაციაში ახალი წონასწორობის ჩამოყალიბებისათვის გაზრდილი

ავტონომიური ხარჯების პარალელურად სახელმწიფომ შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე t -ს მნიშვნელობა t_1 -დან t'_1 -მდე უნდა გაზარდოს. საქმე ისაა, რომ საწყისი წონას-წორობის F წერტილში კონომიკა ერთობლივი მიწოდების მრუდის აღმაგალ ნაწილზე იძყოვება. ასეთ შემთხვევაში t -ს გადიდებით წარმოქმნილი ეფექტებიდან დომინირებადია ერთობლივ მიწოდებაზე დადებითად მოქმედი გარემოს შექმნის ეფექტის და შემოსავლების ეფექტის ჯამი. ამიტომ, რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, გადასახადების გადიდება ხელს შეუწყობს რესურსების მიწოდების ზრდას. არსებული რესურსების გაზრდილი რაოდენობით გამოყენების პირობებში ერთობლივი გამოშევება გაიზრდება და წონას-წორობა F_1 წერტილში აღმოჩნდება.

განსხვავებულ სიტუაციას ექნებოდა ადგილი ეკონომიკის წონას-წორობის საწყისი წერტილი F -ის ნაცვლად E -ში რომ ყოფილიყო. ნახ. 2-ის მიხედვით ეს უკანასკენებლი ერთობლივი მიწოდების დაღმაგალ ნაწილზე მდებარეობს, სადაც დომინირებულ როლს უკვე გადასახადების უარყოფითი ეფექტები (ჩანაცვლების ეფექტი და ფინანსური ეფექტი) ასრულდებს. ცხადია, ასეთ პირობებში ეკონომიკური აქტიურობის წახალისებისა და ერთობლივი მიწოდების გადიდების ძუნებრივ გზას საშუალო საგადასახადო განაკვეთის შემცირება წარმოადგენს. ამიტომ, შექმნილ პიპოთეზურ სიტუაციაში,

სახელმწიფო t -ს მნიშვნელობას თუ შეამცირებს t_2 -დან t'_2

-მდე, მაშინ კონომიკა შესძლებს ახალ E_1 წონას-წორობაში გადასვლას და გაზრდილი ერთობლივი მოთხოვნის შესაბამის დაგმაციფილებას.”

მოდით, გნახოთ ახლა როგორ არის ეს ყველაფერ სიტყვა-სიტყვით მითვისებული აბუსელიძის მიერ. იგი წერს (ჩვენს ტექსტთან მოყვანილი ტექსტის იდენტურობას ადვილად შენიშნავთ. ამიტომ გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ, აგრეთვე, გრაფიკების ქვეშ გაკეთებულ მინაწერებს):

“Let us assume that at the initial stage balance of output and economic activeness is at point F and it is corresponded with tax rate t.

Let us say that due to some circumstances state charge grew to some value. In other equal conditions this change will cause growing of economic activeness and correspondingly curve moves to the new position. In such situation, for the purpose of achieving the new balance, simultaneously with grown expenses state has to rise t value up to t_2 . The matter is that at F point of the initial balance economy is on the ascending part of the curve of aggregate supply. In such case, among the effects originated resulted rise of the t sum of the effect of creation of output promoting environment and the effect of revenues prevail. That is why, ironically enough, rise of taxes up to t_2 will promote growing of resources supply. In circumstances of grown quantity of using resources available the aggregate output will grow and balance will be achieved at point F_1 (Fig. 3).




Fig. 3. Tax policy and effect of Economics—Abuselidze version

The different situation takes place, when the initial balance point is at E . This latter is on the descending part of output and aggregate supply, where prevailing role belongs to negative effects of taxes (effect of replacement and financial effect). Certainly, in such conditions lowering of taxation pressure is a natural way of economic activeness stimulation and growth of output. That is why, in this hypothetic situation, if state reduces t value from t_1 to t_2 , then economy will manage to transfer to the new balance at E_1 and satisfy the grown aggregate demand (Fig. 4).




Fig. 4. Tax policy and effect of Economics—Abuselidze version

დაგუშვით, რომ საწყის ეტაპზე, გამოშევბასა და ეკონომიკურ აქტიურობას წორის წონასწორობა არის F წერტილში და ის შეესაბამება საგადასახადო განაკვეთ t -ს. ვთქვათ, რომ გარევული მიზეზების გამო სახელმწიფო დანახარჯები გარევული სიდიდით გაიზარდა. სხვა თანაბარ პირობებში, ეს ცვლილება გამოიწვევს ეკონომიკური აქტიურობის ზრდას და შესაბამისი მრუდის გადაადგილებას ახალ მდგომარეობაში. შექმნილ სიტუაციაში, ახალი წონასწორობის მიღწვის მიზნით, გაზრდილ დანახარჯებთან ერთად სახელმწიფომ ერთდროულად, t -ს მნიშვნელობა t_2 -მდე უნდა გაზარდოს. საქმე ისაა, რომ საწყისი წონასწორობის F წერტილში ეკონომიკა ერთობლივი მიწოდების მრუდის აღმავალ ნაწილზე იმყოფება. ასეთ შემთხვევაში t -ს გადიდებით წარმოქმნილი ეფექტებიდან დომინირებადია გამოშევების ზრდის ხელშემწყობი გარემოს შექმნის ეფექტისა და შემოსავლების ეფექტის ჯამი. ამიტომ, რაოდენ ირნიულიც არ უნდა იყოს, გადასახადების t_2 -მდე ზრდა ხელსშეუწყობს რესურსების მიწოდების ზრდას. არსებული რესურსების გაზრდილი რაოდენობით გამოყენების პირობებში ერთობლივი გამოშევება გაიზრდება და წონასწორობა F_2 წერტილში აღმოჩნდება (ნახ. 4. საგადასახადო პოლიტიკა და ეკონომიკური ეფექტი – აბუსელიძის ვერსია).

განხვავებულია სიტუაცია, როდესაც საწყისი წონასწორობა არის E წერტილში. ეს უკანასკნელი გამოშვების და ერთობლივი მიწოდების დაღმავალ ნაწილზე მდებარეობს, სადაც დომინირებულ როლს უკვე გადასახადების უარყოფითი ეფექტები (ჩანაცვლების ეფექტი და ფინანსური ეფექტი) ასრულებს. ცხადია, რომ ასეთ პირობებში ეკონომიკური აქტიურობის წახალისებისა და გამოშვების გაზრდის ბუნებრივ გზას საგადასახადო წნევის შემცირება წარმოადგენს. ამიტომ, შექმნილ პიპოთეზურ სიტუაციაში სახელმწიფო t -ს მნიშვნელობას თუ შემაცირებს t_1 -დან t_2 -მდე, მაშინ ეკონომიკა შესძლებს ახალ E_1 წონასწორობაში გადასვლას და გაზრდილი ერთობლივი მოთხოვნის დაკმაყოფილებას (ნახ. 4. საგადასახადო პოლიტიკა და ეკონომიკური ეფექტი – აბუსელიძის ვერსია)"

მთლიანობაში, აბუსელიძის სტატიის დასკვნა და რეკომენდაციები, აქ მოყვანილი ძირითადი ფრაგმენტის გარდა, კიდევ ორ აბზაცს შეიცავს. ორივე მათგანში პლაგიატის აშკარა ნიშნებია. მართალია, ზემოთ მოყვანილიც საკმარისია იმის საჩვენებლად, თუ ვისთან და რასთან გვაქვს საქმე, მაგრამ არ შეგვიძლია ბოლო აბზაცზე რომ არ გავამახვილოთ კურადღება, რომლიც შემდგენ სახისა:

"In spite of curves shifting fiscal points t_1 and t_2 remain unchanged, although maximum values of output and economic activeness determined by these points do change (Fig. 5). So, the level of balance of economic activeness and output depends on optimal taxation pressure $t_2=38,2\%$.

მრუდების გადაადგილების მიუხედავად, ფისკალური წერტილები t_1 და t_2 უცვლელი რჩება, მიუხედავად იმისა, რომ ამ წერტილებით განსაზღვრული გამოშვების მაქსიმალური მოცულობა და ეკონომიკური აქტიურობა იცვლება (ნახ. 5. საგადასახადო ტვირთის მრუდები – ლეპერისა და აბუსელიძის თანახმად). ამრიგად, ეკონომიკური აქტიურობისა და გა-

მოშეგების წონასწორობის დონე დამოკიდებულია ოპტიმალურ საგადასახადო წევებზე $t_2 = 38,2\%$ ".




Figure 5. Tax burden curves - compliance with Laper and Abuselidze³".

ეს აბზაცი აბუსელიძის ზემოთ მოყვანილი ტექსტის პირდაპირი გაგრძელებაა, თუმცა, შინაარსობრივად მასთან დაკავშირებული არ არის. უფრო მეტიც, ჩვენი ტექსტიდან იმდენად უადგილოდაა ამოგლევილი, რომ მის საფუძველზე რაიმე დასკვნის გაკეთება შეუძლებელია. რაც შევხება მოყვანილ გრაფიკს, რომელსაც გ. აბუსელიძემ რატომლაც თავისი და ლეპერის (?) სახელები მიაწება, კარგად არის ცნობილი და ერთობლივი მიწოდების და ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების მრუდების ილუსტრირებისათვის გამოიყენება. მაგალითად, სტატიაში [7] ან წიგნში [8, გვ. 104-105], რომლიდანაც სავარაუდოდ ეს გრაფიკი და თანდართული ტექსტია გადმოღებული, წერია:

"ერთობლივი მიწოდების სიდიდე $Y(t)$ და საგადასახადო შემოსავლები $T(t)$ დამოკიდებულია, როგორც t -ზე, ასევე ეკონომიკური რესურსების, კერძოდ კი, კაპიტალისა K და შრომის L მოცულობაზე და მათი შესაძლო გამოყენების სიდიდეზე. ცხადია, თუ სხვა თანაბარ პირობებში K -ს ან L -ის მნიშვნელობა შეიცვლება, მაგალითად, ზრდის მიმართულებით, მაშინ ნახ. 1-ზე (ანუ ზემოთ მოყვანილ ნახ. 5-ზე) მოცემულ საკორრდინატო სიბრტყეზე $Y(t)$ -ს და $T(t)$ -ს მრუდები

მკითხველის ყურადღება გვინდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ ბაზონი აბუსელიძე მხოლოდ ერთხელ წერს სტატიაში ლაფერის გვარს სწორედ. სხვა შემთხვევებში ის დამახინჯებითაა მოყვანილი.

ზემოთ გადაადგილდება, კინაიდან ორივე ეს ფუნქცია K -ს და L -ის მიმართ ზრდადია. ამასთან, მრუდთა გადაადგილდების მიუხედავად, ფისკალური წერტილები t^* და t^{**} (ანუ ნახ. 5-ზე t_1 და t_2 წერტილები) უცვლელი რჩება, თუმცა, იცვლება ამ წერტილებით განსაზღვრული ერთობლივი მიწოდებისა და საბიუჯეტო შემოსავლების მაქსიმალური მნიშვნელობები.“

დასასრულ, დასკვნის სახით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ეს გამოხმაურება, ალბათ, სიურპრიზი იქნება საქუთრივ გ. აბუსელიძისთვის. კინირობთ, როცა იგი ამ სტატიას ლიტვაში გამოსაქვეყნებლად აგზავნიდა, ალბათ არ მოვლოდა თუ ვინმე წაიკითხავდა მას საქართველოში. მაგრამ ასეც რომ იყოს, ეს მას არავითარ შემთხვევაში არ ამართდებს. ასევე არ შეიძლება საყვედლური არ გამოვთქვაო ჟურნალ “Intellectual Economics”-ის რედაქციის მიმართ. ჩვენ გვესმის, რომ ჟურნალის რედაქტორის ან რეცენზენტისათვის ძნელი დასადგენი იქნებოდა სტატიის ავტორის მეცნიერული კეთილსინდისიერება. მაგრამ მათი უშუალო მოვალეობაა არ დაბეჭდონ არაკომპეტენტურად დაწერილი სტატია, რომლის თვალსაჩინო ნიმუშს, პლაგიატურბასთან ერთად, სწორედ გ. აბუსელიძის აქ განხილული სტატია წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Abuselidze George. The Influence of Optimal Tax Durden on Economic Activity and Production Capacity // Intellectual Economics, 2012, Vol. 6, No. 4 (16), http://www.mruni.eu/en/mokslo_darbai/ie/paskutinis_numeris/dwn.php?id=334919.

2. ი. ანანიაშვილი, ვ. პაპავა. რესურსების გამოყენების ეფექტიანობასა და მოცულობაზე საგადასახადო ტიორთის გავლენის შეფასების მოდელები // ეკონომისტი, 2011, №1;

3. Ю.Ананиашвили, В.Папава. Налоги, технология производства и экономический рост // Общество и экономика, 2011, № 4-5;

4. I. Ananiashvili, V. Papava. Taxes, Production Technology, and Economic Growth // Problems of Economic Transition, 2012, Vol. 54, No. 12;

5. Аткинсон Э. Б., Стиглиц Дж. Э. Лекции по экономической теории государственного сектора. Москва, Аспект Пресс, 1995.

6. Стиглиц Дж. Э. Экономика государственного сектора.

Москва, МГУ, ИРФРА-М, 1997;

7. о. ანანიაშვილი. გადასახადების გავლენა ერთობლივ მიწოდებაზე // ეკონომიკა და ბიზნესი, 2009, №1;

8. о. ანანიაშვილი, ვ. პაპავა. გადასახადები, მოთხოვნა და მიწოდება: ლაფერ-კეინზიანური სინთეზი. თბილისი, სიახლე, 2009;

9. გ. აბუსელიძე. ბიუჯეტის შემოსავლების პერსპექტივები ახალი საგადასახადო კოდექსის ასპექტით // სოციალური ეკონომიკა, 2005, №1;

10. V. Papava. The Georgian Economy: From “Shock Therapy” to Social Promotion” // Communist Economics & Economic Transformation, 1996, Vol. 8, No. 2;

11. о. ანანიაშვილი. გადასახადები და მაკროეკონომიკური წონასწორობა // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ეკონომიკის სერია, 2004, ტ. 12, №1-2;

12. о. ანანიაშვილი, ვ. პაპავა. მაკროეკონომიკური წონასწორობა ლაფერ-კეინზიანური სინთეზის პირობებში // ეკონომისტი, 2010, № 5;

13. Ю. Ананашвили, В. Папава. Роль средней налоговой ставки в кейнсианской модели совокупного спроса // Общество и экономика, 2010, № 3-4;

14. Ю. Ананашвили, В. Папава. Лафферо-кейнсианский синтез и макроэкономическое равновесие // Общество и экономика, 2010, № 9;

15. I. Ananiashvili, V. Papava. Macroeconomic Model of Laffer-Keynesian Synthesis // Problems of Economic Transition, 2012, Vol. 54, No. 12.

პროფესორი ქათევან გარშავა

ივ. ჯავახიშვილის თხუ-ის აკადემიური საბჭოს დადგენილებით, საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, უნივერსიტეტის სამეცნიერო და სასწავლო პროცესის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული დამსახურებისათვის, ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის სრულ პროფესორს ქეთევან მარშავას მიენიჭა ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი.

გულოცავთ ქალბატონ ქეთევანს ამ განსაკუთრებულ ჯილდოს და ვუსურებთ ზღვარდაუდებ ბედნიერებას და წარმატებებს.

ეს წერილიც აღნიშნული თარიღისადმია მიძღვნილი...

პროფესორ ქეთევან მარშავას პირვენული გამორჩეულობა იმდენად ძლიერია, რომ განსაკუთრებული მახასიათებლის ძიება არც არის საჭირო. გარეგნულად იმდენ სითბოს ასხივებს, პირველი შეხვედრისთანავე განგაწყობს ადამიანს ნდობითა და სიყვარულით.

იგი არავის ჰგავს, თავისი გამოკვეთილი ინდივიდუალობით; ალბათ, იმიტომ, რომ რაც უფრო დიდია ნიჭი, მით უფრო ძლიერია ინდივიდუალიზმი.

პროფესორი ქეთევან მარშავა გამორჩეულია პირვენული კულტურით, საოცრად მოწესრიგებული და ფაქიზი სულიერებით, თანაგრძნობის განსაკუთრებული ნიჭით, კეთილშობილებით, ადამიანებზე კეთილი ზემოქმედების იშვიათი უნარით...

მფარველობს ყველას, ვისაც მისი მზრუნველი და სიკეთით გამოწვდილი ხელი სჭირდება. გაგაოგნებს მისი

დიდსულოვნებაც, საათობით შეუძლია უშურველად დაიხარჯოს შენოვის!

ანათებს შინაგანი სისუფთავით. არის განსაკუთრებულად საინტერესო. უმდიდრესია მისი პიროვნული გუმანი, პიროვნული პასუხისმგებლობა... თითქოს, შენი გულის ფეთქვას უსმენს, თითქოს შენს ფიქრებს კითხულობს. არასდროს დალატობს ალდო, გემოვნება, გამოირჩევა განსაკუთრებული ღირსებებით.

სიკეთეზე უმშვენიერესი არაფერია ამქვეყნად. სადაც სიკეთეა, იქ გონიერის ზეიმია და ვინც ბრძენია და ჭკვიანი, ის კეთილიცაა.

სიკეთეა მისი ცხოვრების გზაც, ისეთივე სუფთა, როგორც მისი სულიერი სამყარო. მისი კეთილშობილებაც მის კარგ ხასიათშია საძიებელი და მისი სულიც მხოლოდ ამ სიკეთითაა ძლიერი.

არის უკომპრომისო და მართალი.

თავისუფალი სულის ღირსებაც გულწრფელობაა და გულდია საუბარი. უყვარს მოსმენა: მასთან ხშირად ყოფნა სხვანაირს გხდის, რადგან თვითონაა სადა და უბრალო. მისგან არავინ ბრუნდება, ოდნავ უკეთესად და ბედნიერად რომ არ იგრძნოს თავი, ყველას უშურველად უნაწილებს სიკეთეს, სითბოს.

მისთვის ყველაზე ძვირფასი საგანძური სიყვარული, ზომიერება და სიმშვიდეა. ალბათ, ეს თვისებები გამოარჩევს მას ყველასგან.

ძველ ბერძენს ეკითხებიან:

რა არის ყველაზე უკეთესი ამქვეყნად?

- კარგად აკეთო ის, რასაც აკეთებ!

ალბათ, ამიტომაც გვაოცებს ქალბატონი ქეთევანი თავისი გონებრივი და ინტელექტუალური შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენებით. ალბათ, ამიტომაც მიიჩნევენ, რომ „არ არის იმაზე დიდი სიკეთე, ვიდრე შენი საყვარელი საქმით გახარება“. საყვარელი საქმე კი ადამიანისათვს მხ-

ოლოდ განსაკუთრებული ჯილდოა...

იგი შემქულია იმ განსაკუთრებული თვისებებით, რომელიც მხოლოდ მოძღვარს შეიძლება პქონდეს.

იქნება, ცნობილი სტრიქონი - „ცხოვრება მხოლოდ სხვებისთვის დირს”, არის ავტორის ლამაზი ცხოვრების საიდუმლოს გასაღებიც. მას სიკეთით და მხოლოდ სიკეთით შეუძლია გააოცოს თითოეული ჩვენგანი. მისი აზრით, არ არსებობენ ცუდი და კარგი ადამიანები, არსებოებს მხოლოდ ცუდი და კარგი ურთიერთობები. ამ ურთიერთობის საფუძველი კი არის არა ის, რას ამბობენ ადამიანები ერთმანეთზე, არამედ ის, თუ რას გრძნობენ ისინი.

ალბათ, ესაა ქალბატონ ქეთევანის მომხიბვლელობის საიდუმლოც.

პროფესორი ქეთევან მარშავა პროფესიონალია, საყვარელი საქმისადმი განსაკუთრებული სიყვარულით გამორჩეული.

მძივივით ასხმული მწყობრი იდეები და საკითხები, მისი 80-ზე მეტი ნაშრომი, მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, პუბლიკაციები.

წერს გასაგებად, კეთილხმოვნად, უბრალოდ. ერთ სტრიქონსაც ვერ დაწერ დიდი სიყვარულის გარეშე. რაოდენ უსაზღვრო უნდა იყოს მისი გრძნობების მასშტაბი, ერთმანეთზე უკეთესი წიგნებით, უთვალავი სიხარული მიანიჭო ათასობით მკითხველს.

თავისუფალი და მაძიებელი გონებაა თითოეული სტრიქონის საფუძველთა საფუძველი.

ავტორის მონოგრაფიაში - „სტატისტიკის თანამედროვე პრობლემები”,¹ ვკითხულობთ: „ამოიცანით, რა არის ის, რის გარეშე ცხოვრება შეუძლებელია, თუმცა, მას ძალიან ვემდურით. შეიძლება იფიქროთ, რომ ეს სიყვარულია. არა - საუბარია სტატისტიკაზე”.

¹ თანაავტორია პროფ. მ. მინდორაშვილი

მართლაც, დღეს, XXI საუკუნის გარიურაჟზე, ყოვლად წარმოუდგენელია ინფორმაციის, საიმედო, ობიექტური სტატისტიკური მონაცემების გარეშე ცხოვრება. „სტატისტიკა აჩენს იმას, რაც საკმაოდ ორაზროვანია და მაღავს ძალიან მნიშვნელოვანს”.

ალბათ, ამიტომაცა ტყუილისა და სტატისტიკის ურთიერთობის შესახებ უთვალავი, ერთმანეთის საწინააღმდეგო თვალსაზრისი... „სიცრუე, დიდი ტყუილი და სტატისტიკა”, მაგრამ მკაცრად გააზრებული და მოკლედ ჩამოყალიბებული პროგრამით. საკმაოდ მაღალ დონეზეა საზოგადოებრივი მოვლენებისა და პროცესების კვლევა.

სტატისტიკური ინფორმაციის უტყუარობის მნიშვნელობა უფრო და უფრო დიდ მასშტაბებს იძენს.

უტყუარი ციფრები - საზოგადოების უტყუარი სახე - ასეთია რეალობა.

სტატისტიკური მონაცემების მიმართ კი საზოგადოების ნდობის ამაღლებისთვის ბრძოლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამის დასადასტურებლად საკმარისია ნაშრომში დასმული პრობლემების ჩამონათვალიც:

სტატისტიკიდან „სოციესტიკამდე”

სტატისტიკის ისტორიის კვალდაკვალ

„ნდობის ფაქტორი”

სტატისტიკა და მედია

სტატისტიკური განათლება...

საზოგასამედია მეტაფორული „მტერი თუ მოყვარე”, „მოყვარეს პირში უძრავე”...

მონოგრაფიაში განსაკუთრებით საინტერესოა ეპობარომეტრის კვლევები, სხვადასხვა ქვეყნის მაგალითების შედარება ქართულ სტატისტიკურ მონაცემებთან.

მედიის პროფესიონალიზმის, მისი სარისხის ზრდის ობიექტური დასკვნების გაკეთების მნიშვნელობის საზოგამა.

ასიმეტრია ინფორმაციასა და ცოდნას შორის. მკაცრად

გაანალიზებული და მოკლედ ჩამოყალიბებული დასკვნები.

მონოგრაფია, მეცნიერულ დახვეწილობასთან ერთად, ისეთი საინტერესო მასალებით არის შევსებული, მხატვრული ნაწარმოებივით იკითხება, რაც წიგნის განსაკუთრებულ მნიშვნელობას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს...

მეცნიერთა აზრით, ჩვენი ერა ჰუმანიზმის ერაა. ადამიანები გამოირჩევიან განსაკუთრებული სიკეთითა და სიყვარულით. მთავარია, იცხოვრო მშვიდად, ლამაზად და გარემოსთან ჰარმონიულად, მუდმივად პოზიტიური ფიქრით...

ალბათ, ამიტომაცაა ბედნიერი ცხოვრებისთვის აუცილებელი „კარგი წიგნები, ძლიერი ფრაზებით და სიკეთე!“

- გემრავლოთ, ქალბატონო ქეთევან, ბედნიერების ასე უხვად მომადლებული ეს განსაკუთრებული მაჩვენებლები მოელი ცხოვრების მანძილზე!

**სიყვარულით,
პროფესორი მზია ქირთბაია
2013 წლის 11 იანვარი**

**ქარნალში – „ეპონომიკა და ბიზნესი“, სამუშაოერო სტატიის
ნარმლების და გამოქვეყნების წესი**

1. ქურნალში ქართულ, ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებზე ქვეყნდება სტატიები ეკონომიკური თეორიისა და ეკონომიკურ მოძღვებათა ისტორიის, ეკონომიკური პოლიტიკის, ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალურ საკითხებზე, ასევე, რეცენზიები ბოლო პერიოდში გამოქვეყნებულ მონოგრაფიებსა და სახელმძღვანელოებზე.

2. სტატიაში წარმოდგენილი უნდა იყოს: საკვლევი პრობლემის აქტუალურობა, კვლევის მიზანი და ამოცანები, კვლევის მეთოდოლოგია, კვლევის შედეგები (სიახლე), რეკომენდაციები.

3. სტატია წარმოდგენილი უნდა იყოს 4 ფორმატით. სტატიის მოცულობა, გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალისა და რეფერატების ჩათვლით, არ უნდა აღემატებოდეს კომპიუტერზე 1,5 ინტერვალით და 11 შრიფტით ნაბეჭდი ტექსტის 15 გვერდს.

4. ქართულ ენაზე დაწერილ სტატიას უნდა ახლდეს რეფერატები ქართულ და ინგლისურ ენებზე - თითოეული 1000-დან 1500-მდე ნიშნის მოცულობით. უცხო ენაზე დაწერილ სტატიას თან უნდა ახლდეს ძირითადი შინაარსი 2-3 გვერდზე ქართულ ენაზე და რეფერატი იმავე უცხო ენაზე.

5. რედაქციაში სტატიის წარმოდგენა აუცილებელია ორ ნაბეჭდ ეგზებლარად, ელგვრსიასთან ერთად(MS word, ქართული სტატია შრიფტით AcadNusx, ხოლო უცხოურ ენაზე ტექსტი - Times New Roman).

6. სტატიის სათაურის ქვემოთ (მარჯვენა მხარეს) უნდა მიეთითოს ავტორის (ან ავტორების) სრული სახელი, გვარი, აკადემიური ხარისხი, თანამდებობა, ტელეფონი და ელექტრონული ფოსტის მისამართი;

7. სტატიაში უნდა ჩანდეს საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ლიტერატურის გამოყენება. ლიტერატურის დასახელება უნდა განთავსდეს სტატიის ბოლოს

ერთიანი სის სახით: ა) წიგნის დასახელება შემდეგი თან-
მიმდევრობით - ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები,
წიგნის დასახელება, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, წელი;
ბ) საუკრნალო სტატიისათვის - ავტორის (ავტორების) გვარი
და ინიციალები, სტატიის დასახელება, ჟურნალის დასახელება,
წელი, ჟურნალის ნომერი.

ლიტერატურის სიაში მითითებული წყარო გამოყენებული
უნდა იყოს სტატიის ტექსტში. ამა თუ იმ ავტორის ნაშრომი-
დან ციტირებისას, მას უნდა მიეთითოს წყარო შესაბამისი
გვერდის აღნიშვნით შემდეგი სახით [5,გვ.41], სადაც პირველი
ციფრი შეესაბამება ციტირებული წყაროს რიგით ნომერს
გამოყენებული ლიტერატურის სიაში, ხოლო მეორე - იმ გვერდს,
საიდანაც მოვანილია ციტატა. ლიტერატურის სიაში ყველი
წიგნის (ჟურნალის) ბიბლიოგრაფიული აღწერა უნდა შეესა-
ბამებოდეს მის სატიტულო ფურცელს.

8. ძირითადად ტექსტში ცხრილები, გრაფიკები და სქე-
მები უნდა განთავსდეს მათი მითითების ადგილზე, თუ იქ
ადგილი არასაქმარისია - შეიძლება მომდევნო გვერდზე. ცხრი-
ლებს, გრაფიკებს და სქემებს უნდა პქნდეს დასახელება და
ნუმერაცია.

9. სტატიას, რომელიც არ პასუხობს ზემოთ ჩამოთვლილ
მოთხოვნებს, რედაქცია არ მიიღებს

10. ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება უფასოა იქ. ჯავახ-
იშვილის თხუ-ის პროფესორ-მასწავლებელთა, დოქტორანტე-
ბისა და ყველა თანამშრომლისათვის, ხოლო სხვა (გარე) ავ-
ტორები იხდიან საფისურს – ერთ გვერდზე 5 (ხუთ) ლარს,
რაც მათ მიერ ჩაირიცხება თხუ-ის ეკონომიკური შემოსავლების
ანგარიშში.

საკონტაქტო ტელეფონები:

2 30 36 68; 2 30 40 78; 599 24 77 47;

599 10 38 16 e-Mail:ebf.journal@tsu.ge

ISSN 1987-5789



დაიბეჭდა იგანე ჯავახიშვილის სახელობის
ობილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე

კომპიუტერული უზრუნველყოფა -
მანანა ჯიხვიშვილი